

# ქართველი სამკურნალო

2

ნოემბერი

სსსრ. განსახვობი 1929-30 ტფილი

## ხელისმომმართა საურნაღლებოდ:

როგორც წარსულ წელს, ამ წლიდანაც ხელისმოწერა უურნალზე მიიღება ოქტომბრიდან ოქტომბრამდე და ისევ „დაუსწრებელი უურნალი უსრების“ მასალით. ამის გამო უურნალი წრეულსაც ეღირება წელიწადში (12 ნომერი, დამატებით) 5 მანეთი.

ერთ წელზე ნაკლები გადით უურნალის გამოწერა არ შეიძლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თუბერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

უურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ უურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღლებული.

შენი შვია: ვთხოვთ ამბავებებს დაწერილებით აღნიშნით ბოლო  
უულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, უურნალის რამდენ კომპლექტს  
იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ უურნალი. ვთხოვთ  
გამოწერისას სრული თანხა გამოფარვნონ ზემოაღნიშნული პირობის მიზანით.

სარედაქციო კოლეგია

ს.ს.ს.რ. ბანათების სახაეხო კომისარიატის  
ყოველთვიური პერიოდის შარნ აღმ  
წ ი ე . VII

# ახალ სკოლისაბენ

Ч 882

2 (51)

ნოემბერი

1929-30



თბილისი



## უფრველ ქვირაზე სპოლების გადასვლის შესახებ.

ჩვენი კავშირის წარმოება-დაწესებულებათა გადასვლა განუ-  
წყვეტელ საწარმოო კვირაზე მეტის-მეტად დიდი ფაქტია, რომელსაც  
პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. გა-  
ნუწყვეტელ კვირაზე გადასვლით, უძველია, ჩვენ შევძლებთ მთელი  
სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის პროცესისა და ტემპის  
დაჩქარებას, მაშასადამე, ხუთწლიანი გეგმის უფრო კარგ პირობებში  
და რაც შეიძლება მოკლე ხანში შესრულებას.

მრეწველობის ძირითად დარგებში განუწყვეტელი საწარმოო  
კვირის შემოღება მოგვცემს შესაძლებლობას უფრო მაღა მოესპონ  
არსებული სასაქონლო შიმშილი და დაკავშიროვილოთ მშრომელი  
მასები ფართო მოხმარების საგნებით.

განუწყვეტელი კვირა წარმოებაში ჩააბამს მუშათა ახალ კად-  
რებს და, მაშასადამე, შეამცირებს უმუშევრობას, რომელიც ჩვენში  
ჯერჯერობით კიდევ საქმაოდ გავრცელებულია. დასასვენებელი დღეე-  
ბის რიცხვის გადიდება მუშას მისცემს შესაძლებლობას უფრო ხში-  
რად და უფრო მეტი დრო მოანდომოს თვითგანვითარებას, იაროს-  
თვატრებში, კლუბებში, ერთი სიტყვით, მეტ დროს დაუთმობს კულ-  
ტურულ მოთხოვნილებების დაკავშირებებას. ბოლოს, განუწყვეტელი  
საწარმოო კვირის შემოღების გამო მუშის შრომა და დასკრენება ისე  
მისდევს ერთი მეორეს, რომ საქსებით ისპობა სარწმუნოებირვი უქმე-  
ები და კვირა დღეები. განუწყვეტელი კვირის დროს მუშა იგებს  
კულტურული მხრივ, იგებს ჯანმთელობის მხრივაც—უფრო ხშირად  
მისდევს ერთმანეთს შრომა და დასკრენება, თანაც წლის განმავლობა-  
ში არსებული გამოსასვლელი დღეების რიცხვი იგივე რჩება.

სარწმუნოებრივი უქმების და კვირა დღეების მოსპობა მეტის-  
მეტად შეარყევს, გაანადგურებს სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნებებს,  
ძველ ყოფაცხოვრებას და მის ლოთობას.

მთელი ის უპირატესობა და ხელსაყრელი პირობები, რომლებ-  
ბის შესახებ ზემოთ ვთქვით, საქსებით ვრცელდება სკოლებზეც, თუ,

რასაკვირველია, მომზადებულნი შევუდგებით ამ რეფორმას. საჭიროა საესებით შესატყვისი გაეხადოთ სკოლებში მუშაობის და წარმოებებში მუშაობის სისტემა, სადაც კველგან ხუთდღიან კვირაზე გადადიან.

მშობლებისა და ბავშების შრომა და დასვენება ერთსადამისვე დროს უნდა ხდებოდეს, აგრეთვე მოზარდნიც უნდა ვამზადოთ შემდგომ წარმოებაში გადასასვლელად. ამავე დროს ხუთდღიანი კვირა მეონი სკოლებში მუშაობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი სისტემაა შრომისა და დასვენების რაციონალური მორიგეობის, მოწაფეთა შრომის უნარის გადიდების და მუშაობის თვისების გაუმჯობესების თვალსაზრისით. განუწყვეტელ კვირაზე გადასვლამ სამუშაო ფართობის ერთგვარი ეკონომიაც უნდა მოგვცეს; ის, მართალია, ვერ მოაგვარებს სკოლის შენობების კრიზისის საკითხს, მაგრამ გამოასწორებს ზოგიერთ აუტანელ ნაკლს — მოწაფეების, განსაკუთრებით კი 4-წლების მოწაფეების, ორ ცვლად, ხან კი სამ ცვლად მუშაობას. ცხადია, უნდა ალინიშნოს ისიც, რომ განუწყვეტელ კვირაზე გადასვლას, როდესაც მოწაფეთა რიცხვი დიდია, სანიტარულ-ჰიგიენური მხრივ ცუდ შენობებშია და შენობა აჩცერთ დღეს არ ისვენებს, რის გამოც შეუძლებელია მისი ხეირიანი დეზინფექცია, პაერის გასუფთავება, გაწმენდა, — შესაძლოა ბავშების ჯანმრთელობისათვის ერთგვარი საშიშროებაც მოჰყვეს. ცხადია, განუწყვეტელ კვირაზე თითოეული დიდი სკოლის გადასვლის გეგმა ძალიან კარგად უნდა დამუშავდეს და იმ სათანადო ღონისძიებათა გამომუშავებაში, რომელნიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მინიმუმს, ექიმმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ცხადია ერთი რამ: იმ მოსაზრებით, რომ თავიდან ავიცილოთ ბავშთა გადამდები სნეულებანი და საესებით ჯამრთელი, დასვენებული შენობა გვექნეს ბავშთა უფრო სუსტი წრებისათვის, — 4-წლებით ხუთდღიან კვირაზე უნდა გადავიდენ, მაგრამ ეს კვირა განუწყვეტელი კი არ უნდა იყოს, არა მედ ყველა ჯგუფი ერთ დღეს უნდა ისვენებდეს; ამ დასასვენებელ დღეს შენობაში პაერი გულდასმით უნდა გასუფთავდეს, შენობა კარგად უნდა დასუფთავდეს; ამ დღეს შენობით ვერავინ ვერ ისარგებლებს — მან უნდა დაისვენოს.

საერთოდ ყოველივე ზემოთქმული ყველა სკოლას ეხება, მაგრამ სოფლის სკოლებისთვის, განსაკუთრებით ისეთი სკოლებისთვის, სადაც ერთი მასწავლებელი ორ ჯგუფს ასწავლის და შენობაც ხშირად მხოლოდ ორი ოთახისაგან შესდგება, საკითხი დაწვრილებით უნდა დამუშავდეს დამატებით.

სამუშაო დღეებისა და დასასვენებელი დღეების რიცხვი ყველა სკოლებში ერთი უნდა იყოს. სამუშაო დღეები, დასასვენებელი დღეების და არღადეგების პროექტი, ჩვენს მიერ წარმოდგენილი, სკოლებში და პედაგოგებშია ფართოდ უნდა განიხილონ. საფუძვლად უნდა აიღონ მისი ძირითადი დებულებები და დაამუშაონ განუწყვეტილ კვირაზე გადასვლელი სკოლის მუშაობის გეგმა.

საქართველოს ს. ს. რ. პირობების მიხედვით (პავის პირობები) სკოლებში მეცადინეობის დაწყება, დასრულება და არღადეგების განწყესრიგება შემდეგი სახით უნდა მოეწყოს:

- ა) შრ. სკ. 1 და 2 საფეხ. სწავლა დაიწყოს 5 სექტემბერს
- ბ) „ „ 1 საფ. სწავლა დამთავრდეს 15 ივნისს
- გ) „ „ 2 „ სწავლა „ 20 ივნისს
- დ) საორგანიზაციო მუშაობის და მისაღები და განმეორებითი კოლექტივების საწარმოებლად მუშაობა დაიწყოს 1 სექტემბრიდან.
- ე) არღადეგები წლის განმავლობაში მოეწყოს სამჯერ: ზამთარში, გაზაფხულზე და ზაფხულში; ზამთარში—5 დღე, გაზაფხულზე—5 დღე და ზაფხულში 60 დღე.
- ვ) პირველი ტრიმესტრი დაიწყოს 5 სექტემბერს, დამთავრდეს 10 დეკემბერს, 10 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე მოეწყოს საზამთრო არღადეგები:
- ზ) მეორე ტრიმესტრი დაიწყოს 16 დეკემბერს, დამთავრდეს 26 მარტს, 26 მარტიდან 31 მარტამდე მოეწყოს საგაზაფხულო არღადეგები.
- თ) მესამე ტრიმესტრი დაიწყოს 1 აპრილს, დამთავრდეს 20 ივნისს, 20 ივნისიდან 1 სექტემბრამდე მოეწყოს საზაფხულო არღადეგები.

იმ სამუშაო დღეების რაოდენობა იითოვეული ჯგუფისათვის უდრის 222 დღე (სექტემბრის 1-ლი 4 საორგანიზაციო მუშაობის დღეების ჩათვლით), ხოლო ნორმალური სწავლის დღეების რაოდენობა—218.

განუწყვეტელ კვირაზე სკოლების გადასვლას შეუძლია დიდი ცვლილებების შეტანა ბავშვების საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში და ყოფაში, თუ კი ჩვენ შევძლებთ ბავშის თავისუფალი დროის სათანადოდ გამოყენებას, ასეთი დრო კი ბავშს ახლა მეტი აქვს, ვიდრე წინათ. ჩვენ, განათლების მუშაქებს, ტყუილად კი არ გვიკიუნებენ, რომ უკან ვრჩებით, ვერ მივყვებით საერთო ტემპს, არ

ძალგვიძს დროისა და მასების მოთხოვნებზე პასუხის გაცემა. მართალია ის, რომ ჩვენ მოუმზადებელნი შევხვდით წარმოებათა გადასეულს განუწყვეტელ კვირაზე. ჩვენმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ვერ შესძლეს წარმოების მუშაობის ახალ პირობებთან შეგუება და კვირის ყველა დღეს თავისი მუშაობის მოწყობა.

მოავალი ათასი მუშების ინტერესების მიხედვით, იმ ათასეული მუშების, რომელნიც ყოველდღე ისვენებენ, პირდაპირ არ გვეპატივება, თუ ჩვენ კონტროლს არ გავუწევთ იმ მრავალ ათას ბავშს, რომელნიც ყოველდღე ისვენებენ, თუ კლუბებს, თეატრებს, კინოს, მუსიკალურ ტებნიუმებს, კონსერვატორიებს, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს ისე არ მოვაწყობთ, რომ ერთსადაიმავე დროს დიდი მუშებისათვისაც იყოს გამოსადევი და ბავშებსა და მოზარდებსაც გაუწიოს სამსახური. კლასობრივი ბრძოლის გამწვევების მიმდინარე მომენტში ჩვენი კლასობრივი მტრები შეეცდებიან ბავშების თავისუფალ დრო თავისი ინტერესებისათვის გამოიყენონ. საჭიროა განათლების განყოფილების ორგანოებმა, პოლიტგანათლებამ, კომქავშირმა, პიონერ-კოლექტივმა და ქალთა განყოფილებამ ერთად და სასწრაფოდ გამოიმუშაონ მოზარდთა ჯანმრთელი და გონიერი გართობის მოწყობისათვის საჭირო ლონისძიებანი, რომ განუწყვეტელ კვირაზე გადასელით უფრო გავაძლიეროთ და გავალრმაოთ კომუნისტური აღზრდის საქმე.

## 8. გოგუაძე

### დავაჩაროთ უწევეტ კვირაზე გადასვლა.

როდესაც მჩეწველობა გადადის 5-დღიან უწყვეტ საწარმოო კვირაზე, ამის უპირატესობას ასე ასაბუთებს: სამუშაო იარაღები შეუწყვეტლივ მოქმედებაშია, რაც პროდუქციას ზრდის და თვითონირებულებას ამცირებს; მუშის მრომა და დასვენება უფრო მოწესრიგებულია, რაც, თავის მხრივ, შრომის ნაყოფიერებას ზრდის დახარჯული ენერგიის უფრო ხშირი აღდგენით და შრომის ტემპის ზრდით. ტრადიციული კვირა-უქმეები ისპობა, რომლებთანაც ბლომადაა დაკავშირებული სხვადასხვა ცრუმორწმუნოებანი, მეშჩანობის ნაშთები, ლოთობა, ფუქსავატობა და ამით საგრძნობლად უსუსტდება ნიადაგი ძველ ყოფა-ცხოვრებას; მუშათა კლასს კულტურული მუშაობის გაფართოების საშუალება ეძლევა დასასვენებელი დღეების გადიდებით და სხვა.

მაგრამ უწყვეტი კვირაზე გადასვლას მარტო წარმოებაში როდი აქვს მნიშვნელობა. თუ გეგმიანად და სათანადო მომზადებით ჩავტარეთ გადასვლას, ის უდიდეს როლს ითამაშებს აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში: აქაც გაუქმდება კვირა-უქმე დღეები, უფრო მოწესრიგდება მოსწავლეთა ზედმეტი დატევირთვისა და დასვენების საკითხი, დასასკრინებელი დღის მოწესრიგებულად და სასარგებლოდ გამოყენება ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მუშაობას მომზადების დონის ამაღლების მიმართულებით და გაძლიერებს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობის შესაძლებლობას; მთლად თუ არ მოისპობა, — შემცირდება მაინც სკოლებში მესამე და მეორე წევებით მეცადინეობა და სხვ.

უწყვეტი კვირაზე გადასვლით სამუშაო დროის ბიუჯეტი არ უნდა შემცირდეს, — პირიქით უნდა გავადიდოთ. სამუშაო დღეების რაოდენობა 220-ზე ნაკლები ცოტა იქნება: ზოგის აზრი, თითქოს სამუშაო დღეების რაოდენობა არ უნდა გვაწუხებდეს, რადგან, ხშირი დასვენებით, შრომის ტემპი და ნაკოფიერება დიდდებაო — არ არის სწორი: სამუშაო ლევების რაოდენობის გადიდებას მარტო პროგრამების ფორმალურად გავლის თვალსაზრისით კი არ ვუდგებით, არამედ დაინტერესებული ვართ მოსწავლე მეტი წნის განმავლობაში იყოს მოქცეული საღი საზოგადოებრივი აღრიშდის პირობებში. ბევრიც დაისვენო და მეტიც იმუშაო — ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ სასწავლო წელიწადში, დახლოვებით, ასეთ ცვლილებებს შევიტანთ: მეცადინეობა 1 სექტემბერს დაიწყება და 20 ივნისამდე გასტანს, ხოლო საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგები 5-დღიანი იქნება — პირველი და მეორე ტრიმესტრის დასასრულს (დეკემბერში და მარტში).

უწყვეტი კვირაზე გადასვლა ერთ დიდ საკითხს უკავშირდება, რომლის უყურადებოდ დატოვება და მოუკვარებლობა საგრძნობლად შეამცირებს (თუ სულ არ გააქარწყლებს) უწყვეტი კვირის შედეგებს და მნიშვნელობას: ეს — მოსწავლეთა მოცალების მოწესრიგების და ორგანიზაციის საკითხია. აქ უკველად ვსუსტობთ: მოსწავლე ახალგაზრდობა სასარგებლოდ და მიზანშეწონილად ვერ იყენებსთავისუფალ დროს და ხშირად ექცევა ისეთი ფაქტორების გავლენის ქვეშ, რაც აღზრდის ჩვენს მიზნებს და ამოკანებს ეწინააღმდეგება: თუ ეს საკითხი დღესაც მწვავედ დგას, უწყვეტი კვირაზე გადასვლისას უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, რადგან ჩვეულებრივი სასკოლო მუშაობისაგან მოსწავლე მეტი დროის განმავლობაში იქნება თვეისუფალი: თუ ამჟამად (შვიდდღიანი კვირის დროს) 4 დღეა თვეში

თავისუფალი, ხუთდღიანი კვირის შემოღებით — 6 დღე იქნება. ბაშა— სადამე, თუ ამ საკითხს არ მოუარეთ, ბავშის ყოფნა, მიზანშეწონი— ლი აღზრდის თვალსაზრისით, შეურჩეველს და მოუწესრიგებელ პი— რობებში კიდევ უფრო ხანგრძლივი ხდება. არ უნდა ვიფიქროთ თი— თქოს ბავშის დასვენება გვშურდეს და მას ვეწინაალმდევებოდეთ: სადაც დასვენება არ არის — იქ მუშაობაც უნაყოფოა. მაგრამ დასვე— ნება ხომ უმოქმედობა და დროს უზროდ და უთავბოლოდ ფლან— გვა არაა: სასარგებლო გართობა, შთაბეჭდილებათა შეცვლა, ნება— ყოფლობით სამუშაოს არჩევა - შეცვლა, ყველაფერი ეს დაკავში— რებულია რაციონალურს დასვენებასთან. დასვენების კულტურაა სა— კირო. დასვენების და მოცალების ორგანიზაცია უფრო ძნელი საქ— მეა, ვიდრე შრომის მოწესრიგება.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ უწყვიტ კვირაზე გადასვლას— თან ერთად, სკოლის გარეშე კულტურული მუშაობა ერთი ათად— უნდა გაიზარდოს მოსწავლეთა მასების თვითმოქმედების გაძლიერე— ბით: საკულტო მუშაობის გაფართოება, სხვადასხვა წრეების შექმნა, სპორტისა და ფინკულტურის გაფართოება, ნორჩ ბუნებისმეტყველ— თა მოძრაობის დაწყება-გაძლიერება, მხარეთმცოდნეობითი მუშაობა, ექსკურსიები, ნებაყოფლობითი საზოგადოებათა უჯრედები, ახალ— გაზრდა მაყურებელთა თეატრების მოწყობა, ღილის კინო-სეანსები— პედაგოგიურად შერჩეული სურათებით, ბავშთა ბიბლიოთეკა-სამ— კითხველოების ქსელის გაშლა, ლექციები, ახალგაზრდების დასვენების. და კულტურის სახლების და კლუბების მოწყობა, საბავშო ლიტე— რატურის გაძლიერება, ბავშთა ტეხნიკური სადგურების გახსნა და— სხვა მრავალი — ამ ამოცანებზე უნდა დამახვილდეს ჩვენი ყურად— ღება: ამის გარეშე შეუძლებელია დასვენების მიზანშეწონილად და სასარგებლოდ მოწყობა: მოცალების ორგანიზაცია სოციალისტური აღზრდის უძლიერეს ფაქტორთაგანად უნდა გახდეს.

ამ მუშაობაში მარტო განათლების ორგანოებისა და სკოლების მონაწილეობა არ კმარა: აუცილებელია კომკავშირის, პიონერ-ორგა— ნიზაციების, ქალთა განყოფილების, პროფესიონალების, ხელოვნების და სამეცნიერო დაწესებულებათა, სკოლებთან არსებული დამზადებელი საბჭოების და სხვ. შეთანხმებული და ენერგიული მუშაობა განათ— ლების ორგანოებთან ერთად — მუშაობა გეგმიანი და შინაარსიანი. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ პედ. ფაკულტეტის, პედტეხნიკუ— მების და პედ. განნერიან ათწლედების მოსწავლე ახალგაზრდობა: მოსწავლეთა შორის კულტურული მუშაობა. და მათი. მოცალების

ორგანიზაცია მომავალ მასწავლებელთათვის პედაგოგიური პრაქტიკულის საუკეთესო სახელ უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა მოწაფეთა თვითორგანიზაციის თაოსნობა კულტურულ-განანათლებელ მუშაობაში ფართოდ უნდა გაიშალოს. საქმის უკეთ მოსაგვარებლად საჭირო იქნება სკოლების გაერთიანება უბნების მიხედვით: შეერთებული ძალონით უფრო ადვილად შესრულდება მოსწავლეთა მოცალების პედაგოგიურად მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტა.

სკოლის გარეშე კულტურული მუშაობის სათანადოთ დაყენება. სპეციალი მუშაკების კადრს მოითხოვს. მაგრამ შტატის გადიდების. შესაძლებლობა. ჩვენს ბიუჯეტს ჯერ კიდევ არ ექნება. ეს გარემოება, უმჭედლია, ართულებს საქმეს, მაგრამ მაქსიმალურად უნდა იქნას. გამოყენებული ყოველი საშუალება არსებული პირობების ფარგლებში. დაბრკოლება ტეხნიკური მუშაკების მხრივაც შეგვხვდება, მით უმეტეს პატარა სკოლებში, სადაც ერთი ან ორი კაცია, მაგრამ აქაც უნდა ვიშოვოთ გამოსავალი ადგილობრივი საშუალებით და მოსწავლეთა დახმარებით.

სკოლა, რომელიც ემზადება უწყვეტ კვირაზე გადასასელელად (ყველა უნდა ემზადებოდეს), უეჭველად უნდა აყენებდეს საკითხს მოსწავლეთა მოწესრიგებული პედაგოგიური გავლენის გაძლიერების შესახებ. საამისო ფაქტორები და სტიმულები უნდა შევქმნათ. ეს ჯერ ან სულ არაა ან სუსტადაა მოგარებული იმ სკოლებში, რომლებიც უკვე გადავიდენ უწყვეტ კვირაზე.

ის მოსაზრება, რომ თავისუფალი დღეები მასწავლებლობამ თავის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს უნდა მოახმაროს, საკითხს აყენებს იმის შესახებ, რომ განათლების მუშაქთა სახლებმა და კუთხეებმა თავისი მუშაობის გეგმაში ეს გარემოება გაითვალისწინონ, გარდა ამისა, ქალაქებსა და ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე სკოლა უშაობს, მეცადინეობის ცხრილი შეთანხმებით უნდა შესდგეს, რათა, შეძლებისდაგვარად, ერთი და იმავე ჯგუფების და საგნების. მასწავლებლები ერთსადამავე დასასენებელი დღეებით სარგებლობდენ, რომ სექციებში მუშაობა შესძლონ.

უწყვეტ კვირაზე გადასელის ტეხნიკური საკითხები სხვადასხვა-გვარად გადაწყდება სხვადასხვა ტიპებისა და საფეხურების სკოლებში—ჯგუფების რაოდენობის და მუშაობის თავისებურობის მიხედვით.

სოფლის სკოლა, სადაც მხოლოდ ერთი მასწავლებელია, უწყვეტ კვირას ვერ შემოიღებს, მაგრამ ხუთდღიან კვირაზე მაინც უნდა გადავიდეს.

მუშაობის ახალ გეგმაზე გადასცლა არ უნდა დავაგვინოთ. მოსამზადებელი მუშაობა ახლავე უნდა გაჩალდეს, სადაც ის დღეშიც არ დაწყებულა. პირველ რიგში ქალაქების სკოლები შესძლებენ უწყვეტ კვირაზე უმტკიფნეულად გადასცლას. ქალაქით უნდა დავიწყოთ, მაგრამ მომუშავე სკოლებიც უახლოეს ხანაში გადავიყვანოთ მუშაობის ახალ წესზე.

მაგრამ მარტო უწყვეტი კვირის საკითხის მოგვარება არ კმარა პედაგოგიური მუშაობის რაციონალიზაციისათვის: სასწავლო წლის რეორგანიზაციის საკითხიც უნდა დავაყენოთ. პედაგოგიურად უნდა მოვუაროთ საზაფხულო არღადეგებს, რომ ის წყვეტულს არ წარმოადგენდეს სასწავლო წელიწადში; აქაც არის საჭირო დასვენება-მოცალების პედაგოგიური ორგანიზაცია ჩვეულებრივი საზაფხულო დავალებებით. ამ მხრივ მაინც და მაინც შორს ვერ მივდივართ. ამას გარდა, დროა დავაყენოთ საკითხი მოსწავლეთა ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანის შესახებ: ხდებოდეს ეს მთელი წლის მუშაობის შემდეგ, თუ უფრო მიზანშეწონილია უფრო მოკლე დროის შემდეგ, როცა მოაწავლეთა მომზადება და უნარი საქმაოდ გამორკვეულია.

### 7. სისარულიძე.

## კადრების მომზადების საკითხი და ჩვენი აგოცანები.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი რადიკალურად აყენებს ახალი კადრების: მომზადების საკითხი: საკითხი ისმება არა მარტო რაოდენობის, არამედ თვისების ამაღლების თვალთსაზრისით. გარდამავალი ეპოქის ეკონომიკის პირობებში ჩვენი სახალხო მეურნეობა ისეთ სპეციალისტებს საჭიროებს, რომელთაც ღრმა მეცნიერულ-ტექნიკურ მომზადებასთან ერთად აუცილებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნაც ექნებათ იმ მიზნით, რომ სწორი გზით წავიყვანოთ მასების შემოქმედებითი აქტიობა. ის კადრი, რომელიც ჩვენ ამჟამად მოვეპოვება, ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას, ამიტომ საგსებით დროულია ახალი კადრების მომზადების მოწესრიგება.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის შეურნეობის კოლექტივიზაცია მოითხოვს ახალ ორგანიზატორებს, რომელთაც ექნებათ მსოფლიო მეცნიერების მიღწევების საფუძველზე მიღებული ცოდნა.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ტემპი კადრების მომზადების შესახებ არ შეესაბამება მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძვლებზე გარდაქმნის ტემპს.

სპეციალისტების ის კატეგორია, რომელიც მავნებელთა ჯგუფში იმყოფება და კაპიტალიზმის ინტერესების სასარგებლო მუშაობას ეწევა, განდევნილ უნდა იქნეს ჩვენი მეურნეობიდან კეთილსინდისიერ სპეციალისტებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან ერთად.

კადრების მომზადების სიმწვავეს კიდევ უფრო აშკარად ხდის კლასთა ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შესკვლიან საბჭოთა სახალხო მეურნეობასთან მტრულად განწყობილ სპეციალისტებს. მემარჯვენე ოპორტუნისტები, თავისი ეკონომიური პოზიციიდან გამომდინარენი, უარყოფენ სპეციალისტების მომზადებისათვის საჭირო ტემპის გაძლიერების აუცილებლობას. კლასობრივი ბრძოლის უარყოფასთან ერთად მემარჯვენე იდეოლოგები უარყოფენ სპეციალისტთა პოლიტიკურ დაჯგუფებას, რაც ყველაზე უფრო მაღაროს ამბებმა გამოააშკარავა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლი კადრების შეცვლის აუცილებლობა, ამის დასამტკიცებლად მოვიყენოთ რამდენიმე მაგალითი.ო

ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტებში რეაქციონური პროფესურა იღაშქრებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ. მასკვლეული სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი უმტკიცებს სტუდენტობას, რომ „კომუნისტები მსოფლიო ორგანიზაციის ისეთივე რამ არიან, რაც აღმიანის ორგანიზმში გვევლინება. . . ბაქტერიების სახით, ისეთივე უარყოფითი როლს თამაშობენ, ისევე მრავლდებიან და ამზადებენ მავნე პროდუქტებს ორგანიზმისათვის“. ბაქტერიების სახით, ისეთივე უარყოფითი როლს თამაშობენ, ისევე მრავლდებიან და ამზადებენ მავნე პროდუქტებს ორგანიზმისათვის“.

უკრაინის მათემატიკის ერთ-ერთი პროფესორი ეუბნება სტუდენტებს: „ფრჩხილები (ცეინჩი) ეს ბოლშევიკებია—დამრღვევი საერთო წესრიგის; ეს ფრჩხილები—ბოლშევიკები—რომ არ ყოფილიყო ამოცანა გადაწყვეტილი იქნებოდა“.

პარტიის პოლიტიკა იქითქნაა მიმართული, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები შევსებული იქნას პროლეტარიატისათვის მისაღები სოციალური ელემენტებით. რეაქციონური პროფესურა იღაშქრებს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მათი აზრით: „აღამიანები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში დაზიდან და სახნისიდან მიდიან, არ შეიძლება გახდენ მეცნიერულ მუშაკებად, რადგანაც მათი ორგანიზმი ამას ვერ ეგუება, ვერ იტანს“. . .

რეაქციონური პროცესურა ილაშქრებს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარღვი. პროცესუროვის აზრით, „სოფლის მეურნეობის აღორძინება დამოკიდებულია მდიდარი მეპატრონისაგან, მისი აზრით, შემცდარია ჩვენი პოლიტიკა შეძლებული გლეხობის მიმართ და სხვა. ამასვე იმეორებს ციმბირის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროცესორი სტალგანი და სხვები.“

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის იდეოლოგიურად მიუღებელი სპეციალისტები შეტევაზე გადმოდიან. ამიტომ ჩვენს წინაშე ისმება ასეთი სპეციალისტების რაც შეიძლება დაჩქარებით შეცვლის საკითხი.

ჩვენი პარტიის ც. კ ივლისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა ეს გარემოება და დასახა ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ლონისძიებანი. მაგრამ ეს ლონისძიებანი არ არის ჯერ კიდევ განხორციელებული, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ახალი სპეციალისტების მომზადების საკითხი მოელი პარტიის ძირითად ამოცანად გადაიჭრეს.

განსაკუთრებით მეტალურგიის მანქანათა მშენებლობის და ქიმიკოსების ნაკლებობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისმება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ქსელის გაფართოების საკითხი. ხუთი წლის განმავლობაში 47 უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და 172 ტექნიკუმის გახსნა საქართვის არ არის. ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს ყველა სამეურნეო ორგანიზაცია ერთად დაკისრებული აქვს 3 თვის განმავლობაში გამოიმუშაოს ახალი კადრების მომზადებისა და ახალი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მშენებლობის 5-წლიანი გეგმა. გეგმა იმდენად ზუსტი უნდა იყოს, რომ უმაღლეს სასწავლებლების არსებული ქსელის გამოყენებასთან ერთად უნდა იძლეოდეს ახალი ქსელის ცალკეული რაიონების კონკრეტულ საჭიროებათა აღრიცხვას. უმაღლეს სასწავლებელთა პროდუქციის ზრდის თვალოსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეორე წელს ერთსადაიამვე კურსზე დატოვების საქმეს. იმის შესახებ, რაც დღემდე გაკეთდა კადრების მომზადების დარღვი, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი შემდეგს აღნიშნავს: „ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას არადამა კაყოფილებლად ასრულებენ, როგორც განათლების სახალხო კომისარიატისა და ს. მუ. საბჭოს ორგანიზები, ისე პროცესუარები და პარტიული ორგანიზაციები“.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ კადრების მომზადების საკითხი ამ ორგანოების მოქმედების ცენტრალურ საკითხად გადაიქცეს?

ამისათვის საჭიროა ალებული ტემპის გაძლიერება და დაბრკოლებათა გადალახვისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი ინჟინერ-ტექნიკოსთა მომზადების საკითხს კიდევ უფრო მწვავედ აყენებს. იმ მოთხოვნილების მიხედვით, რომელსაც აყენებს ჩვენი მეურნეობის განვითარება, დეფიციტი მარტო საქართველოსათვის შემდეგ ციფრებში ვამოიხატება: ინჟინერი—173, ტექნიკოსი—580, აგრონომი—750 და აგროტექნიკოსი—3800.

როგორც ვხედავთ, დანაკლისი მეტად მნიშვნელოვანი იქნება. საჭიროა ამ გარემოებას ახლავე მიექცეს შესაფერისი ყურადღება. ამ მხრივ უნდა ალინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს შესაფერ სამეურნეო ორგანოებით ერთად ჯერ კიდევ არ შეუდგენია სპეციალისტების მომზადების პ-წლიანი გეგმა.

ის გეგმა, რომელიც ამ დარღმი მოგვებოვება, დამაკმაყოფილებელი არ არის. საჭიროა მისი გადასინჯვა და შედარებით უფრო. საფუძვლიანი დასაბუთება რაიონების სამეურნეო მოთხოვნილებათა გათვალისწინების საფუძველზე.

ჩევნთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კადრების გადამზადების საქმეს, რომელიც ამჟამად საპასუხისმგებლო ტექნიკურ თანამდებობაზე მუშაობს. საჭიროა ვიზურუნოთ დაწინაურებულთა ცოდნის შევსებისათვის, რომ მათ მუშაობის წარმოებისათვის მეტი პრაქტიკული ღირებულება ექნეს. ქალაქად პროფტექნიკური კურსების ქსელის გაფართოებასთან ერთად, რომელზედაც უმთავრესად სამეურნეო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები გადაყვანილ უნდა იქნას განუწყვეტილ სასწავლო წელსა და კვირაზე, რომ ტექნიკურ სასწავლებელთა პროდუქცია 30—50-მდე. მალე ავიყვანოთ.

კადრების მომზადების საქმის წესიერი ორგანიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო განათლების რეფორმის საქმეს. დღემდე საწარმოო პრაქტიკა სტუდენტთა მომზადების საქმეში უმნიშვნელო როლს ასრულებდა, რადგანაც სამეურნეო ორგანიზაციები საწარმოო პრაქტიკას ფორმალური თვალსაზრისით უცემოდენ. უმაღლეს და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის გაძლიერებისათვის აუცილებელია მათი მუშაობის შინაარსის გადასინჯვა იმ მიმართებით, რომ მათი სასწავლო გეგმვა

ბიდან ამოღებულ იქნას ისეთი საგნები, რომლებიც უმნიშვნელო როლს თამაშობს. სასწავლო გეგმების გადასინჯვა იმ თვეალთსაზრი-სით უნდა მოხდეს, რომ მას აკორიული ცოდნის დონის შემოღება შედეგად არ წმოყვეს. განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა შეტანილ უნდა იქნას ტექნიკურ სასწავლებლების სასწავლო გეგმაში და პრო-გრამებში. აუცილებელია საწარმოო პრაქტიკის გაფართოება და მი-სი თვისისმრივი მხარის გაუმჯობესება. იმ მიზნით, რომ თეორიული და პრაქტიკული მუშაობა შემოღებულ იქნას წარმოებითი აღზრდის საფუძველზე, განზრახულია წარმოება-ხკოლის ორგანიზაცია, სადაც ცდის სახით კადრების მომზადება დაკავშირებული იქნება წარმოე-ბაში მუდმივ მუშაობასთან.

ასეთი სახის სკოლას ჩვენი ქვეყნის სინამდვილისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

საქართველოს სინამდვილისათვის საწარმოო პრაქტიკის საკითხი უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში მოგვარებული არ არის.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობის მხოლოდ უმნი-შენელო ნაწილი იგზავნებოდა ზამთრის საწარმოო პრაქტიკაზე. ტექნიკუმებში საწარმოო პრაქტიკა მეტად სუსტად არის დაყე-ნებული. მათი საწარმოო პრაქტიკა უმთავრესად იმით ამოიწუ-რება, რაც თვით ამა თუ იმ ტექნიკუმს მოეპოვება. მათ სასწავლე-ბლის კედლების გარეშე გასვლას დღემდე ვერ ვხედავთ, რასაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აგრძონმიული ფაქულტეტის სა-წარმოო პრაქტიკა, რომელიც დღემდე მეტად მოისუსტებდა. ამიტო-ბაც არის, რომ კურსდამთავრებულებს არ მოეპოვებათ შესაფერისი პრაქტიკული ცოდნა-ჩევევები. ხშირია შემთხვევები, სადაც აგრო-ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სასოფლო-სამეურნეო ხასიათის სკოლებში სამუშაოდ გაგზანების დროს ვერ ასრულებენ იმ ამოცანებს, რომელიც სკოლის წინაშეა დასმული. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ საწარმოო პრაქტიკის სისუსტესთან ერთად მოისუსტებს აგრო-ნომების პედაგოგიური განათლება. მომავალში აუცილებელია ამ გა-რემოებასაც მიექცეს ყურადღება, რადგანაც სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქსელის გაფართოება მოითხოვს არა ნაკლებ 450 აგრო-ნომისა, რომელთაც წინასწარ უნდა მიეცეს პედაგოგიური განათლების მინიმუმი. ტექნიკურ სასწავლებელთა რეორგანიზაცია, ცეკას დადგე-ნილების თანახმად, უნდა გატარდეს 1930—31 სასწავლო წლისა-თვის. საჭიროა ზოგიერთ ტექნიკურ სასწავლებელში სწავლების დრო

შემცირებულ იქნას 3 წლამდე. ამისდა მოხელვით უნდა გადამუშავდეს სასწავლო გეგმები და პროგრამები. გეგმების გადასინჯვის ღრმულადება უნდა მიექცეს სასწავლო გეგმებში კონკრეტული ეკონომიკისა და ტექნიკის მარქსისტული ისტორიის შეტანას; რომელიც დღემდე მეტად მოისუსტებს. ამ პრინციპის თანაბმად გადასინჯულ ინდა იქნას მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში გამოცემული სავალდებულო სახელმძღვანელოები, სადაც ჯერ კიდევ არ არის მოცემული ცალკე საკითხების მარქსისტული ანალიზი.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპი მოითხოვს სათანადო სიმაღლეზე დაყენებულ იქნას სამეცნიერო-საგამომკეყლეო და პედაგოგიური კიდრების მომზადება.

მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაფართოებას ღიღი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ძალებიდან მეცნიერული მუშაკების მოსამზადებლად. ჩევნში სათანადო თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პედაგოგიური კადრები მეტად მცირეა. აუცილებელია ამ მხრივ განათლების კომისარიატმა გადასრგას პრაქტიკული ნაბიჯები და უმაღლეს პედაგოგიურ კვლევის ინსტიტუტში გაგზავნილ იქნას 30/31 წლისათვის 5 პედაგოგიური მუშაკი. სამეცნიერო კადრების გასაძლიერებლად ცეკას დადგენილებით „იმ პირთაგან, რომლებიც წელს დაამთავრებენ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, გამოყოფილ უნდი იქნან მუშები და კომუნისტები არა ნაკლებ 300 კაცისა.

ჩვენი მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოეთის ტექნიკური გამოცდილების გამოყენებას. ამ მიზნით ცენტრალური კომიტეტი წინადაღებას იძლევა: „მიმდინარე წელს გადიდებულ იქნას უცხოეთში მუშაკების გაგზავნა (არა ნაკლებ 300 კაცისა). ამავე დროს საჭიროა უფრო ენერგიულად ჩამბოლ იქნას ტექნიკურ-სამეურნეო და სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობაზი თვალსაჩინო უცხოელი სპეციალისტები და მოზარავებულ იქნას მათი საუკეთესოდ გამოყენება, ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას უცხოეთის ტექნიკური ლიტერატურის სისტემატიკურად გამოწერა და როგორც უცხოელი სპეციალისტების ლექციების მოწყობა, ისე საბჭოთა სპეციალისტების მიერ ლექციების წაკითხვა უცხოეთის გამოცდილების შესახებ, აგრეთვე სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ უცხო ენების შესწავლა. ამავე დროს საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა ყველა ლა-

ბორატორიის სისტემატიური მიმართლება უცხოეთის სათანადო მოწყობილობით“.

ნოემბრის პლენუმმა ხაზი გაუსვა ხელმძღვანელობის რაციონალური ორგანიზაციის საკითხს. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლთა მართვა-გამგეობას გადაეცემა მთელი სასწავლებლის პედაგოგიური და აღმინისტრატიული ფუნქციები, ხოლო სტუდენტთა ორგანიზაციები განთავისუფლდებიან ამ მოვალეობის შესრულებისაგან. პლენუმის დადგენილების თანახმად სტუდენტთა პარტორგანიზაციები არ უნდა ერეოდენ მართვა-გამგეობის წერილმანებში და აღმინისტრაციის უშუალო განკარგულებაში. ამავე დროს „მართვა-გამგეობის არჩეულობა შეცვლილ იქნას (რექტორები, დეკანატები) ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სათანადო დანიშვნებით“.

ყველაფერი ეს მიმართულია იქითკენ, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები მათი საწარმოო განათლების დონის აწევის მიზნით განტვირთულ იქნას აღმინისტრატიული მუშაობისაგან და ტექნიკური სასწავლებლები გადაყვანილ იქნას ერთპიროვნულ მართველობაზე.

სპეციალისტების ახალი კადრების მომზადების საჭის წესიერი ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის აწევას. რა არის ამისათვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა, საშუალო სასწავლებლების (10-წლედები) უზრუნველყოფა მატერიალურად და შესაფერისი პედაგოგიური სკოლებით. ამავე დროს გადასინჯულ უნდა იქმნას 10-წლედების სკოლური შემადგენლობა, რომ მასში თავი მოვყენოთ მუშების, ულარიბესი გლეხებისა და კოლეგურნეობაში გაერთიანებულთა შეილებს. მხოლოდ ამ ძირითადი გარდატეხის შემდეგ მეორე საფუძურის სკოლები შესძლებს ტექნიკურ სასწავლებლებისათვის საჭირო კადრის მომზადებას. ეს კიდევ საკმარისი არ არის. ახალი კადრების მომზადების საკითხთან დაკავშირებით უნდა მოვახდინოთ სპეციალური განხრების მნიშვნელოვანი დიფერენციაცია, რომელიც თავის მხრივ უნდა გამომდინარეობდეს რაიონის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებიდან, ამ მიმართებით უნდა გადაისინჯოს 10-წლედების სასწავლო გეგმა და პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწავეთა მატერიალური უზრუნველყოფის და მათვის საერთო საცხოვრებლების მოწყობის საჭეს. საშუალო სასწავლებლებში მხოლოდ ძირითადი გარდატეხის შემდეგ შესაძლებელი გახდება კადრების მომზადებისათვის სისტემატიური მუშაობის წარმოება.

თავისი მუშაობის მიმართულება უნდა შესცვალოს სოფლის ახ. სკოლებმა, რაღაც ამ სკოლებიდან ჩვენ უნდა მივიღოთ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობისათვის საჭირო დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრები. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოწაფეთა სოციალური შერჩევის საქმეს შედარებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ეს სკოლები „უნდა წარმოადგენდენ იმ წყაროს, საიდანაც უნდა შეიცვალოს ღარიბი და საშუალო შეძლების ახალგაზრდობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურები და უმაღლესი სასწავლებლები“ (ნოემბრის პლენუმის დადგენილება). უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში „1000“-ის მივლინების პრაქტიკამ საცხებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ამიტომ 30/31 სასწავლო წლისათვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მივლინებულ იქნება 2000 კაცი, 31/32 წელს — 3000 კაცი. სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში ნავარაუდევია 1930 წელს გაიგზავნოს 1000, 1931 წელს კი 2000. ამ დადგენილების განსახორციელებლად საჭიროა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის წარმოება.

კურსების რიცხვობრივი ზრდა მოითხოვს ყურადღება მიექცეს იმ სასწავლებელთა ყოველმხრივ მოწყობას, რადაც უნდა მომზადებენ ეს კადრები. ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი სასწავლებლებისათვის საჭირო შენობების აგების საქმეს. უმაღლეს სასწავლებელთათვის საჭირო ფართობი მეტად არადამაქმაყოფილებელია. მაგალითად, ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა საჭირო ფართობის მხოლოდ 20 % შეიცავს. ასეთსავე მდგომარეობაში სხვა უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკურები. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია სამეურნეო ორგანოების დაინტერესება და მათ მიერ სამრეწველო ფონდში მრეწველობის ანარიცხების თავის დროზე შეტანა, რომ პროფტექნიკური განათლებისათვის საჭირო თანხები თავის დროზე და რაციონალურად იხარჯებოდეს. ხშირად პროფტექნიკური განათლების ფონდი არ იხარჯება პირდაპირი დანიშნულებისამებრ, რაც აფერხებს დაწყებული მუშაობის თავის დროზე დამთავრებას.

კადრების მომზადებისათვის ზემოთანაიშნული ღონისძიების განხორციელებასთან ერთად საჭიროა მრავალი სხვა გადაუდებელი საკითხის თავის დროზე მოგვარება. ასეთი საკითხთა რაგს ეკუთვნის სტუდენტების მატერიალურად უზრუნველყოფა (მათთვის საერთო საცხოვრებლების მოწყობა და სტიპენდიების გადიდება), განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საქართველოს სტუდენტობის შესა-

ხებ; გარდა ამისა, საჭიროა მასწავლებელთა და პროფესორთა მატე-  
რიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტექნიკური ინტელიგენციის-  
საზღვარგარეთ მივლინება, მათ შორის საზოგადოებრივ პოლიტიკუ-  
რი მუშაობის გაძლიერება და სხვა.

როგორც ვხედავთ, კადრების მომზადების საკითხთან დაკავში-  
რებით მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საქმიანობის ჩა-  
ტარებაც საჭიროა.

სპეციალისტების მომზადების საკითხის გარშემო უნდა დავრა-  
ზმოთ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, უნდა გავაძლიეროთ პრო-  
ფესორის სამეცნიერო ძალებისა, სტუდენტობის და ყოველი განათ-  
ლების მუშაკის აქტიური მონაწილეობა ტექნიკური განათლების რე-  
ორგანიზაციის საქმეში. დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუტადოთ  
ყველა იმათ, ვინც ილაშქრებს რეფორმის წინააღმდევ და შემარიგე-  
ბელ პოხიციას იქვერს რეაქციონურ პროფესორებთან. მხოლოდ სის-  
ტემატიკური და სწრაფი ტემპით მუშაობით შევძლებთ იმ მეტად მნი-  
შვნელოვანი ამოცანის დადებითად გადაჭრას, რომელსაც სახალხო  
მეურნეობის განვითარების პერსპექტივები აყენებს განათლების ორგა-  
ნოების წინაშე.

## სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობა.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობა, რომელიც საბჭოთა რუ-  
სეთის მაგალითთ ამჟამათ საქართველოშიც დაიწყო, განათლების  
დარგში საერთოდ ყველა მუშაკისა და კერძოდ სკოლის ასაკამდე  
აღზრდის ხელმძღვანელთათვის მიმღინარე და მომავალი რამოდენიმე  
სასწავლო წლის განმავლობაში ყურადღების მთავარ ცენტრში უნდა  
მოექცეს.

მართლაც, ამ ლაშქრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დიდი-  
დამაბრკოლებელი მიზეზების, — სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესე-  
ბულებათა სიმკირის, — თავიდან ასაკილებლად, რომელიც ხელს-  
უშლის სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში მუშაობის ფართოდ-  
გაშლას.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის დანიშნულება არის  
სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა, — საბ. კერების, საბ.-  
ბალების, დღისა და საღამოს ოთხების, — ქსელის გაფართოება. ამ  
საქმეში პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მსხვილი-  
წარმოებების, საბჭოთა და კოლმეურნეობისა და საერთოდ მთელი  
მშრომელი მოსახლეობის ჩაბმის საშუალებით.

რასაკვირველია, ეს საქმე მოკლე დროში არ მოგვარდება. ამიტომ ლაშერობასაც ეძლევა არა კამანის ხასიათი, არამედ ხანგრძლივი მუშაობისათვის საჭირო ლონისძიების, რომლის წარმატებით გამოყენება დამოკიდებულია ლაშერობაში მონაწილე ყოველი წევრის ენერგიულ და აქტიურ მუშაობასა და მათზე დაკისრებულ საქმის სრული პასუხისმგებლობის შეგენებაზე.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საკითხი.

საბჭოთა კავშირში არსებული საბ: ბალები და კერები ამ ასაკის ბავშთა (4 წლ.—8 წლამდე) მხოლოდ  $0,58\%$  აქმაყოფილებენ. საქართველოში ეს რიცხვი  $1,7\%$ , აღწევს. ამრიგათ ჩენ ვხედავთ, რომ ახალი თაობის წესიერად აღზრდისათვის ყველაზე უფრო პასუხსავები და პედაგოგისათვის შედარებით უფრო აღვილად მისაწილობი ასაკი სწორეთ მიმართული აღმზრდელობითი ზეგავლენის გარეშე რჩება.

ეს გარემოება მრავალი მხრით უდიდესი ზიანის მომტანია. საბჭოთა სახელმწიფოსთვის.

**288**  
**4** მართლაც, საბ. ბალებისა და კერების გარეშე დარჩენილი ბავშების უმრავლესობას ოჯახებში აღზრდის შესაფერი პირობები არ აქვს, ასე რომ ოჯახის ამარა მათი დატოვება მათ შოუვლელობასა და ხშირად უპატრონობასაც იწვევს, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს როგორც ბავშების ჯანმრთელობის მდგომარეობის, ისე მათი ხასიათის საბოლოოთ შემუშავებისათვის.

სკოლაში შესვლის შემდეგაც ამნაირ პირობებში აღზრდილი ბავშები უფრო ხშირად ვერ ახერხდებენ სკოლის სამუშაოს წესიერად შესრულებას, დანარჩენ ამხანაგებს ჩებიან როგორც ცოლნაში, ისე საერთო სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში და მეორე წელს ერთსა და იმავე ჯგუფში დარჩენით ზედმეტ მძიმე ტვირთად აწვებიან სახელმწიფოს.

შემდეგ, დიდ უარყოფით მხარეს, რომელსაც სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა სიმცირე საბჭოთა სახელმწიფო ბრივი ცხოვრებისათვის ქმნის, წარმოადგენს ის გარემოება, რომ მშრომელი მუშა და ლარიბ გლეხქალებს, რომელთა შვილები საბ. ბალის გარეშე არიან დარჩენილი, გარდა იმისა, რომ მათი შვილები დედების მუშაობის დროს მოუვლელად რჩებიან, — საშუალება არ აქვთ თავისუფალ დროს საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ და ამრიგათ თავისი წელილი შეიტანონ სოციალისტურ მშენებლობაში.

არსებული მდგომარეობა, მაშასადამე, სახელმწიფოს წინაშე პირველ რიგში აყენებს საკითხს საბავშო დაწესებულებების — საბ. ბალების, კერძების, დღისა და საღამოს ოთახების ქსელის გაფართოების შესახებ.

ჯერჯერობით მთელი საბჭოთა კაშირის და კერძოდ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, რომ ეს დიდი საქმე, რომელიც მთლიანად აუარებელ ხარჯებს მოითხოვს, მხოლოდ სახელმწიფოს ნივთიერი საშუალებით მოვეარდეს.

საჭიროა შშრომელმა მოსახლეობამ, რომელიც უშუალებოდ განიცდის საბ. კერძებისა და ბალების სიმცირით გამოწვეულ გაჭირვებას და რომელიც ამის გამო თვითონ არის განსაკუთრებით დაინტერესებული ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საკითხით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობაში და ყოველ მხრივ, სისტემატიურად, ხელი შეუწყოს მის წარმატებით ჩატარებას.

ვისთვის უნდა გაიხსნას პირველ რიგში სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები?

ჩვენ ზევით ვთქვით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მუშა და გლეხი ქალებისათვის.

აქედან ცხალია, რომ ახალი საბავშო დაწესებულებებით, საბ. კერძით, ბალებითა და დღისა და ლამის ოთახებით, პირველათ დაკმაყოფილებული უნდა იყვნენ მთელი 100%, ის ქარხანა-წარმოებები, რომლებშიც უმთავრესად ქალები არიან ჩაბმული.

სოფლად უპირატესობა უნდა მიეცეს საბჭოთა და კოლმეურნებებს, როგორც ჩვენი სასოფლო-მეურნეობისა და სოფლის ყოფა-ცხოვრების ახალ, სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნილ უჯრედებს, რომელთა მუშაობაში განსაკუთრებული როლი გლეხმა ქალებმა უნდა ითამაშონ. კოლმეურნეობებში შეკავშირებული გლეხობისათვის მაინც, განსაკუთრებით გლეხი ქალებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს, როგორც ერთ-ერთ კულტურულ კერძას, რომლის საშუალებით ჩვენს ჩამორჩენილ მშრომელ გლეხობაში ახალი ყოფა-ცხოვრების ელემენტები იჭრება. ქალაქებში, — გარდა ფაბრიკა-ქარხებისა, ყოველი მსხვილი ორგანიზაციის, — როგორიც არის, მაგალითად, კომპერატიული დაწესებულებები, საბინაო ამხანაგობები და სხვა — უშუალო ინტერესს წარმოადგენს თავის ხარჯზე სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა, — იქნება ეს პრიმიტივები, თუ ნორმალური ტიპის საბ. ბალები და კირები, — ქსელის გაფართოება.

ქსელის გაფართოების საკითხთან ერთად წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული ახლად გასახსნელ დაწესებულებათა ტიპის საკითხებიც.

ცადია, მუშა-ქალების ზავშებისავის ფაბრიკა-ქარხნებთან უნდა მოეწყოს საბ. კერძი, სადაც მუშაობა იწარმოებს მთელი იმ საათების განმავლობაში, რომლებსაც მუშა-ქალები წარმოებაში მუშაობას ანდომებენ, ე. ა. 8—10 საათს, და სალამოს ოთახები იმ მიზნით, რომ თავისუფალ დროს მუშა-ქალებს საშუალება მიეცეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ.

საბორთა და კოლმეურნეობებთან უფრო მიზანშეწონილია საბ. კერის გახსნა, ერთი მხრით იმისთვის, რომ მეურნეობაში ჩაბმულ გლეხ ქალებს შინ მიტოვებულ ბავშებზე ზრუნვა არ დასჭირდეთ იმ დროის განმავლობაში, სანამ ისინი მუშაობდნ; მეორე მხრით, რაც უფრო ხანგრძლივად დარჩებიან გლეხის ბავშები საბ. კერაში, მით უფრო ადვილი იქნება მათში საერთო კულტურული და კოლექტიური ჩვევების განმტკიცება, რაც ბავშების საშუალებით შეძლებ ვლეა. ხების ოჯახებში ფეხს იყიდებს.

ზაფხულში, როდესაც კოლმეურნეობების წევრები მთელი შემადგენლობით, როგორც ვაჟები, ისე ქალები, დილიდან სალამომდე სამეურნეო მუშაობას ეწევიან, საბაჟო კერებს მოუხდებათ თითქმის მთელი დღის განმავლობაში, 10—12 საათს,—მუშაობა, რომ ნამდვილი დახმარება აღმოუჩინონ ოჯახიდან სამუშაოთ გასულ გლეხ ქალებს.

დანარჩენი მშრომელი მოსახლეობისათვის სოფულად და ქალად, შესაძლებელია საბ. კერებთან და ბალებთან ერთად გაიხსნას აგრეთვე პრიმიტივებიც (უფრო მარტივი, პრიმიტიულათ მოწყობილი საბ. ბალი), რომ მოვლისა და აღმზრდელობის ზეგავლენას სავსებით მოკლებული ბავშები ყოველდღე, რამდენიმე საათის განმავლობაში მაინც ოჯახთან შედარებით უკეთეს პირობებში იყენებ ჩაყენებული.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ტიპის ამორჩევის საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში, რასაკვირველია, დამოკიდებელია აღგილობრივ პირობებსა და ნივთიერ საშუალებებზე, რაც დაწვრილებით უნდა იქნას აღრიცხული სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ჩატარების პროცესში.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის ჩასატარებლად რესპუბლიკის მასშტაბით არჩეულია ცენტრალური შტაბი, რომლებშიც შედიან გან. სახ. კომისარიატის, მსვილი წარმოებებისა და პარტიულ

და საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლები. ცენტრალური შტაბი ხელმძღვანელობას გაუწევს ლაშქრობის ჩატარებას ადგილებზე. სადაც აგრეთვე ცენტრის მსგავსად უნდა ჩამოყალიბდეს ლაშქრობის შტაბი,

შტაბის მთელი მუშაობა ადგილებზე იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ შტაბის მონაწილეობაში (სკოლის ასაკამდე აღზრდის ახალ დაწესებულებათა შესაქმნელად საჭირო თანხების გამონაზვა, მოსახლეობაში პროპაგანდის გაწევა, სკოლის ასაკამდე ბავშების რაოდენობის აღრიცხვა და იმ პუნქტების გამოყოფა, სადაც აუცილებელი იქნება საბ. ბალების გახსნა, საჭირო ბინების გამონაზვა და ავეჯის და დიდაქტიური მასალის დამზადება და სხვა და სხვა).

განათლების დარგში ყოველ მუშაქს და კერძოთ სკოლის ასაკამდე აღზრდის ყოველ ხელმძღვანელს განსაკუთრებით ევალება სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობაში უშუალოდ ჩაებან და სიტყვით და საქმით ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მის წარმატებით ჩატარებას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

### პ. ჩხარტიშვილი

## გავაძლიეროთ საბიბლიოთებო მუშაობა.

საბიბლიოთებო ლაშქრობის გამო

მოსახლეობის ზოგადი კულტურული დონის ამაღლება დიალი სოციალისტური მშენებლობის განხორციელების აუცილებელი პირობაა. კულტურული დონის ამაღლებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წიგნს. წიგნის რაციონალურად სარგებლობა და მიწოდება მშრომელთა ფართო ფენებისალმი დღევანდელობის აქტუალური და გადაუდებელი ამოცანაა. ამოცანასთან დაკავშირებით საბიბლიოთებო ქსელს გადამჭრელი ფაქტორის როლი ეკუთვნება, რაღანაც ის წიგნის კოლექტიურად სარგებლობის ძირითადი უჯრედია.

მასიური პოლიტიკური წიგნის მიწოდებით ბიბლიოთეკამ დახმარება უნდა გაუწიოს მუშათა და მშრომელი გლეხობის ფართო მასებს. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ლენინურად ათვისების და გაეების საქმეს. უნდა დარაზმოს მასები ძირითად პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ საკითხთა ირგვლივ.

მასიური საწარმოო წიგნის მიწოდებით ბიბლიოთეკა უნდა აი-არალებდეს მუშებს ცოდნით და გამოცდილებით მრეწველობის რა-ციონალიზაციისა და შრომის ნაყოფის აწევისათვის; სასოფლო სამე-ურნეო კომპერატული და კოლექტივიზაციის შინაარსის ლიტერა-ტურის მიწოდებით ბიბლიოთეკებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსავლია-ნობის გაღილებას და წერილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეო-ბის მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობაში გადაყანის საჭეს. ასე-თია, მოკლედ, ბიბლიოთეკების წინაშე მდგომი ამოცანები. მაგრამ ბიბლიოთეკების ფაქტიური მდგომარეობა საქართველოში არ შეეფე-რება მის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს: ჩვენს საბიბლიოთეკო ფრონტს სისუსტე და ჩამორჩენილობა ახასიათებს.

წიგნის ფონდის სიმცირე, დაძველებულ გამოუსადეგარ წიგნთა შიმრავლე, ტექნიკური მოუწყობლობა, მუშაკთა დაბალი კვალიფიკა-ცია, — აი ჩვენი საბიბლიოთეკო ქსელის ზოგადი სახე.

მთავარი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა. ბიბლიოთეკების და ქოხ-სამკითხველოების მატერიალური ბაზის უქონლობაში უნდა ვე-ძიოთ. ის მცირე და ხშირი უმნიშვნელო თანხები, რომლებიც ბიბ-ლიოთეკებს ბიუჯეტით ეძლევა, ოდნავადაც ვერ აქმაყოფილებს მო-თხოვნილებას, რაც საბიბლიოთეკო მუშაობას ხელს უშლის და მისი მოქმედების არეს ძალზე ზღუდავს.

საჭიროა უმოკლეს ვადაში საბიბლიოთეკო მუშაობის გადახ-ლისება და გაცხოველება, აუცილებელია ამ მიმართებით ძირული გარდატეხის მოხდენა, ეს კი შესაძლებებელია იმ შემთხვევაში, თუ გაშლილი იქნება ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა საბიბლიოთე-კო საქმის ირგვლივ. ამ მიზნით, უმაღლეს ორგანოთა დადგენილე-ბით, 15 ნოემბრიდან 15 იანვრამდე გადაწყვეტილია საბიბლიონი ლაშქრობის ჩატარება მთელს რესპუბლიკაში.

ბიბლიოშერობა მიმდინარეობს ლოზუნგით „წიგნი მასებს“.. ბიბ-ლიშქრობის ძირითადი ამოცანაა ბიბლიოთეკებში ფართო საზოგა-დოებრივობის მოზიდვა და ბიბლიოთეკათა სოციალისტური მშენებ-ლობის აქტიურ მონაწილეებად გარდაქმნა.

ლაშქრობის შედეგად უნდა მივიღოთ: ბიბლიოთეკების მუშაო-ბის ხარისხობრივი ზრდა. პოლიტიკური, საწარმოო და სასოფ-ლო-სამეურნეო წიგნების სოციალურად ძვირფასი ფენებისადმი მიწო-დების საქმის გაფართოება, ახალი ბიბლიოთეკების დაარსება, ბიბ-ლიოთეკათა წიგნების ფონდის საგრძნობი შევსება და სხვა. საბიბ-ლიოთეკო ლაშქრობის მამოძრავებელი ძალებია: პარტია, პროფე-

შირები, კომპერაცია, სახელგამი და სხვადასხვა ნებაყრფლობითი ორგანიზაცია.

დასახელებულ ორგანიზაციათა მონაწილეობა ბიბლაშქრობაში შემდეგში უნდა გამოიხატოს: ა) პირდაპირი ანარიცხებით ბიბლიოთეკათა ნივთიერ საშუალებათა გაძლიერება, კომპერატიულ დასაწყისშე ბიბლიოთეკათა დაარსება, ბიბლიოთეკათა შევსება სათანადო ლიტერატურით; ბ) წიგნის წაწევისა და მიწოდების საქმის ორგანიზაცია და სხვა. ორგანიზაციათა გარდა ლაშქრობაში ჩაბმულ უნდა იქნან ფართო მასები. წიგნების მიწოდების და ბიბლიოთეკებისათვის ნივთიერი და ტექნიკური დახმარების საქმეში მასებს შეუძლიათ უდიდესი და გადამჭრელი როლის თამაში. ბიბლიოთეკათა ირგვლივ მასების დარაზმვას მაქსიმალურის ყურადღებით უნდა მოვეპყროთ, საჭიროა მასების ამორჩავება და მათი ყურადღებისა და ენერგიის მობილიზაცია ამ ამოცანის ირგვლივ. მასების ინიციატივა და შემოქმედება თვით აღმოაჩენს ახალ გზებს საბიბლიოთეკო საქმის დასახმარებლად. თითოეულ ბიბლიოთეკასთან დაარსებულ უნდა იქნას საბჭო. საბჭოს მთავარი ამოცანაა — მკითხველი მასის ორგანიზაცია და მისთვის უკეთესი სამსახურის გაწევა: მუშების, მუშა-ქალების, მოჯამავირეთა, ლარიბი და საშუალო გლეხობის, ახალგაზრდობის კულტურულ მოთხოვნილებათა პირელ რიგში დაკმაყოფილება. დასახულ ამოცანათა რეალიზაციისა და მისთვის პოლიტიკური შინაარსის მიუქმის მიზნით ბიბლიოთეკებმა ფართოდ უნდა გაშალონ ურთიერთ სოციალისტური შეჯიბრი. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიბლაშქრობა არის ბიბლიოთეკათა მუშაობის ახალი მეთოდი, და არა დაკვრითი კამპანია.

თითოეული მუშა, კომუნიკაციელი, სოფლის აქტივისტი ბიბლიოთეკისათვის დახმარების და წიგნის რაციონალურად გამოყენების საქმეს უნდა სთვლიდეს თავის საზოგადოებრივ ვალდებულებად.

გავამაგროთ და გავაძლიეროთ ბიბლიოთეკები!

გავადიდოთ ბიბლიოთეკათა წიგნების ფონდი!

მოვიზიდოთ და ჩავაბათ ბიბლიოთეკებში მუშები, მუშა-ქალები, მოჯამავირები, ლარიბები, კოლმეურნეობათა წევრები, ყველა მშრომელნი!

გავხადოთ ბიბლიოთეკები სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეები!

## 6. პაიჭაძე

# მეტი უშრადლება მოწაფეთა სასკოლო კოოპერატივებას.

საკითხის დასმის წესით

კოოპ-წრების, კოოპ-ლიტერატურის გავრცელების, კოოპ-თათბირების და კოოპ-ურსების მუშაობისა და მასაში კოოპერატიული იდეოლოგის გავრცელების დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფეთა სასკოლო კოოპერატივებს. ლენინი მასაში წერაკითხვის უცოდინარობის მოსახლეობას საკმაოდ არ სცნობდა სოციალისტური ცხოვრების მოწყობის წინასწარ პირობად, მას აგრეთვე საჭიროდ მიაჩნდა ამასთან ერთად მასაში კოოპერატიული იდეოლოგის, ცხოვრების და შეგნების გადატანა-გავრცელება, რომ ჩვენი მასა წინასწარ მოგვემზადებია „სოციალიზმი ორივე ფეხით გადასასვლელად.“

სკოლა, როგორც ვიცით, მასიური ორგანიზაციაა, რომელიც თავის კედლებში აერთიანებს ასობით და ათასობით მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ მოსახრებით, კოოპერატიული იდეოლოგისა და ცხოვრების მნიშვნელობის გადატანა მასებში უნდა დავიწყოთ სკოლებიდან, რაღაც მოსახლეობის მუშარი ფენების დიდი უმრავლესობაა თავმოყრილი. სობჭოთა სკოლებში (ოთხწლედები, შვიდწლედები, ათწლედები, ტექნიკურები და სხვ.) აქა-იქ ეხედავთ სასკოლო კოოპერატივებს, ზოგან კი სულ არ არსებობს. გასაბჭოებიდან დღემდე ეს საკითხი მთელი კონკრეტულობით და სერიოზულობით ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციებში არ დასმულა (თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი მისი ორგანიზაცია და მუშაობის მეთოდები სკოლის ფარგლებში). კოოპ-მომუშავეების კადრი რომ შევსებული იქნეს და აგრეთვე მასა მომზადებულ იქნეს კოოპერატიული ცხოვრებისათვის, ამისათვის ჩვენი განათლების ორგანოები ზოგ ათწლედებს ადლევენ კოოპ-განხრას, ხსნიან კოოპერატიულ ტექნიკურებს და კოოპ-კურსებს.

კოოპერატიული იდეოლოგის გავრცელების დარგში ყველაზე მეტ შედეგებს მოგვეუმდა სასკოლო კოოპერატივების ქსელის გაფართოება ჩვენს შრომის სკოლებში და მათი ხელმძღვანელობის საკითხის მოწესრიგება. ტფილისის შრ. სკოლების სასკოლო კოოპერატივების მაგალითები საბაბს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქმე სრულებით მოგვარებული არ არის. თუ კი სასკოლო კოოპერატივების არსებობა სკოლაში სასურველია და თანაც აუცილებელი, მათ აუცი-

ლებლად სამეურნეო ერთეულის სასიათი უნდა ჰქონდეს და აქმაყოფილებდეს მათზე დაკისრებულ ამოცანებს. პირიქით, ინსტრუქტაჟის, ხელმძღვანელობის და კრედიტის გარეშე ასეთი სამეურნეო ერთეულების არსებობა სკოლებში შეუძლებელია. ჩვენს ხელთ არ არის ოფიციალური ცნობები თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მაზრების შრომის სკოლებში. ტფილისში ხელმძღვანელობის გარეშე მყოფმა სასკოლო კომპერატივებმა მარცხი იგებეს. მართალია, სასკოლო კოოპერატივებს მოწაფებთან ერთად პედ-საბჭოს მიერ გამოყოფილი მასწავლებელნი ხელმძღვანელობენ, მაგრამ საქმეს ეს კიდევ არ შევლის. საერთოდ, მუშაობის მეთოდების, სამეურნეო ამოცანების, ანგარიშ-წარმოების და სხვა ასეთი მტკიცნეული საკითხების მოუგარებლობის გამო ხშირად სამეურნეო მოქმედება ამ პატარა, მაგრამ დიდნიშვნელოვან წამოწყებებში სწორ საფუძვლებზე არ დგას. ამ გარემოებას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც სწორი ანგარიშ-წარმოება მოწაფეთა კომპერატივებს კარგ დონეზე აყენებს და, გარდა ამისა, ახალგაზრდობა მასწავლებლის დახმარებით პრაქტიკულად ეჩვენა კომპერატიულ ანგარიშ-წარმოებას და ვაჭრობას.

თუ მსჯელობის საგნად პაის და საწევრო გამოსალებს გავხდით; უმეტეს შემთხვევაში დაეინახავთ კომპერატიული პრინციპების უხეშად დარღვევას. სასკოლო კომპერატივების ხელმძღვანელები პაის და საწევრო გადასახადს სრულებითაც არ აქცევენ ყურადღებას. ზოგ სკოლებში ასეთი მუშაობა ნაწარმოებია, ხოლო უდიდესი ნაწილი მოწაფეებისა სასკოლო კომპერატივის პაისა და წევრობის გარეშეა. ამიტომაც ეს საკითხი თავისებურ დაღს ასვამს კომ-იდეოლოგიურად ახალგაზრდობის აღრჩდის საკითხს. ამასთან დაკავშირებით, დღესდღეობით, საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენს წინაშე და მოითხოვს მოწესრიგებას საკითხი წიგნით ვაჭრობის შესახებ.

უდიდესი პროცენტი მასისა, რომელსაც წიგნი ყოველდღიურად ესაჭიროება, — ეს არის მოწაფეობა და სკოლა. ამ მხრივ სასკოლო კომპერატივების მონაწილეობა წიგნით ვაჭრობის დარგში სრულებითაც არ ჩანს. ერთად-ერთი წყარო, რომლითაც ტფილისის შრ. სკოლების სასკ. კომპერატივები წიგნებსა და სასწავლო ნივთებს იძენდენ და აწოდებდენ მოწაფეებს, იყო კრედიტი და ტფილისის მუშკომპის მარკების სისტემა. ტფილისის მუშკომპის სათანადო ხელშეკრულება ჰქონდა და დადებული განათ. განყოფილებასთან და ამის მიხედვით სასკოლო კომპერატივები მოქმედობდენ. ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისის მუშკომპმა შეწყვიტა მარკების და კრედიტის გაცემა სასკოლო კო-

ოპერატივებზე, რამაც სასწავლო ნივთების მიწოდება - გასაღების დარგში დიდად შეუშალა ხელი სასკოლო კოოპერატივებს. რადგანაც სასკოლო კოოპერატივებს წიგნების უსყიდვისათვის საჭირო თანხები არ გააჩნდათ, ამიტომ მათი მუშაობა დღემდე რამდენიმე რეულის და სხვა ასეთის შეძენა-გასაღებით ამოწურებოდა, რაც ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოკებს მოწაფეობაზე. ეს მუშკოპისა და განათლების განყოფილების ყოვლად დაუშვებელი მოქმედებაა. საჭირო იყო წინასწარ მოლაპარაკება ამ ორ ორგანოს შორის და სათანადო ხელ-შეკრულების დადება, რითაც ყოველგვარ გაუგებრობას დროზე მო-ელებოდა ბოლო.

სასკოლო კოოპერატივების არსებობა სკოლებში ყველაზე მეტად მით არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი თავისი „მოგების“ ნაწილიდან დახმარებას უწევენ სკოლას როგორც სასწავლო ნივთებით, ისე ცხელი საუზმით. მაგრამ ვინაიდან წელს სასკოლო კოოპერატივების სამეურნეო მოქმედება კრედიტის უქონლობის გამო ძალზე შეიკვეცა, ამიტომ ისინი წელს ულარიბეს მოწაფეობას იმდენ დახმარებას ვერ გაუწევენ, როგორც წინა წელს.

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის დარგში ზოგ სკოლებში მოწაფეთა საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა კი არ განაგებს კოოპერატივის საქმიანობას, არამედ პედ-საბჭოს ან სკოლაში არსებულ რომელიმე ორგანიზაციის მიერ „დანიშნული“ პირი; მას ხელმძღვანელობას უწევს ერთ-ერთთ მასწავლებელი, გადის წელიწადი და მოწაფებმა არ იციან, თუ რას ნიშანას სასკოლო კოოპერატივები და რა ამოცანები აქვთ მათ დასახული. მუშაობის ეს მეთოდი ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ აქ კოოპერატიული იდეოლოგია, მისი ორგანიზაციული წყობა და მართვა-გამგეობის ფორმები ახალგაზრდობის თვალში იჩრდილება. საერთოდ, კოოპერატიული შეგნების მასაში შეტანას დიდად შეუწყობს ხელს სასკოლო კოოპერატივების კარგ დონეზე დაყენება. ჩვენი სკოლები ამ მხრივ მთელ რიგ გადამჭრელ ღონისძიებებს ისახავენ, სოც. შეჯიბრში შეაქვთ სასკოლო კოოპ. მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების საკითხი და სხვა, მაგრამ ეს საქმაო როდია. საჭიროა სკოლის ამ მუშაობას ჩვენმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმაც მიაქციონ ყურადღება და სათანადო დონეზე დააყენონ მუშაობა, მათი გამოცდილება გადაიტანონ სასკოლო კოოპერატივების ცხოვრებაში, დაეხმარონ მათ ინსტრუქტაციის, ანგარიშ-წარმოების და ხელმძღვანელობის დარგში. რომ მუშაობა სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული და არ ასცდეს იმ ხაზს, რომელიც ლენინმა მოგვცა

თავის კომპერატიულ გეგმაში კომპერატიული განათლების შესახებ, პედაგოგთა და კომპ-ხელმძღვანელთა სადღეისო პრაქტიკულ მნიშვნელობის საკითხად უნდა დაისხავს ეს საკითხი და უმთავრესად მსჯელობის საგნად უნდა გახდეს შემდეგი კითხები, რომელნიც ასე უნდა იქნან მოგვარებული:

1. სასკოლო კომპერატივების მუშაობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის პედ-პერსონალისა და კომპ-ორგანიზაციათა მიერ;

2. ირჩეოდეს მოწაფეთა საერთო კრებებზე კომპერატიული გამგეობა, საბჭო, სარევიზიო კრმისია, ნაწილდებოდეს გამგეობის წევრებს შორის მუშაობის ფუნქციები და რიგ-რიგობით იცვლებოდენ მოწაფე ნოქრები გამსაღებელი წერტიდან, რაც გაუადვილებს მოწაფეობას ვაჭრობის ორგანიზაციისა და ტექნიკის პრაქტიკულად შესწავლას;

3. მოწაფეთა სართო კრების მიერ და მისი მოთხოვნით ტრიმესტრის მიხედვით ხდებოდეს გამგეობის გადარჩევები, მოხსენებები განვილილი მუშაობის შესახებ და სხვა;

4. პედ-საბჭოს მიერ გამოყოფილი მასწავლებელი აცნობდეს პედ-თათბირს სასკოლო კომპერატივის მდგომარეობას და მოქმედების შედეგებს;

5. სასურველია სასკოლო კომპერატივების მიერ გახსნილ იქნეს მოწაფეთათვის თბილი საუზმის (ჩაი, ჰური, ყველი, კარაქი, მაწონი და სხვ.) მიმწოდებელი წერტილი (შეთანხმება მიხწეულ იქნეს სკოლის დამხმარე საბჭოსთან).

6. მოწესრიგებულ იქნეს ინსტრუქტაჟის საკითხი და კომინსტრუქტორს დაევალოს კომპერატიული ორგანიზაციების მიერ სასკოლო კომპერატივებში ინსტრუქტაჟის გატარება და მოწაფეებთან საუბრების ჩატარება კომპერატიული ცხოვრების უპირატესობაზე, ლენინის კომპერატიულ გეგმაზე და სხვ.;

7. მოწესრიგებელ იქნეს კრედიტის მიწოდების საკითხი, დადებულ იქნეს მათთან ხელშექრულება და გეგმიანად წარმოებდეს საწავლო ნივთების მიწოდება-გასაღების საქმე;

8. მიექცეს კომპ-ინსტრუქტორის მიერ და სკოლის პედ-პერსონალის მიერ სერიოზული ყურადღება სასკოლო კომპერატივებში ანგარიშ-წარმოების საკითხს და რიგრიგობით მოწაფეობა ეჩვეოდეს კომერციული ცოდნის შეძენის მიზნით სასკოლო კომპერატივებში პრაქტიკულ მუშაობას;

9. სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული საქმე სასკოლო კომპერატივებში წიგნით ვაჭრობის დარგში და მასთან ამ საკითხს

სახელგამის მიერ მიეცეს გეგმიანი ხასიათი — უკეთესია სკოლების მიმაგრება სახელგამის ორმელიმე მაღაზიაზე ან შენაერთზე, საიდანაც მიიღებს ყოველგვარ ნივთს;

10. სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული და მოგვარებული ჭაპაიონ და საწევრო გადასახადის საკითხი და აგრეთვე სასკოლო კონპერატივების მიერ პედ-პერსონალის და სკოლაში არსებულ სხვა ორგანიზაციათა დახმარებით მოწესრიგდეს სასწავლო ნივთებით და თბილი საუზმის მიწოდებით უღარიბეს მოწაფეთაოვის დახმარების აღმოჩენის საკითხი;

11. სოციალისტურ შეჯიბრში მეტი დრო და მონდომება მოხმარდეს სასკოლო კონპერატივების მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას, როგორც სოციალისტური ცხოვრების მოწყობის ერთად-ერთ და უუმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

12. სასურველია ჩვენმა პედაგოგებმა და კონპერატიულმა მუშაკებმა აღნიშნონ, იქნიონ ამ საკითხზე მსჯელობა აზრთა გაცვლა-ვამოცვლა, მუშაობის უკეთეს საფუძველზე დაყენების მიზნით.

## პ. ღილიშვილი

### შრომის პრიცეპისათვის ჩვენს ზოგადი განათლების სკოლები.

#### II

ვიდრე სასკოლო შრომის პრაქტიკულ და კონკრეტულ საკითხებს შევეხებით (იხ. 1928—29 წლის „ახ. სკოლისაკენ“, № 3.), საჭიროდ მიგვაჩნია სასკოლო შრომა, როგორც პრობლემა, ზოგადად გავაშუქოთ სოციოლოგიური თვალსაზრისით; საუზრაღლებოა, რომ თანამედროვე როგორი სამეცნიერო ცხოვრების პირობებში წარმოებლის მექანიკური, მონური შრომის როლი თანდათან იკვეცება და მის ადგილს იქნებს ავტომატიური მანქანა, რომელსაც მართავს და ხელმძღვანელობს ადამიანის შეგნებული შრომა, ასე რომ უმაღლესი წარმოების მატერიალური ორგანიზაცია ბუნებრივად თხოულობს უაღრესად ინტელექტუალურ ორგანიზაციას და მუშა-ადამიანისაგან ნაცვლად ვიწრო სპეციალობის, ხელოსნური შრომის და შიშველი პრაქტიკიზმისა, ინტელიგენტურ შრომას მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი წარმოუდგენელია, თუ ადამიანი არ იქნა შეიარაღებული მტკიცე საერთო განათლებით (პოლიტიკური ცოდნით) და ჩვევებით.

პოლიტექნიკური ცოლნა - ჩვევანი, პირველად ყოვლისა, მთავარი წინა პირობაა, რომ ტექნიკა-ხელოვნების განვითარების ტემპი უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდეს წინ და თვით წარმოებელი ადამიანიც გზა და გზა შეეგუს მანქანათა კონსტრუქციის სახეცვლას, რასაც ის განიცდის ინდუსტრიალური წარმოების პერიოდში და საერთოდ არ ჩამორჩეს ცხოვრების იმ შეუჩერებელ მიმდინარეობას, რომელიც უფრო და უფრო მაღალი სამუშაოები და სულიერი კულტურისაც და მასთან თვით ადამიანის მექანიკურ, ბატრაკული შრომის განთავისუფლებისაცენ მიისწრაფვის.

წარმოება-ხელოვნების მაღალი სტრუქტურის პროგრესი თუ ერთის მხრით წარმოების ქსელთა იარაღთა და მუშა-ხელთა კონცენტრაცია-კოლექტივიზაციისაცენ მიისწრაფვის, მეორე მხრით ის მიმართულია მწარმოებლის ინტელექტუალიზაციისაცენ და თუ პირველი მათგანი სოციალისტურ დაგროვებათა მატერიალურ ბაზას წარმოადგენს, მეორე - ამ სოციალისტურ დაგროვებათა მარაგის იდეურ მასალა-დასაყრდენს შეიცავს; რამდენადაც ძლიერია ადამიანის შემოქმედებითი შეგნებითი შრომა მასიურად, იმდენად მოცემულია სოციალისტური სექტორის ზრდის, თანდათან მისი ჩამოყალიბება-განმტკიცების და საბოლოოდ გამარჯვების შესაძლებლობა. აქედან მოქლე დასკვნა: თანამედროვე პრეწველობის პირობებში შრომის ტექნიკისა და მშრომელთა შეგნების სინთეზის გარეშე შეუძლებელია როგორც მაღალი ინდუსტრიის „ნორმალური“ პროგრესი, ისე სოციალიზმის საბოლოო განხორციელებაც.

„ნორმალური“ წინწკლებში იმიტომ ჩავსვით, რომ ამ ტექნიკა-ხელოვნების პროგრესს, მის ბუნებრივ მიღრეკილება-მისწრაფებას წინ ელობება ევროპის თუ ამერიკის ქვეყნების კაპიტალისტური რეჟიმის და სრულიად წინდაწინ მოფიქრებული ხელოვნური მეთოდებით თუ პოლიტიკით გზას უმრუდებს; ინდუსტრიალური პროგრესის „ნორმალური“ სწრაფვა „მწარმოებლის ინტელექტუალიზაციისაცენ“ მეტად საზიანო და სახითათრა კაპიტალისტური რეჟიმისათვის, რადგან ფართო საწარმოო შეგნებას (რომელიც ძალზე საჭიროა, მხოლოდ შრომის ნაყოფიერების მიზნით, კაპიტალისთვისაც) ბუნებრივად თან სდევს მწარმობელთა უფლებრივი შეგნება-გათვითცნობიერებაც, რომელიც მიმართული იქნება კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომაა, რომ კაპიტალისტის სოციალ-კლასიური თვითშეგნება და ხელოვნური პოლიტიკა სახელმწიფო აპარატის შენარჩუნებისა და თავისი კლასიური-ეკონომიკურა ბატონობის მიზნით მშრომელთა საღი შემცნების, შეგნების სრული გნიარაღებისაცენ და ამით შეუგნებელ

„შავ“ მუშათა კადრის შექმნისაკენაა მიმართული, რაც ხდის მუშათა კადრის კაპიტალისტის ყველეფის ობიექტად, ყურმოქრილ მონად და რაც წარმოადგენს უმთავრეს საშუალებათაგანს მისი ბატონობის დროებითი სტაბილიზაციისათვის.

როგორ ძლიერიც გინდა იყოს მაღალი ინდუსტრიალური წარმოების დაკვეთა ინტელიგენტური და კვალიფიციური მუშათა კადრის შექმნისათვის და ამ მხრივ როგორიც გინდა იყოს თვით მუშათა მისწრაფება და სურვილიც, კაპიტალისტების „საშინაო“ პოლიტიკა მაინც წინ გადაელობება ამ საქმეს და ამ მიმართულებით ყოველგვარ ჰუმანიურ აზრს თუ პრაკტიკულ ღონისძიებას სასტიკად შეებრძოლება, რადგან ამ „შავი“ და „შეუგნებელი“ ხალხის გაყვლეფაზე, მისი ნაოფლარით ზედმეტი ღირებულების შექმნაზე და ამ უკანასკნელის ინდივიდუალურად „შეუგნებულ“ მითვისებაზეა მათი (კაპიტალისტების) პოლიტიკური და ეკონომიკური „მეუფეობა“ დამოკიდებული.

კაპიტალისტური რეჟიმი მუშას მხოლოდ ვიწრო ტექნიკურ, მოტორულ ცოდნა-ჩვევას აძლევს (რაც ძალზე იაფიც უჯდება), რომ იმუშაოს და რაც შეიძლება მეტი ღირებულების საგნები შესძინოს. კაპიტალისტს. მუშა-მწარმოებლის სხვანაირი ცოდნა-განათლება კაპიტალისტისთვის საფრთხილოა პოლიტიკური თვალსაზრისით და მისგან ვერ შექმნის ისეთ ცოცხალ, მაგრამ უმოძრაო შასალას; რომელიც გამოსადეგი იქნება მისი „მაღალი“, „ღვთის მიერ ნაანდერძევი“ და „ზებუნებრივი“ კარიერისათვის, შემოქმედებისათვის და, ეკონომიკური ენით რომ ვთქვათ, ტლანქი ექსლოატაციისათვის. ასეთია კაპიტალისტის საარსებო პოლიტიკა, ასეთი იყო ძევლი რუსეთის მონარქიულ-ბურჟუაზიული რეჟიმის პოლიტიკაც. აი რას ამბობს ლენინი:

„...რით უნდა ვისარგებლოთ ძევლი სკოლიდან, ძევლი მეცნიერებიდან? ძევლი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს. შექმნას ყოველ-მხრივად განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მრავალ მეცნიერებას საერთოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო მტკნარი სიცრუე, რადგან მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა იყო დაფუძნებული ადამიანთა კლასებად (მყველეფელთა და დაჩაგრულთა) დაყოფაზე, ბუნებრივია, რომ ძევლი სკოლა იყო გაჟღენთილი კლასიური სულით და ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომდგენელთა შეიღებს აწვდიდა. ყოველი მათი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლო იყო. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა შვილებს იმდენად არ ზრდიდენ, რამდენადაც ითრევდენ ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ, მათ ზრდიდენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიის გამოსადეგი მოსამსაზურები, რომლებიც იქნებოდენ უნარიანნი სარგებლობის მოტანაში:

იმავე დროს არ შეაწებდენ და არ შეაჩეცდენ ბურუუაზის შშეი-დობიან მყუდროებას და უსაქმოებას და სხვა...“ (ლენინი, ტ. XVII, გვ. 316.)

ამრიგად გასაგებია, რომ საზოგადოების დაბალ კლასს ზრდი-დენ გონებრივად ჩატარდეს, მხოლოდ ფიზიკურად მომუშავეს, გონე-ბრივი აღზრდა-განათლება შეადგენდა და კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლაც შეადგენს მყვლეფელთა ჯგუფის — მაღალი ფერის — სრულ მონოპოლიას და კაპიტალისტთან ერთად ევლინება საზოგადოების დაბალ ფერის (მწარ. მუშას, გლეხს, უბრალო ჯარისკაცს, დაბალ მო-სამსახურებს თუ სხვა ასეთებს...) შრომის განმუშარიგებელის, ორგა-ნიზატორის, კონტროლიორის და მოხელე მმრანებლის როლში, და-ბალი ფერა კი მისი „უტყვი აღმსარულებელია თავისი ფიზიკური გარ-ჯით, და „ბრძანა თაყვანისმცემელია“ თავისი გაუნათლებლობით და უმეცრებით:

აქაა დასაწყისა იმ წინააღმდეგობითი ურთიერთობისა, რომე-ლიც იზრდება, ღრმავდება კერძოდ ინდუსტრიალური წარმოების შინაგან ბუნებრივ მოთხოვნილებასა (შეგნებულ მუშა ხელზე) და კა-პიტალისტური რეჟიმის პოლიტიკას შორის (როგორც მონური, შეუ-გნებელი შრომის დამცველის) და საერთოდ შრომასა და კაპიტალს შორის და კაპიტალისტური საზოგადოების მთლიანობის, თუ ადა-მიანის მთლიანი არსების დაავალებისა, რომელიც თანდათან იხრწება და დაშლილობისაკენ მიექანება; სხვათა შორის, ყველა ზემოთქმუ-ლი ურთიერთობიდან გამომდინარედ უნდა ჩავთვალოთ, როგორც დამახასიათებელი ნიშნები, იქაური ადამიანის მიზნის სივიწროეები, სა-შინელი ინდივიდუალიზმი, კარჩაკეტილობა, ხასიათის სპეციფიურობა-განსაზღვრულობა, ცალმხრივი და მახინჭა თვითშეგნება-მსოფლებელი, მატყუარობა - ფლიდობა-გაიძვერობა, მედიდურობა - ყოყოჩინა, ბი-უროკრატიზმი და ყველგვარი ზნეობრივი გარევნილება და ბევ-რი ასეთები, როგორც საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი დამა-ხინჯების ნიმუშები; იმავე ურთიერთობით უნდა ავხსნათ ღიპმორე-ული სიმსუქნე, სიძჭლევები, სიგამბრე და სხვა ასეთები, როგორც სა-ზოგადოების ფიზიკური არსებობის დეგნერატიული ნიშნები.

უკანასკნელ ხანებში მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელ-მწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევამ უფრო გამჭვავა ზემოხსენებული ურთიერთობა და წარმოუდგენელის შეუბრალებლო-ბით და აღვირახსნილი ფორმებით, მეთოდებით სწარმოებს მაღალი ფერის მიერ დაბალი ფერის გაყვლეფა-დაბეჭავება. შეურიგებელი გა-თიშვა და წინააღმდეგობა უფრო და უფრო ძლიერდება და რელი-

უკურად კასტურ ხასიათს იღებს. ამ არსებულ სოციალ-კლასურ ძალ-თა წინააღმდეგობის ზრდის ნიაღვზე იზრდება და უფრო თვალსა-ჩინო ხდება გონებრივ და ფიზიურ შრომათა შორის განსხვავება და წინააღმდეგობა. სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების დისკიპლინას თვით ინდივიდუმის მთლიან არსებაშიაც შეაქვს დისპარმნია. სკოლის „შრომის“ პრინციპსაც სოციალურ დიფერენციაციაზე აღმოცენებული ღუალისტური თვალსაზრისი უდევს სარჩულად.

სახელმწიფო მიზანდასახულება განსაზღვრავს სასკოლო მიზან-დასახულობას (გ. კერშენშტეინერი) და კაპიტალისტურ ქვეყნებში ზოგად განათლებითი (პოლიტექნიკური) სკოლის ორივე მოთხოვნა — შოთლიანი სკოლა და შრომის სკოლა — მარტო ფორმების და სახელ-წოდების სახით დარჩება და ხორცის ვერ შეისხამს, ვიდრე სასკოლო სისტემის გარდაქმნა არ იქნება დაკავშირებული თვით პოლიტიკურ რევოლუციასთან, საზოგადოებრივი სტრუქტურის ძირითად გარდაქმნასთან. ასე რომ ნამდვილმა საღმა და მოწინავე პედაგოგიურმა აზროვნებამ, როგორიც გინდა პედაგოგიური თეორიები და იდეები შექმნას მთლიანი შრომის სკოლის შესახებ, ე. ი. მოზარდი თაობის ფიზიკური, გონებრივი და ზენებრივი მხარეების ყოველმხრივი და ჰარმონიული აღზრდა-განათლების შესახებ და ამ მიზნით როგორი პრაქტიკული პროექტებიც გინდა წამოაყენონ, ის მაინც უტობია იქნება იქ არსებულ საზოგადოებრივ პირობებში. ამავე დროს თვით ბურუუაზის მესვეურებმა თავისი შრომის სკოლა რამდენადაც და როგორც გინდა მონათლონ არაპოლიტიკურ, არაკლასიურ სკოლად, სინამდვილეში სკოლის არაკლასიური იდეა — პოლიტიკურიზმი მაინც განუხორციელებელი დარჩება, ის მხოლოდ პირმოფერებითი ზეპირი დიპლომატია და უბრალო მოტივება შეიქნება მანამდე, სანამ თვით კლასობრივი ურთიერთობითი წინააღმდეგობა იქ საბოლოოდ არ მოისპობა.

„ბურუუაზიულ ქვეყნებში განათლების პოლიტიკურობა — ეს არის ბურუუაზის წარმომადგენელთა ფარისევლობა, ეს მეტი არაფერია, გარდა მასების მოტივებისა. ბატონობს რა ახლაც ბურუუაზია ბურუუაზიულ ქვეყნებში, მასების ასეთი მოტივებით აეთებს თავის საქმეს“ (ლენინის სიტყვა პოლიტ. განათ. წარმომადგენელთა სხდომაზე — 3 ნოემბერი, 1920 წელი. ლენინი, ტ. XVIII., ნაწ. 2, გვ. 17819).

იქვე — დასკვნითი წინადადების სახით:

„ჩვენი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სხვათა შორის ბურუუაზიულ „სიმართლეს“ დავუპირდაპიროთ ჩვენი სიმართლე და იძულებული გავხადოდ, აღიაროს ეს უკანასკნელი“.

სოციალიზმის პრინციპების დაპირდაპირება, ამ სიტუაცის ფართო მნიშვნელობით, ბურუუაზიული პრინციპებისათვის, ნიშნავს ამ დარგშიც ჩენი — „სიმართლის“ დაპირდაპირებას „ბურუუაზიული სიმართლისათვის“, რადგან სწორედ ამ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა შეადგენს თანამედროვეობის მთელ შინაარსს; მარქსიზმი, როგორც მთლიანი სოფლმხედველობა და სოციალიზმის იდეოლოგიური საფუძველი, წარმოადგენს მშრომელთა გზის მაჩვენებელ დროშას, რომლის გენერალური გეზი კაპიტალისტური საზოგადოების კლასთა წინააღმდეგობის სრული მოსპრბისაკენ (ბურუუაზიული, კლასობრივი საკუთრების მოსპობით და დაჩაგრულთა კლასის სრული განთავისუფლებით) და მისი სოციალისტური ურთიერთობით გარდაქმნისაკენ არის მიმართული (მაღალ მანქანურ და რაციონალურ წარმოებაზე გადასვლით).

სოციალიზმი — ეს არის თავისუფალი და შეგნებული საზოგადოების მიერ ტექნიკა-მანქანის დაპატრონება და მის მიერ ამ ტექნიკა-მანქანის საბოლოოდ დამორჩილების საშუალებით თავისი ცხოვრების კეთილად და ბეღნიერად მოწყობა-მოწესრიგება, კაპიტალიზმი კი — კაპიტალისტის და მის მიერ საკუთრების — ტექნიკა-მანქანის მეოხებით — მონა და შეუგნებელი მშრომელთა მასებზე გაბატონება და ამ საშუალებით შექმნილ უხვ ნაყოფთა ინდივიდუალური მითვია სებით თავისი პირადი კეთილდღეობის და ფუფუნებითი ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგიბა. თუ პირველი მათგანის საცხოვრებო ლოზუნებია: მასიურად შეგნებული შრომა და მასიურად შეგნებული ბრძოლა, მეორე, პირიკით, უარჲყოფს კლასიურ. (სამოქალაქო) ბრძოლსა და მშრომელთა შეგნებულ შრომასაც. შეგნება, განათლება, კაპიტალისტური თვალთსაზრისით, ბურუუაზიის საკუთრებას უნდა შეადგენდეს თვით ნივთიერ საკუთრებასთან ერთად და მშრომელთათვის ის (შეგნება, განათლება) უნდა იყოს მხოლოდ მანქანად გადაქცევის საშუალება.

„როგორც კლასობრივი საკუთრების მოსპობა ბურუუაზიას თვით წარმოების მოსპობად მიაჩინა“ აგრეთვე კლასიური ხასიათის განათლების მოსპობაც მას საერთოდ განათლების მოსპობად მიაჩინა. (მარქსი).

ყველა ამის შემდეგ გასაგებია, რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი, როგორც სხვადასხვა შინაარსის საზოგადოებრივი წესწყობილებანი, ადამიანის ცხოვრებას, ყოფაქცევას სხვადასხვაგვარად აყალიბებენ და განსაზღვრავენ შრომითს გარემოსთან; ორივეს თავისი საარსებო პოლიტიკა შეაქვს იმ ძირითად საზოგადოებრივ უჯრედებ-

ში, სადაც მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებას დასაბამი ეძლევა.

პოლიტიკური სკოლის პრინციპს ვერ დაემყარება კაპიტალისტური რეჟიმი, სოციალისტური მთავრობა კი იმას ერთიანად იზიარებს. ვიღრე დაიწყებოდეს მოზარდი თაობის (16—17 წლის ასაკში) აღზრდა-განათლების პროფესიონალიზაცია და შემდგომ სპეციალიზაცია, პოლიტექნიკური სკოლა ერთადერთი სოციალისტური სკოლაა, სადაც წარმოების და განათლების რაციონალური ურთიერთობის საფუძველზე ფიზიკური და გონიერი აღზრდა-განათლება იდეალურად ყალიბდება.

ინტელიგენტურ (განათლებულ) მშრომელთა, მებრძოლთა მოთხოვნილება ჩვენმა ცხოვრებამ აბსოლუტურად წამოაყენა, როდესაც თვით მუშათა კლასმა აღმასრულებელ ფუნქციასთან ერთად ქვეყნის საორგანიზაციო და სახელმძღვანელო ფუნქციაც აიღო ხელში. შრომის მეუფებამ გაადიდა მშრომელთა უფლება-მოვალეობაც, მაშასადამე, ქვეყნის მართვა-გამგეობაში და შრომა-მოქმედებაში სრული პასუხისმგებლობაც. აქედან პირველი მორიგი საქმე მშრომელთა მომზადებული მუშაკების ახალი კადრის აღზრდა-განათლება შეიქნა, პირველად ყოველისა გადაშეადებითი ქსელების შექმნით (კურსები, ფაკულტეტები და სხვა...), როგორც დროებითი ზომა, ვიდრე ამ სოციალურ დაკვეთას თვით ახალ საფუძვლებზე გარდაქმნილი საკოლო შემოქმედება განახორციელებდა.

„თავი და თავი საქმე ამჟამად ისაა, რომ ავანგარდი არ შეუშინდეს თავის თავზე აღებულ საქმეს, არ გაექცეს თავის გარდაქმნას, აშეკრად სცნოს და შეიგნოს თავისი მოუმზადებლობა და უნარიანობის ნაკლებობა“ (ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. 2, გვ. 66).

ლენინის ეს სიტყვები — ბრძნული მოწოდებაა მშრომელთა ახალი ტიპის, კულტურულ და შეგნებულ მუშათა ახალი კადრის შექმნის მიზნით, რომელსაც ძალზე საჭიროებს ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციულ-სოციალისტური პერიოდი; იმ დროს, როდესაც ყოველი მშრომელი პასუხისმგებელია მთელი მშრომელი საზოგადოების წინაშე და კონტროლია თვით ამ საზოგადოებისა, იმ დროს, როდესაც კერძო ინიციატივა (კაპიტალისტების) დასამარდა და მშრომელთა ინიციატივა ერთობ გაიშალა, მასიური მუშაობის არე ძალზე გაფარუოვდა და მთელი წარმოების, მეურნეობის პატრონი და ხელმძღვანელი თვით მშრომელია, — მუშათა და გლეხთა ფართო მასის შეგნების და თაოსნობის გარეშე შეუძლებელია ქალაქის წარმოების თუ სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია, რომელიც პროდუქციის თვითოლირებულების შემცირების და ამრიგად მთელი სამეურნეო საზოგადირებულების შემცირების და ამრიგად მთელი სამეურნეო

დოებრივ ცხოვრების კეთილ-მოწყობილობის აუცილებელი პირობაა— ქალაქის და სოფლის კავშირის გზით კონკრეტული აღმშენებლობისათვის ბრძოლა ამ შშრომელთა თაოსნობის გარეშე შეუძლებელია, როგორც ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, შეუძლებულია აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის და მუშათა მოძრაობის გათვალისწინება, საშინაო მშვიდობიანი პოლიტიკა და სხვ. მომავალ მოსალოდნელ ომში არა ნაკლებ საჭირო იქნება შეგნებითი გმირობა, ვიდრე ბრძანების ქვეშ მონური ვაჟეკაცობა, როდესაც ტყვიებზე მეტ ჭრილობებს თვით კეშმარიტი აზრები მიაყენებს ყოველგვარ უსამარტინობას, ბორიტი განძრავით შემოტევებს, და როდესაც მოწოდებების (გაზეთების, ურნალების, თუ პროკლამაციების) ფურცლები მეტ როლს ითამაშებენ.

ჩვენი პროფორგანიზაციები, სადაც მრავალი ათასობით არიან გაერთიანებული გლეხები და მუშები, მარტო იურიდიული ორგანიზაციები როდია (მსგავსად კაპიტალისტური პროფორგანიზაციებისა), არამედ იმავე დროს უაღრესად ეკონომიური, წარმოებითი, სამეურნეო ორგანიზაციებია, სადაც მასიურად ადგენენ, იხილავენ, ამტკიცებენ ფართო პროექტებს, იწვევენ თათბირებს (სამეურნეოს, ეკონომიურს), აფასებენ ადამიანთა მთელი რიგის მოქმედებებს, ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ მთელ სახალხო მეურნეობა-წარმოებას, მართვა-გამგეობის სისტემას და თანაც თითოეული მათგანი აქტიურად და უშუალოდაა ჩაბმული ამ საერთო მოქმედებაში.

ერთი სიტყვით, თანამედროვე ჩვენი შინაგანი თუ გარეგანი სოციალისტური აღმშენებლობის გეზს ყოველი მოქალაქე გამოყავს კარჩაეტილობიდან, აკავშირებს ფართო შრომითს გარემოცვითს სინამდვილესთან და უყენებს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს: ზუსტად წარმოიდგინოს კოლექტიური სამუშაოს მიზანი (მიზანდასახულობა), ე.ი. რა და რა საქმეს ეხება და მის საქმეს რა დამოკიდებულება აქვს სხვა დარგის საქმესთან და სხვ...; გაითვალისწინოს ყოველგვარი საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად და ამავე ოროს მიზნის და საშუალებათა ურთიერთობა (გეგმა მთლიანი მუშაობისა) და შემდგომ წარმართოს მთელი რიგი ლონისმიებანი, როგორც შინაგანი (გონებრივი,) ისე გარეგანი (ფიზიკური). ყველა ამის დასასრულს სწორედ შეაფასოს, გაუკეთოს კრიტიკა მის მიერ გაკეთებული საქმის როგორც უარყოფით, ისე დადგით მხარეებს, რომ მომავალში მეტი გაბედულობით, ენერგიით გასწიოს წინ.

„შრომა და შრომის მეუფება“, — აი რა დააწერა სინამდვილემ ჩვენს დროშაზე და იგი მოვიწოდებს მასიური მუშაობის გზით და

„მასების კონტროლის გზით“ ახალ შემოქმედებისაკენ, სოციალისტური ცხოვრების შექმნისაკენ, ასე რომ ჩვენი სპეციფიური საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმაცია და მისი სასიცოცხლო პროგრესული მიმართულებანი პედაგოგიური შემოქმედებისათვის ახალ დაქვეთას — ახალი ტიპის ადამიანის, ინტერნაციონალური, ინტეგრალური და კულტურული იქნება ადამიანის აღზრდა-განათლების შესახებ. თანამედროვე ადამიანის შრომა-მოქმედების უნარიანობა განისაზღვრება როგორც ფიზიკური სიჯანმრთელე-მუყაითობით, ისე ინტელექტუალური სიმართლე-მუყაითობითაც. საბჭოთა საზოგადოებრივობა და მისი შემოქმედება წარმოადგენს მასის აზროვნების და მოქმედების მთლიან კომპლექსს. ამ საზოგადოების მოზარდი თაობაც ისე უნდა აღიზარდოს, რომ ის ერთსა და იმავე დროს მოქმედობდეს, მიიღოვოდეს საერთო მიზნისაღმი, რომ ნაყოფიერება ყოველნაბიჯ თვალსაჩინო და საზოგადოებრივად ღირებული იყოს.

ყოველი სკოლის პრაქტიკამ, შემოქმედებამ თავის მომარჯვებული და მოქნილი მეცნიერული ორგანიზაციით, მეთოდიკით უნდა შექმნას, ჩამოაყალიბოს ახალი შინაარსის, — ახალი ადამიანის აღზრდის, განათლების აპარატი, რომელიც იქნება შეთანხმებული თვით სახელმწიფოს ნივთიერი და იდეური მასალის ახალ ყალიბობასთან, — ყველა ეს კი მოითხოვს ცალკე-ცალკე პირობებში შრომის სკოლის ხელმძღვანელ - მასწავლებლისაგან ჩვენი შრომის სკოლის სოციალისტურ გაგებამდე საერთოდ და მისი „შრომის პრინციპის“ სოციოლოგიურ თეორიულ შეგნებამდე ამაღლებას, ვინაიდან საქმის რიგიანი და სწორი დაყენება თვით უშუალო მესვეურ ადამიანისაგან მოითხოვს, რომ საკითხი მის აზროვნებაში, შემეცნებაში დამუშავდეს, მომწიფდეს, სანამ ის პრაქტიკულად გამოცხადდებოდეს.

# ჩვენი სკოლაგის მუზარგიდან

ფლ. ჭუმბურიძე

ორიოდე სიტყვა ოთხლელის შესახებ.

ოთხლელის მიზანი.

როგორც ყველამ ვიცით, ოთხწლედი არის მასიური სკოლა, რომელიც უნდა იძლეოდეს დამთავრებულ სოფლმხედველობას და აუცილებელ ცოდნა-ჩვევებს. ოთხწლედის გათავების შემდეგ ბევრი სხვა-დასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს შემდეგი საფეხურის სკოლაში შესვლას.

ოთხწლედმა უნდა მოგვცეს ცხოვრებისათვის სათანადოთ მომზადებული ადამიანი, რომელიც თვითონ უნდა ჰქმნიდეს ლირებულებას, აუმჯობესებდეს თავის ოჯახურ მდგომარეობას და ხელს უწყობდეს ახალ სოციალისტურ აღმშენებლობას. პირველი საფეხურის სკოლა უნდა იძლეოდეს ისეთ ცოდნას, რომელიც მოელი ასი პროცენტით იქნება გამოყენებული პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მაგრამ დღევნდელი ოთხწლედი სულ სხვა სურათს იძლევა: ის სათანადო ვერ ამზადებს ახალგაზრდობას პრაქტიკული ცხოვრებისა და სოციალისტური აღმშენებლობისათვის და ამრავლებს უმუშევართა არმიას.

ზემოთაღნიშნულ მიზანს ოთხწლედი მხოლოდ მაშინ მისაღწევს, თუ მას სათანადო ჯანხრა ექნება. რადგანაც ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მიწათმოქმედების ქვეყანაა, ამიტომ სოფლის ოთხწლედებს უნდა მიეცეს სამეურნეო განხრა, ქალაქისას კი — ისეთი, როგორსაც აღგილობრივი პირობები მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არ არის ისეთი რაიონი, სა-დაც საექიმო პუნქტი და ექიმი არ იყოს, არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ან სრულებით არ შეიძლება ექიმის მოყვანა და ან კიდევ ექიმის შოყვანამდე საჭიროა სასწრაფო დახმარების აღმოჩენა (დაწვა, ღრძობა, მოწამვლა, დაჭრა და სხვ.). სასწრაფო დახმარებას ხშირად გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. ავადმყოფის მოვლა-პატრონობა არ ვიცით, თერმომეტრის ხმარებას, გადამდებ სნეულებისაგან თავის დაცვას და თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ჩვენი ოჯა-

ხები ჯერაც ვერ შესჩვევიან. ჰიგიენის ცოდნა ყოველ ოჯახს ესაჭიროება. ოთხწლედი უნდა იძლეოდეს ჰიგიენის მარტივ ცოდნას და აგრეთვე ელემენტარულ ფარმაცევტიულ ცოდნასაც. რუსეთთან ჩვენ ისტორიულად ვართ დაკავშირებული და რუსული ლიტერატურის შესწავლა გვესაჭიროება. ამისათვის საჭიროა ენის საფუძვლიანად ცოდნა, მით უმეტეს, როგორც საკავშირო ენის. აქედან გამომდინარეობს რუსული ენის შესწავლის აუცილებლობა. ამ ენის შესწავლა ჩვენ სკოლებში ძალიან ცუდადაა დაყენებული. არ არსებობს სათანადო სახელმძღვანელოები, არ არის პროგრამები, მეცნიერებაში არ არის დაცული თანამიმდევრობა და ერთნაირი სისტემა.

რუსული ენის შესწავლისათვის ჩვენ სკოლებში, სადაც ყველა დისკიპლინა მშობლურ ენაზე ისწავლება, დროც (დაახლოებით ორი წელი) ძალიან ცოტაა. ამ საგნის სწავლება ოთხწლედში ყველას აქვს მინდობილი — მცოდნესაც და არამცოდნესაც. რუსულ ენაზე წერაკი-თხვის და ლაპარაკის შესწავლას ოთხწლედში უნდა ჩაეყაროს მტკიცი საფუძველი, თორემ შემდეგი ცდა გამოსწორებისათვის ხშირად უნა-ყოფა.

პროგრამები. ოთხწლედის პროგრამები შრომა-საქმიანობაზე და ცხოვრებაზე დამყარებული, წინა წლებთან შედარებით იგი შესამჩნევად გაუმჯობესებულია. მაგრამ ვინაიდან ჩვენი ცხოვრება დიდ ცვლილებებს განიცდის და პროგრამაც ცხოვრების საჭიროების უტყუარი გამომხატველი უნდა იყოს, ამიტომ დღეს ოთხწლედის პროგრა-მების ზოგიერთი ადგილი გაშალაშინება-შესწორებას მოითხოვს. ნა-თქვამის საილუსტრაციოდ მოვიყეანოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) ქვეთება (III ჯგ.) „ქალაქის კეთილმოწყობა და ყოფა-ცხოვ-რება“ შეიძლება სრულიად უმტკიცნეულოდ იქნეს ამოღებული პროგ-რამიდან და სხვა თემებში შეერთოს.

ბ) ქვეთება (III ჯგ.) „რა პირობებია საჭირო აღამიანის ჯან-მრთელობისათვის“ უნდა გამოიყოს ცალკე თემად, რადგან ჯანმრთე-ლობის საკითხები ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთი მთავარი სა-კითხთაგანია და საჭიროა მეტი შეჩერება მასზე. თემა უნდა იყოს ასეთი: „აღამიანის ჯანმრთელობის პირობები და მის დაცვა-გაუმჯო-ბესებაზე ზრუნვის აუცილებლობა“.

გ) არის ლოზუნგი: „კოოპერაციის გზით კომუნიზმ-სოციალიზ-მისაკენ“. ყველაზე მეტი რეალური გამოხატულება და მნიშვნელობა აღნიშვნულ ლოზუნგს დღევანდელ ხანაში აქვს, რადგან თანამედროვე სოციალისტური აღმშენებლობა სოციალიზმისაკენ კოოპერაციის გზით მიიმართება და სოციალიზმში გადასვლაც სამართლიანად კოოპერა-

ციაზეა დამყარებული. პროგრამებში კი კოოპერაციას ცოტა აღგი-  
ლი აქვს დათმობილი. კოოპერაციის საკითხი იმდენად ლირსშესანი-  
შნავია, რომ იგი უნდა იქნეს გამოყოფილი ცალკე თემად ან ქვეთე-  
მად ამნაირად: „კოოპერატივი, მისი სახეები და პერსპექტივები და  
მისი გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა“.

დ) კოლმეურნეობის და სოფლის მეურნეობის ოეკონსტრუქციის  
საკითხი პროგრამაში სრულებით არ არის შეტანილი. ამ სიკითხების  
შინაარსი და მნიშვნელობა მოითხოვს, რომ იგი შეტანილ იყოს პროგ-  
რამაში და სათანადოდ დამუშავებული.

ე) ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხიც აუცილებლად უნ-  
და შევიდეს პროგრამაში. ახალთაობის ათეისტურად აღზრდას და  
არსებული საზოგადოების ფისქოლოგიურად ახალ ყაიდაზე გარდა-  
ქმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. სახელმძღვანელოებშიც უნდა იქნეს შე-  
ტანილი შესაფერი მასალა.

დასკვნა. ოთხწლედის პროგრამა უნდა იქნეს გადათვალიერებუ-  
ლი იმ მოსახრებით, რომ, ერთის მხრით, იგი განიტეიროთოს და, მე-  
ორეს მხრით, შეიგსოს განტვირთვის ხარჯზე იმ აუცილებელი საკი-  
თხების დამუშავებით, რაც თანამედროვე ცხოვრების მიერ არის წა-  
მოყენებული.

ოთხწლედს უნდა მიეცეს განხრა ადგილობრივ წარმოება-მეურ-  
ნეობისდა მიხედვით.

ოთხწლედი, განსაკუთრებით სოფლის ოთხწლედი, უნდა იძლეო-  
დეს გამოსაზეა ელემენტარულ ცოდნას ჰიგიენიდან.

ოთხწლედში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რუსული ენის სწა-  
ვლებას. ამ საგნის სწავლებისათვის საჭიროა მასწავლებელთა შეჩრე-  
ვა. იმ სკოლებში, საღაც ბევრი ჯგუფია, მიზანშეწონილი შეიქმნება  
რუსული ენის საგნურად სწავლება. ლექციური მეცადინეობა შეიძ-  
ლება იქნეს დაწყებული მეორე ჯგუფიდან. დამუშავებულ და შედგე-  
ნილ უნდა იქნეს ამ საგანში პროგრამები თითოეული ჯგუფისათვის  
ცალკ-ცალკე. სახელმძღვანელოები უნდა იქნეს გაუმჯობესებული და  
შედგენილი ცალ-ცალკე ჯგუფისათვის.

ანტირელიგიური პროპაგანდის, კოლმეურნეობის და კოოპერა-  
ციის საკითხები უნდა იქნეს პროგრამაში შეტანილი და სათანადოდ  
დამუშავებულ-გაშუქებული.

ვლ. ჭუმბურიძე.

გურჯაანის ოთხწლედის მასწავლებელი

## ა. ღუმაობა

### ჯგუფური გუმაობა ითხელედში.

აღზრდა, პედაგოგიური პროცესი—მოცემული სოციალ-ეკონომიური საფუძველის ზედნაშენია. საზოგადოების აღნაგობის შეცვლას პედაგოგიური პროცესის შეცვლა მოსდევს. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების შეწავლა და მის გარდაქმნაში უშუალო მონაწილეობის მიღება არის მთავარი საზოგადოებრივი მიზნი 4-წლების კომპლექსური პროგრამებისა. სწორედ ამ დიდი მიზნის განხორციელება მოითხოვს აუცილებლად მოწაფეთა ორგანიზაციულად დარაზმვას. დაიწყო თუ არა სკოლამ ახალ ჩელსებზე გადასვლა, სკოლის თვითმართველობამაც იჩინა თავი.

თანამედროვე საბჭოთა სკოლებში მუშაობის დროს მთავარი: ადგილი უნდა დაეთმოს მოწაფეთა ორგანიზაციულად დარაზმვას, რამაც უნდა ჩაუყაროს საძირკველი კოლექტივიზაციის შექმნას და მისი მუშაობის გაფართოებას. დღეს საბჭოთა კავშირში, რომელიც ბუმბერაზულ ბრძოლას აწარმოებს სოციალიზმისათვის, დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ ბავშვს თავიდანვე ჩავუნერგოთ გეგმიანი და კოლექტიური მუშაობის სურვილი. ამ მიზნის განსახორციელებლად წარმოებს როგორც 4-წლებში, ისე მაღალ ჯგუფებშიც ჯგუფური და სექციური მუშაობა. უნდა ითქვას, რომ დღეს მთლიანად ყველა 4-წლებში ეს მუშაობა ვერ არის კარგად დაყენებული; იმიტომ რომ ზოგი მასწავლებელი ამბობს — „ჯერ ეს წრეები ჩემთან აღრეა და მოწაფეს ვერ მისცემს გარკეცულ გზასო“, მაგრამ ასეთი მიღვომა არ არის სწორი — ეს თვით ჩემი პრაქტიკიდან ვიცი და სათანადო და შესამჩნევი ნაყოფიც მოგვცა.

სახალხო მასწავლებელნი დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ რამდენადაც ადრე მოჰკიდებს ჯგუფი ასეთ მუშაობას ხელს, მით უფრო ადრე შეიძენს დამოუკიდებელი მუშაობის უნარს და მიერვეა კოლექტივის მუშაობას. ვიმეორებ, შედეგი მაქვს მიღებული და ვამბობ: ძალიან კარგია სკოლაში შემოსვლის პირველი დღიდანვე ბავში შევაჩვით წრეობრივ მუშაობას. ამით იმას როდი ვამბობთ, თითქოს ბავშის სუსტი გონება უნდა დავლალოთ და დავაჩლუნგოთ მისი სოფლმშედველობა. ჩემის აზრით, რამდენადაც მეტი ყურადღებით და ინტერესით მიუდგება მასწავლებელი ამ წრეების მუშაობას, იმდენად მოწაფებშიც გამოიწვევს ინტერესს და ხალისს. რამდენადაც დაბალია ჯგუფი, იმდენად მარტივი იქნება მათი მუშაობა. მუშაობა, რომელიც ნაწილობრივ ალვნიშნეთ ზემოთ, საძირკველს უყრის ბავშ-

თა კოლექტივების შექმნას. ამ დროს მასწავლებლის როლი ძლიერ მნიშვნელოვანია; თუ მასწავლებელი ვერ იცნობს მუშაობის ყველა მომენტს, რომელიც აქვს ჯგუფს დავალებული, თუ არ იცის რა დროს რა და როგორ უნდა დამუშავდეს, მაშინ, რასაკვირველია, არასასი-ამოვნო შედეგს მივიღებთ. ბავშებში ეს გამოიწვევს გაუგებრობას, დაბრევას. ჯგუფს დაეხარჯება აუარებელი დრო, შედეგს კი უმნიშვნელოს მივიღებთ. თუ მუშაობა ამა თუ იმ ჯგუფში ორგანიზაციულად ტარდება და გარკვეული ხაზი აქვს, იგი იწვევს ბავშებში ხალისს. სექციურმა (ჯგუფური) მუშაობაში თუ გვინდა თვალსაჩინო ნაყოფი მოვცეს, საჭიროა თვით ბავშებმა სკოლაში ერთად აგეგმონ დასამუშავებელი მასალა. მასალის აგეგშეა შესაძლებელია მე-III ჯგუფიდან და შედეგსაც მივიღებთ. როდესაც აიღება დასამუშავებლად რომელიმე თემა, ის ჯგუფის მიერ უნდა დაიყოს პატარა მომენტებად; იმისდა მიხედვით იყოფა ჯგუფიც სექციებად. თვითოული სექცია იღებს ამა თუ იმ მომენტს დასამუშავებლად. პატარა ჯგუფმა, რომელიც გამოყოფილია ჯგუფიდან, დამოუკიდებლად უნდა აგეგმოს თავისი მუშაობა. თვითოული ჯგუფის აგეგმილ მუშაობას განიხილავს მთელი ჯგუფი. ამსა შემდეგ იწყება სექციების (ჯგუფის) მუშაობა. ისინი აგროვებენ სხვადასხვა ცნობას მასალის დასამუშავებლად.

სექციების მუშაობის დამთავრების შემდეგ ჯგუფში ეწყობა პოხსენება, მოწაფეებთან ერთად, რომ გაეცნონ სექციების მუშაობას, ამით შევაგნებინებთ მოწაფეს ორგანიზაციულად დარაზმების მნიშვნელობას. ასეთივე მუშაობა ტარდება ყაზბეგის საბაზო სკოლაში; სანიმუშოდ მოვიყვან მე-III ჯგუფს, რომელშიაც მე მიხედებოდა მუშაობა. არის თემა „ჩვენი თემი“. ეს თემა აიგეგმა მოწაფეებთან ერთად; მოწაფეებმა აუარებელი დამატება შეიტანეს.

თემა დანაწილებულ იქნა შემდეგ მომენტებად: „ჩვენი თემის მეურნეობა, „ტყის გავლენა ჯანმრთელობაზე და ჰაეაზე“, „თემის შრმრთველობა“ და „თემის კულტურული დაწესებულებანი“. ამის-და მიხედვით დაიყო ჯგუფი სექციებად, რომლებმაც დამუშავეს თითოეული მომენტი, შემდეგ მთლიანად ჯგუფში მოეწყო მოხსენებები.

საბჭოთა კავშირში მთავარი და უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშთა ჯგუფურ და ორგანიზაციულად აღზრდის საქმეს, რომლის საძირკველი სოფლის 4-წლედია. მაგრამ ასეთი ორგანიზაციული მუშაობა ზოგიერთ 4-წლედში მოისუსტებს. ამიტომ ყველა მასწავლებელმა მორიგ და გადაუდებელ ამოცანად უნდა მიიჩნიოს კოლექტიური მუშაობა, რომელიც გზაა სოციალიზმისაკენ.

ჭ. გუთიკაშვილი

## თემის აღრიცხვა და მისი პედაგოგიური ჯეფასება.

სოფ. ახალგ. სკოლის მუშაობიდან

იანვარი ახლოვდება. პირველი მთავარი თემა უნდა მოთავდეს ჯგუფებში. სწარმოებს თათბირი მასწავლებელთა შორის. ირკევვა, რომ მუშაობის არანორმალურ პირობებში დაწყების გამო თემის მოთავების საქმე დარგებში ერთნაირი არა; საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელი მოათავებს თავის პირველ თემას (საშემოდგომო მასალას) ორ-სამ დღეში, აგრძონმოს სჭირდება ცოტა მეტი დრო, მათემატიკის — უფრო მეტი. საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელი უთმობს თავის ზედმეტ სამუშაო საათებს დანარჩენ მასწავლებლებს. ერთი კვირის. შემდეგ აგრძონმოც დაამტავრებს თავის სამუშაო მასალას თემის ირგვლივ. მათემატიკურ საგნებში თემის დასამუშავებელი მასალა მთავრდება, ხოლო მასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ნაწილი რჩება დაუმუშავებელი, რადგან საჭირო იყო ჯგუფებში ჯერ განვლილი თეორიული მასალის საფუძლიანი გამეორება და შემდეგ ახალი მასალის დაწყება, რაც, ცხადია, ზედმეტ დროს მოითხოვდა. მოცდა უკვე შეუძლებელია, ეს შეაფერებს შემდგომ ჩენებს მუშაობას. ამ შემთხვევაში გამოსავალი გზა ერთია: საჭიროა თეორიული მასალის ნაწილი, რომელიც უნდა ყოფილიყო განვლილი ამ თემის დამუშავების დროს, გადაიდოს და მეორე თემასთან დაკავშირებით დამუშავდეს. ეს, ვფიქრობთ, არ დააბრკოლებს სკოლის მუშაობას, რადგან თემატიური მუშაობა მოქნილია, თეორიული მასალის ტევადობა მასში ცვალებადია და მასწავლებლის უნარიანობაზეა დამოკიდებული. რეცეპტურა მისთვის არაა სავალდებულო. ამ მოსაზრებით იწყება სამზადისი აღრიცხვისათვის. ორთვენახევრის განმავლობაში განვლილი მასალა ყველა დარგში ნაწილდება მოწაფეთა შორის მოხსენებებისათვის. მოწაფეთა ცალ-ცალკე ჯგუფს ევალება ამათუ იმ დარგში გავლილი მასალის ნაწილი დაამუშაოს. საჭირო ხდება მასწავლებლის მიერ დიდი დაკვირვება, რომ მასალა მოწაფეთა შორის თანასწორად განაწილდეს, არ გადაიტვირთოს ზოგი და ზოგი არ გამოვრჩეს ამ საერთო სამუშაოში მონაწილეობამიულებელი. ჯგუფის თვითონებული მოწაფე დამუშავებული თემის აღრიცხვაში იღებს მონაწილეობას, რაიმე სამუშაოს ასრულებს. იწყება მოწაფეთა ნამუშევრების — ნახაზების, ნახატების, დიაგრამების, პლაკატების — გამოფენა, იწერება მომენტის შესაფერი კედლის გაზეთი და იწყება მოხ-

სენებებიც დანაწილებული საკითხების ირგვლივ. მუშაობას კრების ხა-  
სიათი ეძღვა, სადაც მოწაფე თავმჯდომარეობს, მოწაფე მდივნობს.  
მასწავლებლები ესწრებიან როგორც კრების წევრები და შორილან  
უსმენენ მოწაფეობას. მოსსენებებს თან სდებს აუარებელი შეკითხვა  
მოწაფეების და მასწავლებლების მხრივ: იმართება კამათი მოწაფეთა  
შორის და ამნაირად ყოველმხრივ განიხილება, დამუშავდება საკით-  
ხი და შეუასტება ნამუშევარი.

ასეთია, ზოგადად, ჩვენი მუშაობის ხასიათი ტრიმესტრის და-  
სასრულს; ამ მუშაობის პროცესში მასწავლებლის წინაშე ძალაუნე-  
ბურად ისმება საკითხი: რას გვაძლევს ეს ოღრიცხვა, რანაირია მისი  
პედაგოგიური მნიშვნელობა, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები  
აქვს მას და როგორ გამოვიყენოთ ეს მუშაობა შემდგომს ჩვენ საქ-  
მიანობაში?

აღრიცხვა ტარდება კრებების სახით, მოწაფეობა ატარებს ამ  
მუშაობას თავისი ხელმძღვანელობით. აქ მასწავლებელი არაა მბრძა-  
ნებელი, იგი მსმენელია. აქ გამეფებულია შრომის კოლექტიური სუ-  
ლი, მოწაფეობის საზოგადოებრიობა. აქ მოწაფეობის მეტი აქტიო-  
ბაა, ხალისია, ინტერესია საქმისადმი. მომხსენებელი გრძნობს არა  
შიში მასწავლებლის წინაშე, არამედ პასუხისმგებლობას მთელი კო-  
ლექტივის — ჯგუფის წინაშე. ჯგუფს აბარებს ანგარიშს თავისი მუ-  
შაობის შესახებ, ჯგუფი აფასებს მუშაობას. კრების ხელმძღვანელობა  
მისი წესიერად ჩატარება — ესეც ხომ მოწაფის საზოგადოებრივ საქ-  
მიანობაში ჩაბმის, შეჩერების ნიშანია.

მოხსენებას გაფაციცებით უსმენს მოწაფეობა, მისი შინაარსი  
ნაცნობია მათთვის და ამიტომ თვითეული მოწაფე მოხსენების ირგვ-  
ლივ თავის ცოდნის მარაგში ეძებს შეკითხვებს იმაზე, რაც მომხსენე-  
ბელს გამორჩია რაიმე მიზეზის გამო; მოხსენების დასასრულს მოწა-  
ფები აძლევენ მომხსენებელს საქმაო რაოდენობის და საკითხის ყო-  
ველმხრივად ამომწურავ ისეთ შეკითხვებს, რომ შესაძლებელია მთელ  
პედაგოგიურ საბჭოს იმ შეკითხვების ნახევარიც კი არ მოსვლოდა  
აზრად, რომ მას ძველებურად ეწარმოებინა მოწაფეთა გამოცდები  
(ეგზამენები). ბევრ ამ შეკითხვას თვით შემკითხველი განმარტავს თა-  
ვის საკამათო სიტყვაში, თუ მომხსენებელმა ამაზე დამაკმაყოფილებე-  
ლი პასუხი ვერ გასცა. ასეთია საკითხის კოლექტიური განხილვა-და-  
მუშავება ბავშთა მეტი ხალისით, ინტერესით, და არა შიშით და მო-  
კრძალებით. აქ შეირჩევა მოზარდი საკითხის სწორედ დაყენებაში და  
მასზე სწორი პასუხის გაცემაში.

ამ მუშაობაში ყველაზე ნათლად იშლება მთლიანი შერწყმული სახე ყველა დისკიპლინის, მათი ერთი მეორესთან დაკავშირების შესაძლებლობა და აუცილებლობა, მათი მნიშვნელობა და გამოყენება საერთო საქმეში — ცხოვრებაში. აქ თვითეული საგნის ძეველებური კარჩაკეტილობის ნიშნებიც კი მოსპობილია. თვითეული მასწავლებელი მთლიანად ეცნობა დანარჩენი ამხანაგების ნამუშევარს და ამ საერთო საქმიანობაში მასწავლებლისთვის იქმნება ყველაზე მეტი ხელ-საყრელი პირობა თვითეული მოწაფის ყოველმხრივად გასაცნობად და შესასწავლად, რაღაც ამ მუშაობაში ბავში უფრო თავისუფლად ამ-ჟღავნებს თავის ბუნებას, ნიჭის და საერთო მომზადებას, საჭიროა მხო-ლოდ მასწავლებლის დაკეირვება მასზე. ამასთან თემის აღრიცხვა-პედ-საბჭოს წინაშე აყენებს სკოლის მთელი მუშაობის სრულ სურათს განსა-ზღვრული დროის განმავლობაში და მასწავლებლობას ეძლევა საშუალე-ბა მთლიანად შეაფასოს ამ მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხა-რეები: აღრიცხვა გვიჩვენებს, როგორია დამუშავებული მასალა სა-ერთოდ, მასში თეორიული მასალა სჭარბიბს თუ პრაქტიკული, რატომ და მომავალში რა ზომა საჭირო ნაკლის გამოსასწორებლად. რამ-დენად საფურვლიანადაა მასალა დამუშავებული, თუ მოისუსტებს, — რაა საჭირო მომავალში. ამნაირად, აღრიცხვის შედეგების სწორი შეფასება მასწავლებელთა მიერ და მასთან დაკავშირებით მომავალი მუშაობის ტემპის გამომუშავება აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი სა-კითხთაგანია. აღრიცხვის შეფასება, წარსულ ნამუშევარს გაუწევს რა კონტროლს, მომავალი მუშაობის გამაჯანსალებელ ლონისძიებებს გა-მოიმუშავებს.

ასეთია, ჩვენის დაკეირვებით და პრაქტიკით, თემის აღრიცხვა-შეფასება. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აღრიცხვამ შეიძლება ზო-გჯერ დაკარგოს თავისი პედაგოგიური მნიშვნელობა და საზიგნოც კი გამოდგეს, თუ ამ მუშაობაში მასწავლებელთა მიერ მეტი სითხიზე და დაკეირვება არ იქნა გამოჩენილი. აღრიცხვისთვის საჭირო სათა-ნადო პირობების უქონლობა მას მერთალ სახეს მისცემს, მოწაფებს დაეკარგებათ ხალისი, მუშაობის ეს აუცილებელი პირობა, და აღრი-ცხვა ვერ მოგვცემს ვერავითარ შედეგებს. ამიტომ საჭიროა წინა-სწარ ყოველმხრივი სამზადისი, სააღრიცხვო გეგმის გამომუშავება, აღ-რიცხვისთვის მეტი ეფექტის მიცემა, თვით აღრიცხვის დროს სათა-ნადო ხელმძღვანელობა. ზოგჯერ შეიძლება კრებამ მოწაფეობა იმ-დენად გაიტაცოს, რომ რამდენიმე საათს გაგრძელდეს მუშაობა — ამას კი შეუძლია გამოიწიოს ბავშის ფიზიკური და გონებრივი დალი-ლობა და დაუძლურება, რისთვისაც საჭიროა სხდომების ხანგრძლი-

ეობის განსაზღვრა და მისი დაცვა. ოვით სხდომებზე საჭიროა მეტი ნაყოფიერი მუშაობა-საქმიანობა და არა მოწაფეოთა კინკლაობა, ზოგჯერ უშინაარსო საკითხების ირგვლივ კამათი, უბრალოდ დროს დაკარგვა, საკითხის აცდენა და მუშაობის გაურკვევლობა, საკითხი-საღმი არასწორი მიღომა, რასაც ვხედავთ ხოლმე ჩვენს. მუშაობაში და საჭირო ხდება მასწავლებელთა ჩარევა საქმეში.

ამნაირად, თუ აღრიცხვის დაწყებამდე და დაწყებიდან დამთა-ვრებამდე საჭირო ღონისძიებანი პედსაბჭოს მიერ მიღებულია, თემის აღრიცხვის წესიერად და ნაყოფიერად ჩატარება უზრუნველყოფილია და მისი პედაგოგიური მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

შ. გურიაშვილი.

კრებალოს სოფ. ახალგ. სკოლის მასწავლებელი.

თვ.

### პ. კანლელაკი.

### პიდევ გრამატიკა შესახებ.

ბევრი ითქვა და კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება ქართული გრამატიკის შესახებ. დღეს ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რომ ჩვენმა მოწაფეებმა არც წერა იციან და არც ლაპარაკი. მაგრამ არ კმარა მარტო ნაკლის აღნიშვნა, საჭიროა გამონახულ იქნეს შესაძლებლობანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დღეს ჩვენს სინამდვილეში გრამატიკის საკითხი პირდაპირ დგას. გრამატიკამ ჩვენ სკოლაში სპატიო ადგილი უნდა დაიკავოს. მან თავისი დანიშნულება უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის უკოდინარობას უფრო გავაღრმავებთ. ქართული ენის გრამატიკა უნდა გახდეს ქართული ენის და ლიტერატურის შემსწავლელ იარაღი. ჩვენმა მოწაფეებმა უნდა იცოდენ ქართული ენა და ლიტერატურა. მაგრამ ქართული ენის სწავლების ღრის დაბრკოლებები გვხვდება. თანამელ-როვე სკოლა ახალ პრინციპებზეა აგებული. შრომის მეთოდი მისი საფუძველია. ახალშა მეთოდმა ახალი მოთხოვნილებები დაბადა, და სკოლამაც ძველ წესებს, სახელმძღვანელოებს ზურგი შეაქცია და ახალ გზას დაადგა. გრამატიკის სწავლების საქმეშიაც ასე მოხდა. დღეს საბჭოთა ტერიტორიის სკოლებში, და განსაკუთრებით მოსკოვში, გრამატიკამ ახალი სახე მიიღოთ—იქ ფორმალი გრამატიკაა. დღეს გრამატიკის სფეროში ბრძოლაა, ლოლიკური და ფორმალი გრამატიკა ერთმანეთს ებრძვის და, რასაკირველია, გამარჯვება

ფორმალი გრამატიკის მხარეზეა. ძველი გრამატიკის დამცველები უბრძოლველად სტოკებენ ბრძოლის ასპარეზს. დღეს ჩვენს სკოლებში ფორმალმა გრამატიკამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს. ამავე დროს ფორმალი გრამატიკის სწავლების წესი ჩვენს სკოლებში ახალი მოვლენაა; ქართული ენის კაბინეტის მიერ გამოცემული „ენის დაკავირვება“-ში ვკითხულობთ „მოწაფისათვის საჭიროა მეცნიერულ გრამატიკაზე აგებული ენის დაკავირვების სამუშაო წიგნი, ხოლო მასწავლებლისათვის ენობრივი ფაქტების მეცნიერული, ფორმალი თვალსაზრისით გაშუქებული ცოდნა (გვ. 6.). და სწორედ ისაა თავიდათავი, რომ ამ მხრივ საქმე ძალიან მოისუსტებს. ჩვენში გრამატიკის საქმე ძალიან გაურკვეველია და ეს, რასაკვირველია, დრიდ გავლენას ახდენს სკოლაზე და მის მუშაობაზე. ჩვენი მასწავლებლობის უმეტესობა აღზრდილია ძველი გრამატიკის წესებზე, რისთვისაც საჭიროა მივცეთ მათ ცოდნა და გარკვეული ხაზი ქართული გრამატიკის სწავლების საქმეში. ახალი გრამატიკის შესახებ ლიტერატურა ძალიან ცოტაა, და რაც არის, მიუწოდომელია მასწავლებლისთვის, განსაკუთრებით პროეინციაში მომუშავე ამხანაგებისთვის. გრამატიკის სწავლების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაიჭრას და გამომუშავებულ იქნეს ყველასთვის სავალდებულო წესები. ამისთვის საჭიროა მოწყობილ იქნეს საზაფხულო კურსები, სადაც უნდა იქნება გაწვეული ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლები. კურსების ლექტორებად უნდა იქნეს გამოყოფილი გრამატიკის კარგად მცოდნე პირები. მეცადინეობა უნდა დაიწყოს ამ კურსებზე ქართული ენის გრამატიკის ანბანიდან და სისტემატიურად უნდა იქნეს გაშუქებული სამუშაო მასალა პროგრამის მიხედვით შეიძლება ვინმერ სთვესა — კურსები ამ საქმეს ვერ გამოასწორებსო, მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენს მასწავლებლებში არ არიან გრამატიკის აბსოლუტურად უცოდინარნი, მასწავლებლობის მეტი წილი კარგად იცნობს გრამატიკას, მხოლოდ საჭიროა ამ ცოდნის სისტემატიზაცია და ახალ მოთხოვნილებასთან შეფარდება. მართალია, გრამატიკაში არის ბევრი რამ სადაცო, გადაუქრელი, მაგრამ რაც უდაცოა, — ის მიეკოლოთ.

თუ კი საზაფხულო კურსები ვერ მოეწყობა, მაშინ საჭიროა აზლავე შეუდგენ გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენას. ამ მხრივ მდგომარეობა მართლაც უნუგეშოა. ვერცერთი სახელმძღვანელო მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებს, პირიქით, ნიკოლაიშვილის გრამატიკამ გაუგებრობაში ჩააგდო მომუშავე ამხანაგები. ან ერთი, ან მეორე, — ან საზაფხულო კურსები, ანდა ჯეროვანად შედგენილი სა-

ხელმძღვანელო. ეს საკითხი რაც შეიძლება- მალე უნდა მოგვარდეს, რომ მასწავლებელი გარევეული გეგმით შევიდეს სკოლაში. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს გრამატიკის სწავლების საქმეს ოთხწლევდში. აქ უნდა შეისწავლონ გრამატიკის ელემენტარული ნაწილები, რაც საგრძნობად გაადვილებს ზედა ჯგუფებში მუშაობას.

### 3. ტურუში.

## ცოტა ჩამ დისციპლინაზე.

აღმზრდელობის ახალ საფუძველზე დაყენების საკითხი თანამედროვე შრომის სკოლის პირობებში დიდალ ენერგიას და საღ პედაგოგიურ განცვრეტას მოითხოვს. თითოეული მასწავლებელი რაგინდ მალალი კვალიფიკაციის იყოს, მეტად რთული და სერიოზული ამოცანის წინაშე დგას, იმ ამოცანის, რომელიც მდგომარეობს ნორჩი ახალგაზრდობის ინტელექტუალურ ცხოველათ გარდაქმნის აუცილებლობაში. ჩვენი პედაგოგიკის ახალი პრინციპი მიზნად ისახავს გამოსჭედოს ახალი ადამიანი, რომელიც გაწმენდილი იქნება ყოველგარი ცრუმორწმუნობის, რელიგიისა და მისტიკური აზროვნებისაგან. პროლეტარულ ეპოქას აუცილებლად ესაჭიროება მეცნიერულ სინამდვილეზე აღზრდილი მოაზროვნები, რომელთა ხვედრი იქნება სოციალიზმის მშენებლობაში. მტკიცე და ურყოფი ცოდნა-ჩვევის გამოჩენა, მეცნიერებათა თითოეული დარგის გამოსახვა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და, ერთი სიტყვით, თეორიულ-პრაქტიკულად შერწყმული მასალის რეალური განსახება.

მაშასადამე, მიზანი რთულია და მის მისაღწევად დიდ სიძნელეთა დაძლევაა საჭირო, რაც აუცილებლად უნდა შესძლონ საბჭოთა აღმზრდელებმა.

ზემოთქმული მიზნები მაშინ იქნება განალდებული, როცა პედაგოგს ნათლად აქვს ათვისებული და გადაფასებული ყველა ის ღონისძიება, რაც დღევანდელ ჩვენს სკოლებშია შემოლებული სწავლების ახალი მეთოდური თვალსაზრისით. სოციალისტურ სკოლებში წარმოებული მუშაობების ერთ-ერთი მთავარი ფუძე, როგორც-დღემდე, ისე დღესაც, სასკოლო დისკიპლინის განმტკიცებაა, რაც მოწაფეობას აძლევს ერთ გარკვეულ მიმართულებას, როგორც საზოგადოებრივად, ისე მორალურად აღზრდის სფეროში.

ჩვენი სკოლის პრინციპთა შორის დიდი პლიუსით უნდა აღინიშნოს მასწავლებელსა და მოწაფეს შორის სოლიდარული განწყობილება,

რითაც დიდად განვსხვავდებით ძეველი „უანდარმული“ სკოლისაგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სოლიდარობის იდეა არ უნდა გადამახინჯდეს ორივე მხარის მიერ.

ზოგიერთ ჩვენს პედაგოგს შეიძლება ჰვინია, რომ, თუ მან მოწაფესთან „ძმაბიჭური“ დამოკიდებულება იქნია, ამით ის თავისუფალი სკოლის კანონს ემსახურება; მაგრამ ამდენად გადაჭრებებული გრძნობა არამეთოდურია, მეტადრე სამუშაო საათების დროს, და ის ავაცლებს ნამდვილი დანიშნულების გზას. მასწავლებელი სკოლაში უნდა იყოს ზექმედი, გაელენიანი და მოწაფეთა ფსიქოლოგიური განცდების დამპყრობი, სასკოლო საათების გარეშე კი თავდაჭრილი, ზომიერი და მიზნობრივი ყველა საქმეში. დისციპლინის გარეშე არავითარი ორგანიზაციული მუშაობა არ სწარმოებს. მოწაფე უნდა გრძნობდეს თავის მოვალეობას პედაგოგის წინაშე არა შიშის, არამედ ზნეობრივი გავლენის გამო. რაც შეეხება თვით მოქმედ ორგანიზაციებს და სექციურ ჯგუფებს, აქ, რა თქმა უნდა, მოწაფე მასწავლებელზე უფრო თვითმოქმედი და აქტიური უნდა იყოს.

ვინ არ იცის, რომ განაკვეთის მსვლელობის დროს უდისციპლინობა მთელ მუშაობას აფერხებს. მასწავლებელს, იმის ნაცვლად, რომ მასალა მოსთხოვოს ან გადასცეს, უხდება ხშირად განმეორება: „დაწყნარდი“ „ნუ ცელქობ“ და სხ. ხანდახან ისეთ უკიდურესობამდე მიღის, რომ ნერვებაშლილმა არც კი იცის რა ჰქნას, ვერ უპოვნია გამოსავალი გზა. თუ ამას სისტემატიური ხასიათი-აქვს, მაშინ სასწავლო წლის მასალა ვერ სცილდება მინიმუმის საზღვრებს.

რას მიეწერება ასეთი არანორმალური მდგომარეობა ანუ უდისციპლინობა? მთავარი მიზეზი აქ ისევ პედაგოგის სუსტი მეთოდური მიღვომაა.

ასეთი დეფექტები რომ სრულიად აღმოიფხვრას, მასწავლებელმა შემდეგი ლონისძიებები უნდა განახორციელოს:

ა) აუცილებელია სკოლაში მომზადებული. და გეგმიანი შესვლა (ეს ზოგიერთებს არ სჩვევია), რაც გაულვივებს ინტერესს მოწაფეობას და დიდად დაეხმარება წესრიგის განმტკიცებას.

ბ) თვით პედაგოგი უნდა იყოს მტკიცე ნებისყოფის, თითოეული მისა ფრაზა და მოტორული სახე მოწაფეზე ზეგავლენას უნდა ახდენდეს.

გ). მასწავლებელთა კოლეგიაში აუცილებელია დისციპლინარული სულისკვეთება და საქმიანობა (სკოლაში დაუგვიანებლად მისვლა, დავალების პირნათლად შესრულება და სხ.), ვინაიდან მოწაფე მასწავლებელს უცქერის და მის მაგალითს მიბაძაეს.

ღ) პედაგოგი არ უნდა აჭარბებდეს (ტენდენციურობა), არ უნდა მისცეს ადგილი „კაზიონურ“ ნაშთებს და შრომასა და გართობას შორის მოწაფეთა მასაში გაბასა ჰარმონიული ძაფები და სხ.

სკოლის საერთო პრესტიუსის თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის დისკიპლინის საქმეში საუკეთესო ბაზა მასწავლებლისათვის სკოლაში არსებული ორგანიზაციები: სკოლ-საბჭო, პიონერკოლექტივი, ა. ლ. კ. კ. უჯრედი და სხ., რომლებიც დიდად შეუმსუბუქებენ ამ მხრივ ტვირთს, და ეს მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებელი კარგად ხელმძღვანელობს მათ და სალი მეთოდიკა აქვს. თუ ასე არაა, მაშინ ზემონაჩენები ორგანიზაციები თავის მიზნებს კიდევ დაამახინჯებენ და ამით მასწავლებლის და მთლიანი სკოლის სისუსტე კიდევ უფრო გამომულავნდება დისკიპლინის განმტკიცების დარგში.

**მოსე ტუღუში.**  
ნატანების 7-წლ. მასწავლებელი.

### ს. მელიძიშვილი

## დუშეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და მისი საზოგადოებრივ-სასახლებლო მუშაობა.

„ჩვენ გვინდა ჩვენი ღარიბ-ღატაკი ქვეყანა გა—  
გადავაქციოთ მდიდარ და მძლავრ ქვეყნად“.

„საჭიროა ახალმა თაობამ თავი დაახტიოს.  
კარგაკეტილობას და თავისი სწავლა, თავისი აღ—  
ზრდა და განათლება მუშებისა და გლეხების  
შრომას დაუკავშიროს“. ლევინი.

ამ მიზანს სოფლად დღეს განახლებული სკოლა — სოფლის ახალ—  
გაზრდობის სკოლა — ემსახურება.

ძელი სკოლა თავის აღსაზრდელთ მისთვის აწვდიდა ცოდნას,  
რომ მათ ეწერათ და ელაპარაკათ კაპიტალისტების სასახლებლოდ.  
იგი წვრთნილა ბურჟუაზიის ყურმოჭრილ მსახურთ. მშრომელი მასის  
კეთილდღეობა სკოლას არ აინტერესებდა. სკოლას და წიგნს მოსახ—  
ლეობის პრაქტიკულ ცხოვრებასთან თითქმის არავითარი კავშირი არ—  
ჰქონდა, სკოლა სრულიად არ ზრუნავდა სწრაფად წყვდიადის გაფან—  
ტვას, მის იჩვევლივ გამეფებული უკულტურობის და უვიცობის  
ალაგმვას.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დღეს ამ მიმართულებით ფრიად  
სერიოზულ ბრძოლას აწარმოებს. მისი პროგრამები მჭიდროდ უკავ—

შირებს სკოლას მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. მოსახლეობის საკეთილდღეოდ ყოველდღიური „პატარა საქმეების“ კეთვა ხელს უწყობს ქვეყნის მეურნეობის და კერძოდ სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება-განმტკიცებას.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა არა მარტო აღრიცხავს მოსახლეობის მტკიცნეულ მხარეებს, არამედ რადიკალურად და გადამჭრელ ზომებს იღებს უარყოფილი მოვლენების აღმოსაფხვრელად და ხელს უწყობს სოფლის გაკულტურებას.

რა გააცეთა 1927/28 სასწავლო წლის შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში დუშეთის საბავშო ახალშენის სოფ. ა. სკოლაში ამ მიმართულებით?

### სასოფლო-სამეურნეო სექციის მეთაურობით.

ხელმძღვანელი ა. კენჭაძე: საშეფო სოფელ ამილახვრიანთ კარში ჩატარდა მოხსენებები: „ნიადაგი და ნიადაგის განოყიერება“ (როგორი წესით უნდა განოყიერდეს ადგილობრივი ნიადაგი), „თესლის გადარჩევა და თესლთაბრუნვა“, „მეწველი ძროხის კვება, მოვლა და მესაქონლეობის მდგომარეობა ჩვენში“.

ამავე სექციის მეთაურობით და ხელმძღვანელობით დუშეთის მაზრის წვევანდელთა შორის ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ერთ-თვიანი კურსები, სადაც მეცადინეობდენ კვირაში ორჯერ და დამუშავდა, თანახმად თვით წვევანდელების სურვილისა, შემდეგი საკითხები: „მეღვინეობა ჩვენში“ (როგორ დავაყენოთ და შევინახოთ ჩვენი ლეინი), „ხეხილის ბალის მოვლა-გაშენება“, „ფუტკრის მოვლა“, „საქონლის გაუმჯობესებული წესით კვება“.

მოაწყეს გლეხის აგროგასამართლება. აღნიშნული მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სკოლის ყველა პუნქტი (ფერმა, საფუტკრე, ბოსტანი, ბალი და სხ.) აგრძობითობისა და საბუნებისმეტყველო ქიმიური კაბინეტები, იყო ხმარებაში მიკროსკოპი და სხვადასხვა ხელ-საწყო.

სოფ. ბაზალეთში, თანიანთკარში, ამილახვრიანთკარში და სხვ. ჩატარდა თესვის და მყნობის კამპანიები და მოხსენებები ფრინველთა მოშენების ირგვლივ (ჯომარდიძე, კენჭაძე).

სოფ. ყვავილში, ამილახვრიანთკარში და თვარელიანთკარში დახმარება გაუწიეს ქერივ-ობლებს: დიმიტრი ჭონქაძეს, ანა კაციაშვილს, ვატო ლარიბაშვილს, ნინო ყავლაძეს და გ. ლაგაზაშვილს დაუბარეს მამული სკოლის ხელსაწყოებით, დუშეთის მცხოვრებს გიორგი თუჯიშვილს პარიზის მწვანით მოუწამლეს ბალი, დაურიგეს.

დუშეთის და მახლობელ გლეხებს პარიზორის, კომბოსტოს და ბალ-რიჯნის აღრეული ჩითილები — 1500 ც., აწყობდენ საუბრებს სათბურების მოწყობისა და ჩითილების გამოყვანის შესახებ.

მოსახლეობა უფასოდ სარგებლობდა. პუნქტით. სკოლას ჰყავს ხევსურული ჯიშის ბულა (საუკეთესო ექვემდებარი) მესაქონლეობაში ჯიშების გაუმჯობესების მიზნით.

ავრცელებდენ რაიონში გაზეთ „ახალ სოუელს“ ( 61 ხელის მომწერი) და ამავე რედაქციის მიერ გამოშვებულ ბროშურებს: „გლეხის ბიბლიოთეკა“.

აღძრული საკითხების ირგვლივ თავსდება შინაარსიანი წერილები სკოლის კედლის გაზეთში: „გლეხის მეგობარი“

### საზოგადოებრივ-კულტურული ხექციის მეთაურობით.

(საზმეცნიერების მასწ. ცანავას ხელმძღვანელობით.)

საშეფერ სოფელ ამილახვრიანთკარში ჩატარდა მოხსენებები: „მიწის სარგებლობის წესები ამჯამად“, „ჩარჩ-ვაჭრები და გლეხობა“, „სიბიძნურე ოჯახში და მისი შედეგები“ (ამ თემასთან დაკავშირებით ხშირად ეწყობოდა „შაბათობა“), „წერა-კითხვის-უცოდინარობა არ ვარგა“, „როგორ იშვა ლმერთები და მისი შედეგები“, „ტყის ეკონომიური მნიშვნელობა“, „სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებული იარაღების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში“, „მღვდლების აზრი სააქაოსა და საიქაოზე“ „უკულტურობა და უკულტურო გლეხი საბჭოთა ხელისუფლების მტერია“, „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დანიშნულება“, „სოფლის მეურნეობის რაციონალიზაცია“, „გლეხკომის მნიშვნელობა“ და სხვა.

დროგამოშვებით მოსახლეობაში სწარმოებდა გაზეთის („ახალი სოფელი“ და „მოჯამაგირის ხმა“) საჯარო კითხვა. წაკითხულ იქნა წერილები: „როგორ დავახწიოთ თავი სიღატაკეს“ („ახალი სოფელი“, № 183), „ახალი სამეურნეო გადასახადები“ („ახალი სოფელი“, № 18), „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია — მე-15 პარტყრილობის დაღვენილება („ახალი სოფელი“, № 185), „განათლებისაკენ“ („მოჯამაგირის ხმა“, № 102), „მოჯამაგირეთა შორის მუშაობა“, „მოჯამაგირის ხმა“, № 17, „სასოფლო-სამეურნეო მუშები და კოოპერაცია“, № 18.) ასეთივე მუშაობა დროგამოშვებით სწარმოებდა დუშეთშიც. აღილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა აგრეთვე სკოლის სხვადასხვა წიგნებით და ბრომურებით.

დუშეთის სამაზრო მილიციის, პროტეფტუროს, კომკავშირის, ქალგანის, სამკითხველოს და სხ. კედლის გაზეთების, სადლესასწაულო

პლაკატების და ლოზუნგების მხატვრულ ნაწილს ასრულებდა სკოლის მხატვართა წრე.

მკინძავთა წრე ჰქინძავდა ახალშენის წიგნებს.

დაარსდა წერაცითხვის უკოდინართა სალიკვიდაციო სკოლა.

შეაკეთეს ახალშენის სათეატრო დარბაზი სცენით, დადგეს რა-  
დიო, რომლის მუშაობას ყოველდღე აუარებელი ხალხი ესწრებოდა.

**ფიზიკა-მათემათიკის მასწ. ქუჩულორიის და ბოკუჩავას ხელ-  
მძღვანელობით.**

საშეფო სოფელ ამილახვრიანთკარის კლუბში გაკეთდა ანტირე-  
ლიგიური ხასიათის მოხსენება. „ატმოსფერული მოვლენები“ და ამა-  
სთან დაკავშირებით მოახდინეს ცდები.

დუშეთის მუშა-მისამსახურეთა და ადგილობრივი მოსახლეობის  
კლუბში 25 დეკემბერს გაკეთდა მოხსენება: „ორთქლის ძალა“ და  
ამასთან დაკავშირებით მოაწყეს ცდა: მოძრაობაში მოიყვანეს სკო-  
ლის პატარა ორთქლმავალი. 10 თებერვალს ზემოხსენებულ წვევნდე-  
ლებთან სასოფლო-სამეურნეო კურსებზე მოეწყო საუბარი „წვიმის და  
თოვლის წარმოშობა და მათი მიზეზები“, რასაც დაუკავშირეს მთელი  
წყება ცდები.

დუშეთის მახლობელ სოფლებში ჩატარდა საუბრები მეტრული  
ერთეულების უპირატესობაზე, ნაკვეთების და გეგმის სხვადასხვა სა-  
ხეზე, საქონლის კვების ერთეულების გამოანგარიშებაზე და სხვა.

**რუსული ენის მასწ. ბოკუჩავას ხელმძღვანელობით.**

დაარსდა რუსული ენის წრე, რუსული ენის შესწავლის გაღრ-  
მავების მიზნით. სკოლის სათეატრო დარბაზში ადგილობრივ მუშა-  
მოსამსახურეთა თანადაწერებით მოეწყო რუსული სამი სალამო პიე-  
სებით: „მოლოდიე პობეგი“, 2 მოქ. „ვ. ნონიომ“, 1 მოქ., ინსცენი-  
რობა; „სუდ ნად პიონერომ კურილშიიკომ“, 1 მოქ., „სუდ ნად ნე-  
რიაშლივიმ პიონერომ“, 1 მოქ. და „გრამოტეგი“, 1 მოქ.

**ბუნებისჩერეფველება-ქიმიის მასწავლებელ გეგიაძის ხელმძღვანე-  
ლობით.**

საშეფო სოფ. ამილახვრიანთკარში და დუშეთის კლუბში ჩა-  
ტარეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „დედამიწის წარმოშობა და მი-  
სი სახის თანდათანობითი ცვლა“, „ნიადაგის განოყიერება“, „რა  
არის ქიმია და რას შეისწავლის ის“, „ქიმია სასოფლო მეურნეობა-

ში“, „ბოროტი“ და „კეთილი“ ქიმია (რომელი მათგანი საღ და რო-  
ლის არის სპირტი).

აღნიშნული საკითხების ირგვლივ სკოლის კედლის გაზეთში „გლო-  
ხის მეგობარი“ თავსდებოდა ფრიად საყურადღებო წერილები.

**ქართული ენის მასწ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. (1 ჯგუფი)**

მოეწყო დუშეთში და შემდეგ განმეორდა სოფ. ამილახვრიანთ-  
კარში ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელი ლიტერატურული  
სალამო ასეთი შინაარსით: 1. მოხსენება „ოქტომბრის რევოლუციის  
ასახვა ქართულ მწერლობაში“, ლექსები, სიმღერები და სცენები: „უკა-  
ნასკნელი დღე სიკედილით დასასჯელისა“ და სხ. ამ დღისათვის გა-  
მოსცეს სპეციალური ნომერი კედლის გაზეთისა.

თემის „ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრება“ საილუსტრაციო ლიტე-  
რატურული საჯარო სალამო მოაწყეს, რასაც დიდალი ხალხი დაე-  
სწრო. სალამოშე ჯერ გაკეთდა მოხსენება:

„ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრება“ (ქართული ხალხური პოეზიის  
და მწერლობის მიხედვით), შემდეგ კი მეტად შინაარსიანი დივერ-  
ტისმენტი მოეწყო: ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ლექსები და  
სიმღერები როგორც ჩვენი მწერლობიდან, ისე ხალხური პოეზიიდან.  
ცალკეულმა ჯგუფებმა შეასრულეს „სოლო“, „დუეტი“, „ტრიო“, გა-  
ლობდა გუნდი, ალტაცებაში მოიყვანა მაყურებლები ცოცხალმა სუ-  
რათებმა.

ასეთივე ლიტერატურული სალამო გაიმეორეს სოფ. მილახვრიანთ-  
კარში.

შეკრიბეს დუშეთში და მის მახლობელ სოფლებში ჩვენი ხალ-  
ხის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ლექსები და სხვა.

გაასამართლეს საჯაროდ ეგ. ნინოშვილის მოთხოვნის „ბარტა-  
ხის“ გმირი მელანია, „სტუმარ-მასპინძელი“, -ს გმირი ჯოულა, „ხე-  
ვის ბერი გოჩა“ -ს გმირი ონისე, „მოძღვარი“ -ს გმირი ონისე.

თემასთან „ბატონყმური ურთიერთობა“ დაკავშირებით მოეწ-  
ყო დიდი სალამო. დაიდგა მასწავლებლის დახმარებით ბავშების მიერ  
გადაკეთებული პიესა „არსენა“ (ხალხური) და „კაკო ყაჩალი“.

4 მარტს წარმოდგენილ იქნა „კაცია ადამიანი?“ — ილ. ჭავჭავა-  
ძისა, 3 მოქმედება, რაზეც მოიწვიეს ადგილობრივი ცხრაწლედის მე-5  
ჯგუფიც.

გაასამართლეს ვარდუა — „სურამის ციხე“ -დან და დასდგეს წარ-  
მოდგენა „დარისპანის გასაჭირი“.

თემის „კაპიტალიზმის ასახვა ქართულ ლიტერატურაში“ მიხედვით მოწყობით სალამო, გააკეთეს მოხსენება აღნიშნულ თემაზე, რასაც მოჰყვა ფრიად საინტერესო და შინაარსიანი დივერტისმენტი თემის ირგვლივ.

თემასთან „სოციალური ურთიერთობა ბატონიშვილის გადავარდნის შემდეგ“ დაკავშირებით მოწყობით სალამო შესაფერისი მოხსენებებით და დივერტისმენტით და გაასამართლეს „გოგია უიშვილი“.

მე-II ჯგუფის საზოგადოებრივ-კულტურულმა სექციამ 1 და III ჯგ. ამგვარსავე სექციებთან ერთად მოაწყო ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელი ლიტერატურული სალამო, რომელზეც მე-II ჯგუფის პროგრამებში მიცემულ მასალებთან დაკავშირებით გააკეთეს მოხსენება „ოქტომბერი ქართულ მწერლობაში“. ცალკე სალამო და ეთმო აგრეთვე მოხსენებას: „სოფელი და ქალაქი ქართულ მწერლობაში“, რასაც თემის დამახასიათებელი დივერტისმენტი მოჰყვა და აგრეთვე გაასამართლეს ქრისტინე და სპირიდონ მცირიშვილი.

დუშეთის მაზრის წვევანდელები, რიცხვით 50 კაცი, და ადგილობრივი ახალგაზრდობა განცვირდებაში მოიყანეს ბავშებმა თავისი მოხდენილი თამაშით (პირს „ნომერი 21 ჯვრით“).

თემასთან „საზოგადოებრივი კლასები და კლასთა შორის ბრძოლა“ დაკავშირებით აგრეთვე ლიტერატურული სალამო მოწყობით და დასდგეს ბავშების მიერ პიესად გადაკეთებული დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“.

მე-III ჯგუფი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სასწავლო წლის დასაწყისში ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავ ლიტერატურულ სალამოზე გამოვიდა მესამე ჯგუფის პროგრამებში მოცემული მასალებით. გაასამართლეს „გამზრდელი“, ტარიელი „(ვეფხვისტყაოსნიდან“) და „განცდეგილი“.

მოაწყეს გრანდიოზული ლიტერატურული სალამოები შემდეგ თემებთან დაკავშირებით: „საქართველოს ბუნება“, „საკუობრიო ჰანგები ქართულ ლიტერატურაში“, „იმპერიალისტური რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საწინააღმდეგო პროცესტი ქართულ მწერლობაში“. ეს სალამოები ეწყობოდა შესაფერისი მოხსენებებით, ლექსებით, სიმღერით, მელოდეკლამაციით ცოცხალი სურათებითა და სხვა. ყველა ზემოხსენებული სალამოს ირგვლივ სკოლის ორკვირეულ მხატვრულ კედლის გაზეთში „გლეხის მეგობარში“ თავსდებოდა ფრიად საყურადღებო წერილები.

ასეთი გაზეთის მეორე ცალი იგზავნებოდა საშეფო სოფ. ამილაშვრიანთვარის კლუბში.

სკოლის საზოგადოებრივ-კულტურული სექციების პსეთი მუშაობა ხელს უწყობდა ბავშების და მოსახლეობის გონიერივ-ემოციონალური ღონის ამაღლება-განვითარება-განმტკიცებას.

**პიონერთა საბჭომ ახალშენის კოგვავშირის ხელმძღვანელობით ჩატარა.**

1927 წ. სექტემბერს, (ხელმძღვანელი დ. კუჭავაძე) ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საღამო, 7 ნოემბერს — ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავი საღამო. 7 იანვარს, „შობა დღეს“ სკოლის სათვატრო დარბაზში მოსახლეობის თანადასწრებით მოეწყო მეტად შინაარსიანი საღამო, რომ ამ დღეს ხალხის ყურადღება მოეწყვიტა ეკლესის გავლენისაგან, მოეზიდათ სკოლაში გარედან მოსიარულე ბავშები, რომ არ გამხდარიყვნენ იმ დღეს ოჯახებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამეფებული ლოთობა-ქეიფის მონაწილენი. 1928 წ. 15 იანვარს მოეწყო სამგლოვიარო საღამო ლიბკნებტის სიკვდილის დღის აღსანიშნავად და 21-22 იანვარს — ლენინის და 9 იანვრის დღების აღსანიშნავი საღამოები.

დუშეთის სამპარტკომის მოწოდებით ასეთივე საღამო გაიმეორეს რემედასის სასარგებლოდ დუშეთის მუშა-მოსახურეთა კლუბში, რის შემოსავალი 32 მან. და 85 კაპ. გადაეცა ავიაქიმის სასარგებლოდ პარტკომის სააგ. საპროპაგანდო განყოფილებას. ამავე კლუბში მოსახლეობისათვის გაიმეორეს ანტირელიგიური საღამო, საღაცეაკეთეს მოხსენება: „შობის დღესასწაული და მისი წარმოშობა“ (აბესაძე) და ამასთან დაკავშირებით პიონერკომიკავშირელებმა ე. ნათიშვილმა, კოკი მელიქიშვილმა, მ. ჯომარდიძემ და ვ. ჭიჭინაძემ გააკეთეს მთელი რიგი ქიმიური ცდები, რითაც აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება.

ყველა ზემოხსენებული დღესასწაულის და სამგლოვიარო საღამოების ირგვლივ თვითეული კოლექტივის (ოთხი კოლექტივია ახალშენში) მიერ ცალ-ცალკე იცემა სპეციალური კედლის გაზეთი შესაფერისი ლოზუნგებით.

აგრეთვე მონაწილეობას იღებდენ დემონსტრაციებში დღის შესაფერისი სიტყვების წარმოთქმით.

პიონერთა შორის სამუშაოდ პიონერ-კომიკავშირელები მიმაგრებული იყვნენ ჯგუფ-ჯგუფად, ხუთ-ხუთი კაცი, დუშეთის რაიონის და ბაზალეთის თემის სხვადასხვა სოფლებში: ბაზალეთში, საკრამულში, გოგრიანთკარში, ებნისში, მლაშეში და საშაბუროში.

ყურადსალებ მუშაობას აწარმოებდენ ადგილობრივაც. მციდრო კავშირი ჰქონდათ აგრეთვე დუშეთის ყველა საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციასთან.

ჩაებენ დუშეთის სამაზრო აღმასკომის მიერ დაწყებულ ჭყლის არხის გამოყენის საქმეში: გათხარეს 55 კუბ. მეტრი მიწა და ამ მუშაობაში მიღებული 38 მანეთი გადასცეს სამაზრო პარტკომს უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ.

არა ნაკლები შრომა გასწიეს უფასოდ დუშეთის მახლობლად ახლად გაშენებულ მუხის ტყის გახელვა-გაწმენდაში. იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩეენთვის ტყეს, განსაკუთრებით წიწვიან ტყეს, გამოითხოვეს საქართველოს საკურორტო სამართველოდან 1000 ძირი წიწვიანი ხე და სკოლის ეზოში მით გააშენეს ფიჭვის პატარა ტყე.

მათივე ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოხდა გასულ ზამთარს სამხედრო გზის გაწმენდა, როდესაც დიდი თოვლის გამო სრულიად შესწყდა მიმოსკლა დუშეთსა და ტფილის შორის, რაც დიდალ ზარალს იყენებდა დუშეთს: ველარ შემოიტანეს ტფილისიდან წამოღებული კოოპერატივის საქონელი. ს. ა. სკოლამ პირველმა მოპეიდა ბარებს ხელი, მას მიბაბა ადგილობრივმა ცხრაწლედმა, გამოეხმაურა სამაზრო მილიცია, გაჰყეა მოსახლეობა, და სამი დღის განმავლობაში სრულიად გასწმინდეს თოვლისაგან სამხედრო გზა ექვსი კილომეტრის მანძილზე, რითაც აღდგენილ იქნა კავშირი დუშეთსა-და ტფილის შორის.

მათი შრომა-საქმიანობა გაძლიერდა, კომკავშირის უჯრედში კომკავშირელთა რიცხვი 45 წევრიდან 70-მდე ავიდა. ჩამოაყალიბეს სამხედრო წრე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ახალშენის მთელი უჯრედი და გარედან მოსიარულე ბავშვები. ახალშენის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის სექციები და კომკავშირის უჯრედი გერთიანებული ძალებით სცემდენ ზემოხსენებულ კედლის გაზეთს „გლეხის მეგობარს“, კომკავშირის უჯრედის წევრებიც ათავსებდენ შიგ. მეტად შინაარსიან ფრიად საყურადღებო წერილებს დუშეთის და მისი რაიონის ცხოვრებიდან მოსახლეობის საჭიროობის საკითხების შესახებ, სადაც, სოფლის ახალგაზრდობის სკოლასთან ერთად, ისინიც აღრიცხავდენ ხსენებული რაიონის დეფექტებს, უარყოფით მოვლენებს, სახავდენ ლონისძიებებს — თუ რა ზომებს უნდა მიმართოს მოსახლეობამ თავისი მეურნეობის აღსაღენად, კულტურის მისაღე-

ბად, რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად, ახალი ქვეყნის შესაქმნელად.

დღევანდელი ჩვენი სოფელი ხსნას ახალი სკოლისაგან, სოფლის ახალგაზრდობის სკოლისაგან, მოელის.

და იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰგავდეს ძველ, სქოლასტიურ სკოლას, — სკოლა ცხოვრებას უნდა დაცუკავშიროთ,

### 8. ჩიზოვანი

#### „დაუსწრებელი კურსების“ შესახებ<sup>1)</sup>.

როგორც ჩვენი უურნალის მკითხველმა იცის, 1928/29 სასწავლო წლის განმავლობაში წინამდებარე უურნალში სისტემატიურად თავსდებოდა „დაუსწრებელი კურსების“ მასალა, რომლის დანიშნულება და მიზანი მასიური სკოლის მასწავლებელთა პრდ. კვალიფიკაციის ამაღლებაა. დღემდე სულ დაბეჭდილი არის 8 დავალება. თვითეული დავალება დასამუშავებლად ეძლეოდა მასწავლებლობას ადგილზე, რასაც სასკოლო მუშაობაში ჩაბმული ამხანაგები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ამუშავებდნენ: გასულ წელს „დაუსწრებელი კურსების მონაწილეთა რიცხვი მცირეა, ჩვენი სახალხო მასწავლებელთა რიცხვთან შედარებით, რომლებიც მუშაობენ ოუნდაც მარტო 1-ლი საფეხურის შრომის სკოლებში. მეორე საფეხურის მასწავლებელთა ჩაბმაც არ არის სასურველად მოწყობილი, რაც სულ 35 კაცით განისაზღვრება, ხოლო კურსების მსმენელთა რიცხვი კი 177 უდრის „მათ შორის 61 ქალია და 116 ვაჟი“<sup>2)</sup>. ეს რიცხვი ცოტაა. გასულ წელშივე შესაძლებელი იყო მეტი რიცხვი მიგველო, მაგრამ ამის მიზეზი შემდეგია: 1. სამაზრო განათლების განყოფილებების მიერ დროზე არ ყოფილა ამ საკითხე აღილებზე ჩატარებული სათანადო მუშაობა და 2. თვით მასწავლებლობა „დაუსწრებელი კურსების“ პროგრამას გვიანამდე ვერ გაეცნო, რადგანაც ზოგან „ახალ სკოლისაკენ“, გასული წლის სექტემბრამდე არ ვრცელდებოდა

1) მ. ჩიზოვანის წერილი საყურადღებოა უურნალის ყველა ხელისმომწერის-თვის. ზოგიერთ საკითხში ვერ დავეთანხმებით, და მით უფრო საინტერესოა გავი-გოთ სხვა მასწავლებელთა აზრი დაუსწრებელი კურსების შესახებ.

2) იხ. „ახალ სკოლისაკენ“, № 7—8-ში ამს. ბ. კანდელაკის საინფორმაციო წერილი, გვ. 158—61.

და პროგრამა მისაღები ანკეტით მოთავსებული კი იყო „ახალი სკოლისაკენ“—ის № 8-ში, შემდეგ კი არ განმეორებულა. ცხადია, მიმდინარე წელში ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. დაუსწრებელ კურსებზე უნდა მუშაობდეს თვითეული მასწავლებელი, განურჩევლად მისი განათლებისა და სკოლის ტიპისა. ამ საქმეში პედაგოგიურ წრებს დიდი მუშაობის ჩატარება მართებთ.

ახალი სკოლისაკენ“—ის № 11—12-ში არის მოთავსებული ინფორმაცია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კაბინეტის დაარსების შესახებ<sup>1)</sup>, რომელსაც თითოეული მასწავლებელი განსაკუთრებული კურსადლებით უნდა მოეცყროს და ჩაებას მის მუშაობაში. უდავოა, რომ კაბინეტის მუშაობის მთავარი დასაყრდენი და საშოალება „დაუსწრებელი კურსები“ იქნება. კვალიფიკაციის ამაღლების კაბინეტის დაარსება ხელს შეუწყობს დაბალი ცოდნის მქონე მასწავლებელთა გადაყვანას საშუალო ცოდნაზე მაინც, ხოლო მეტი კვალიფიკაციის მქონეთ კი უფრო მეტი მეცნიერული ცოდნის მიღების საშუალებას მისცემს.

მაგრამ აქვე საკითხავია, გასული სასწავლო წლის განმავლობაში გამოქვეყნებული „დაუსწრებელი კურსების“ მასალამ გაამართლა თუ არა ოვისი იმედები, შესძლო თუ არა დამარების გაწევა პრაქტიკულად მომზადეთათვის, საკმარისია თუ არა მასალა, მოითხოვს თუ არა „დაუსწრებელი კურსების“ მასალა შემდგომ გაშლა-გაფართოებას და სხვა. ეს კითხვები აუცილებლად საჭირო და მიზაშეწინილია, რის შესახებაც მკითხველს გავაცნობ ჩემს აზრს.

დაუსწრებელმა კურსებმა თავისი დანიშნულება ცოტა გამონაკლისით გაამართლა. სახალხო სკოლის მასწავლებლობამ მით ბევრი რამ გაიგო ისეთი მეცნიერებიდან, როგორიცაა პედოლოგია. მაგრამ მომავალში ამ მიმართულებით კიდევ უნდა გაძლიერდეს მუშაობა. ყველაზე საინტერესო მასიური სკოლის მასწავლებლობისათვის „სწავლების ტექნიკაა.“ ამ საკითხს მეტი დეტალური განხილვა სჭირდება. „დაუსწრებელი კურსების მასალა ცალმხრივია. აქ მარტო ლაპარაკია პედაგოგიკაზე, და სხვა მეცნიერული დისკიპლინები არა ჩანს, რაც, ერთის მხრივ, ხელს უშლის თვით მასალის შესწავლა-გაგებას.

მომავალისთვის აუცილებლად საჭიროა:

1. პირველ რიგში „დაუსწრებელი კურსების“ მსმენელთა რიცხვის გადიდება მაქსიმუმამდე, ე. ი. მასწავლებელთა მასიური ჩაბმაკვალიფიკაციის ამაღლების კაბინეტის მუშაობაში.

1) იხ. „ახალ სკოლისაკენ“ № 11—12. ამხ. ბ. კანდელაკის საინტერმაციო წერილი, გვ. 53 (671).

2. „დაუსწრებელი კურსების“ მასალა გაშლილ-გაფართოებული უნდა იქნეს სხვა მეცნიერული დისკიპლინების ხარჯზე (ეს განსაკუთრებით მიზიდავს მეორე საფეხურის მასწავლებლობას, რომელთა კვალიფიკაცია „საშუალოს“ აღემატება).

3. „დაუსწრებელი კურსების“ მასალაში შეტანილ უნდა იქნეს მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთათვის სხვადასხვა პედაგოგიური საკითხები, როგორიც არის მეთოდური პედოლოგიურ-ფიქოლოგიური საკითხები და სხვა. ხოლო აქმდე დაუსწრებელი კურსების მასალა ისე არის განწყესრიგებული და დამუშავებული, რომ ის მისაწვდომი გამხდარიყო დაბალი ცოდნის მასწავლებელთათვის, რაც აუცილებლია, მაგრამ ამის პარალელურადაც შეიძლება ამ საკითხის მოვარეობა.

4. საჭიროა მსმენელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. დაუსწრებელმა კურსებმა აღრიდანვე უნდა მოამზადოს მასწავლებლობა (დ. ცოდნის) საშუალო სასწავლებლის მოწმობისათვის.

დასასრულ უნდა ავლინიშნოთ, რომ საჭიროა მიმღინარე წელს დაუსწრებელი კურსების მასალის (უკვე გამოქვეყნებულის) ცალკე წიგნად გამოცემა და მისი დარიგება უურნალის ხელის მომწერლებისთვის. მასალას თან უნდა ერთოდეს ლიტერატურული მაჩვენებელი, რომელსაც პირველ ხანებში ყურადღება არ ექცეოდა. სისტემატიურად უნდა იწერებოდეს, კინ როგორ დაამუშავა მასალა დავალებათა მიხედვით.

მე ვფიქრობ, რომ „დაუსწრებელი კურსები“ გახდება ერთ-ერთი მძლავრი იარაღი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

# ოფიციალური ნაწილი

## დ გ ბ უ ლ ე ბ ა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების მიერ ხელშეკრულებითი საბავშო ბალების გახსნის შესახებ.

ცირკულარული წერილი

7/XII—1929

რადგან მოთხოვილება სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებზე მოსახლეობაში ძალიან დიდია, არსებული დაწესებულებები კი ამ მოთხოვნილებას მათი სიმცირის გამო ვერ აქმაყოფილებენ, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს, როგორც დროებითი ზომა, შესაძლებლად მიაჩნია შემდეგი:

1. დიდ ქალაქებში (ტფილისსა და ოლქების დიდ ცენტრებში) განათლების სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი განათლების სახალხო ორგანოების სანქციით ნება დაერთოს საზოგადოებრივ, კომეტრატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებსა და იმ მოქალაქეთა ცალკეულ ჯგუფებს, რომელნიც საარჩევო ხმის უფლებით სარგებლობენ, გახსნან სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები და ცალკე ჯგუფები.

**ზენიშვნა:** თვითონეულ ჯგუფში უნდა იყოს არა ნაკლებ 10-სა და არა უმეტეს 25 ბავშისა.

2. საზოგადოებრივმა, პროფესიონალურმა, კომარტიულმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა ჯგუფებმა, რომელნიც მოისურვებენ ბავშებისათვის საბავშო ბალის ან ჯგუფის გახსნას, უნდა შეიტანონ სათანადო განცხადება, მიიღონ ნებართვა სახალხო განათლების ორგანოებისაგან და დასდონ მათთან ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ და დაწერილებით უნდა იქნეს განსაზღვრული აღნიშნული დაწესებულებების გახსნის მსურველთა ვალდებულებები, რაც ზოგადად შემდეგ მუხლებშია გათვალისწინებული.

**ზენიშვნა:** დღიულან ამ დებულების გამოქვეყნებისა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს განათლების სახალხო ორგანოთა კონტროლის გარეშე არსებული საბავშო ბალებისა და ჯგუფების რეგისტრაცია და სათანადო შერჩევის მოხდენის შემდეგ მათთან ხელშეკრულების დადება.

3. განათლების სახ. ორგანოების მიერ საბ. ბალებისა და ჯგუფების გახსნის უფლება შეიცემა მხოლოდ იმ ორგანიზაციებსა და მოქალაქეთ, რომელიც საბ. ბალებისა და ჯგუფებს უზრუნველყოფნ საბ. დაწესებულების მუშაობისათვის აუცილებელი პირობებით (შესაფერი ბინა, ავეჯი, დიდაქტიური მასალა, საუზმე, არა ნაკლებ იმ ნორმისა, რომელიც დაწესებულია ჩესკუბლიკის საბ. ბალებში და სხვ.), რომელთა დაცვა სავალდებულოა ჩესკუბლიკიაში არსებულ სკოლის ასაკამდე აღზრდის ყველა დაწესებულებისთვის.

4. ბავშვებზე დაწესებული გადასახადის რაოდენობა ხელშეკრულებით საბავშო ბალებსა და ჯგუფებში არ უნდა აღმატებოდეს 20 მანეთს.

5. სახალხო განათლების ორგანოებს უნდა დაეთმოს უფასო ადგილები არა ნაკლებ ათი პროცენტისა იმ საბავშო ბალებსა და ჯგუფებში, რომელიც პროფორგანიზაციების ინიციატივით არის გახსნილი და არა ნაკლებ  $20\%$  იმ საბავშო ბალებსა და ჯგუფებში, რომელიც მოქალაქეთა ცალკე ჯგუფების მიერ იქნება გახსნილი.

6. თუ საბავშო ბალი საზოგადოებრივ, კომოქერატიულ და პროფესიონალური ორგანიზაციების ხარჯზეა გახსნილი (სულად ან ნაწილობრივ), იმ შემთხვევაში აღნიშნულმა ორგანიზაციურმა ხელშეკრულებაში განსაზღვრული ხარჯებისათვის საჭირო თანხები უნდა შეიტანონ განათლების განყოფილებაში, რომელიც ამ თანხებს დანიშნულების მიხედვით მოახმარს საბავშო ბალს. დახარჯული თანხების ანგარიშს საბავშო ბალის გამგე აბარებს ორგანიზაციის საერთო კრებას.

შოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების მიერ გახსნილი საბავშო ბალებისა და ჯგუფების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები ვალდებული არიან საბავშო ბალის, ან ჯგუფის მთელი შემოსავალ-გასავლის დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინონ შესამოწმებლად სახ. განათლების ორგანოებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

7. ხელშეკრულებით ჯგუფებში პედაგოგიური მუშაობის წარმოების უფლება ეძლევა მხოლოდ სკოლის ასაკადე აღზრდის დარგში სათანადოდ მოშზადებულ პირებს, რასაც შეამოწმებს აღვილობრივი სახალხო განათლების ორგანო.

8. ხელშეკრულებით ჯგუფების პედაგოგიურ პერსონალს, რომელსაც თანამდებობაზე ამტკიცებს და საჭიროების მიხედვით ხნის ადგილობრივი განათლების განყოფილება, უნდა მიეცეს თვიური ხელფასი იმავე რაოდენობით, როგორც ეს ადგრლობრივად არის განსაზღვრული სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათათვის.

9. ხელშეკრულებითი ს. ასაკ. აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელები ითვლებიან სკოლის ასაკამდე აღზრდის ხელმძღვანელთა გაერთიანების წევრებად, ასრულებენ გაერთიანებაზე დაკისრებულ ყოველგვარ საგალლებულო და ნებაყოფლობით სამუშაოს, ემორჩილებიან განათლების სახ. ორგანოების მიერ მოცემულ ყოველგვარ წერილობითსა და სიტყვიერ განკარგულებასა და მითითებებს და საერთოდ იმყოფებიან მათი სრული ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ.

10. ხელშეკრულებითი საბავშო ბალები და ჯგუფები შედიან სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა საერთო ქსელში. ამ საბავშო დაწესებულებებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ სისტემით და პროგრამით, რომელიც მიღებულია მთელი საბჭოთა რესპუბლიკის მასშტაბით სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათათვის:

11. ხელშეკრულებით საბავშო ბალებთან და ჯგუფებთან, ისე როგორც ყველა რესპუბლიკის სკოლის ასაკამდე დაწესებულებაშია, უნდა ჩამოყალიბდეს საბავშო ბალების დამხმარე საბჭო, რომელსაც ევალება მუშაობა დამხმარე საბჭოთათვის არსებული დებულების მიხედვით.

სოც-აღზრდის მთავარმართველობის უფროსი.

მ. ორახელაშვილი.

საბავშო ბალების და 1 საფ. სკოლების ინსპექტორი

მ. ლომინაძე.

## დაუსწრებელ კურსებზე ჩამოყალიბების.

იწყება ახალი სამოსწავლო წელი და მასთან ერთად უურნალის ახალი წელიც. წრეულსაც გამოვა „დაუსწრებელი კურსების“ მასალა. ამიტომ საჭიროთ ესთვლით მეორეთ ხელახლად მოვათავსოთ დაუსწრებელ კურსებზე ჩაწერის პირობები. კურსებზე ჩასწერად საჭიროა ამ უურნალზე ხელის მოწერა, ანკეტის შეკვება (იხ. „ახ. სკოლ.“ № 1) და მუშაობის დაწყება პირველი დავალებიდან (1928/29 წლის უურნალი № 1-2). კურსებზე ჩაწერილ მსმენელებს შეუძლიათ უურნალის 1928/29 წლის ნომრები მიიღონ წრეულს (გამონაკლისის სახით) შეღავათიან ფასში—2 მანეთად. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ იმ მასწავლებელთ, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლების ცენტი და რომელნიც კარგათ შეასრულებენ დაუსწრებელი კურსების მუშაობას და რომლებიც მოისურვებენ მეორე საფეხურის დამთავრების მოწმობის მიღებას, ჩაეთვლებათ წარმოებული მუშაობა და განთავისუფლებულ იქნებიან პედაგოგიური საგნების ჩაბარებისაგან.

დაუსწრებელი კურსების კოლეგია.

# დაუსწრების კურსები

პადაგოგიური თვითგანვითარებისათვის

**№ 9<sup>1)</sup>**

პირველი 8 დავალება მოთავსებულია ამ ჟურნალის  
1928—29 წლის 12 ნომერში.

**1929-30 წ.**

## II. სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის შეტანა სკოლაში.

### ანთროპომეტრიული შემოწმება.

სკოლის ექიმი აცხადებს, რომ I ჯგუფის ყველა ბავში უნდა წავიდეს ამბულატორიაში საექიმო შემოწმების გასავლელად. „ეს, — ეუბნება მასწავლებელი ბავშებს, — ეთანთმება სწორედ იმას, რაზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ, ვინაიდან იმისათვის, რომ ნამდეილად დავიცვათ თავი ყოველგვარი ავადმყოფობისაგან, უნდა გავისინჯოთ თავი: „სუფთა და ჯანსაღი ვართ ჩვენ თითონ თუ არა.“ ბავშები იწერენ მოჩიგ დავალებას: „უნდა გავიგოთ: 1. ჯანსაღი ვართ თუ არა. 2. სუფთა ვართ თუ არა. 3. ჩვენი წონა. 4. ჩვენი სიმაღლე“.

შიდიან ამბულატორიაში და ანთროპომეტრიულ შემოწმებას გადიან. ბავშები მეტიმეტად გახარებული იყვენ შემოწმების პროცედურით და აგრეთვე იმით, რასაც შემოწმების დროს ექიმი უხსნიდათ<sup>1)</sup>. კლასში დაბრუნებისას ჩატარდა მეტად ცოცხალი საუბარი, რის შემდეგაც კოლექტიურად დასწერეს შემდეგი თემა: „რა გავაკეთეთ ამბულატორიაში“.

1) ეს იყო სკოლის ექიმი ამხ. ეინგორნი, რომელსაც ბავშებთან ლაპარაკის განსაკუთრებული უნარი აქვს, რაც ექიმთა შორის ჯერ კიდევ იშვიათ მოვლენას შეადგენს.

### „დაუსაზღვრელი კურსების“ ზიხს წლის დავალებები

დავალება	3	„	№ 3	საბჭოთა შრომის სკოლის რაობა
„	3	„	№ 4	საბჭოთა აღმზრდის ამოცანები.
„	4	„	№ 6	ბავში, სკოლა და წრე, ბავშის ასაკის ბიოლოგიური თავისებურება და პედაგოგიური დასკვნები.
„	5		№ 7—8	მე-4 დავალების გაგრძელება: სკოლამდე ასაკი. პირველი საფეხურის სკოლის ასაკი.
„	6		№ 9—10	ბავშის და მისი წრის გაცნობის მეთოდები.
„	7 და 8		№ 11—12	პირველი საფეხურის შრომის სკოლის მუშაობის მეთოდები, სკოლის საწარმოო გეგმის შედეგენა.

შემოწმების შედეგების დამუშავება და სანიტარულ-  
ჰიგიენური რეჟიმის შემოღება.

თვითეულმა ბავშვა დაამზადა თავისოფას მუყაოდან ამგვარი  
ბარათი:

ბარათი.

გერი განტმანი.

წონა 19 კლგ.

სიმაღლე 1 მ. 14 სმ.

გულმქერდის ზომა 56 სმ.

ამ ბარათში ბავშვს შეჰქონდა ანთროპომეტრიული ცნობები თა-  
ვის შესახებ, მიღებული ამბულატორიაში. ბავშვები ამ ცროცედურით  
მეტად კმაყოფილი იყვნენ.

მასწავლებელი ეკითხება ბავშებს, რითი ასწონა ისინი ექიმება;  
პასუხი: კილოგრამით (გაისმის ხმები: ჩემი წონა 19 კილო, ჩემი 18  
და სხვ.). ბავშები უკავშირო იყვნენ, რომ ისინი კილოთი ასწო-  
ნეს. ამისი მათ არა ესმით რა. მათ უნდათ იცოდენ რამდენ გირ-  
ვან ქას იწონიან: მასწავლებელი „შეფიქრიანდა: შეიძლება თუ არა  
მისცეს მათ დასახელებულ რიცხვთა გადაჭცევა. იქნებ გაუძნელდეთ.  
მეორე მხრით ეს მეტად შემაგულიანებელი საქმეა: ბავშებს ასე ძა-  
ლიან აინტერესებს საკითხი, თუ რამდენს იწონიან, და ამ საკითხზე  
პასუხის გაცემა — ეს ხომ მეტად ცოცხალი, აქტუალური, კეშმარი-  
ტად სასიცოცხლო ამოცანის გადაჭრა იქნებოდა. ცდუნება მეტად  
ძლიერი იყო და მასწავლებელიც ნებას დაჰყვა. მან ბავშებს აჩვენა  
კილო და გირვანქა და წინადადება მისცა გამოერკვიათ, რა უფრო  
მძიმეა. ინტერესი მეტად დიდია: თვითეულსა სურს უთუოდ აიღოს  
ხელში კილოც და გირვანქაც. შემდეგ მასწავლებელს შემოაქვს სას-  
წორი და სდებს ერთ პინაზე კილოს, მეორეზე თანდათანობით — 1.  
გირვანქას, 2 გირვანქას და  $2\frac{1}{2}$ -ს. ბავშები სიცილით ეგებებიან  
დამყარებულს შედარებითს-წონასწორობას. შემდეგ მასწავლებელი სწო-  
ნის ერთ კილო პურს. ბავშები იძახიან „მასწავლებელი პურსა პყი-  
დისო“. ისინი კმაყოფილი არიან ახლად შეძენილი ცოდნით. მასწავ-  
ლებელი გრძნობს, რომ კარგი საქმე წამოიწყო. რამდენიმე დროის  
განმავლობაში ბავშები განსაკუთრებული გულდადებით ვარჯიშობენ  
იმაში, თუ რამდენი გირვანქაა ერთ კილოში, ორში, სამში და ა. შ.

ისინი ნათლად ხედავენ ამ ვარჯიშობის საბოლოო მიზანს. „აი შე უკვე ვიცი რამდენ გირვანქასაც ვიწონი“. მაგრამ ამაში ჯერ კიდევ საკმაოდ ხანგრძლივი ვარჯიშობა იყო საჭირო. მხოლოდ მეორე დღეს შეეძლო თვითეულ ბავშვს კილოგრამებში მოცემული თავისი წონა გირვანქებით გამოეხატა. თვითეულმა ბავშვმა თავის ბარათზე, მარჯვენა მხრით, ექიმის მიერ ნათქვაშ ციფრს (ჩვენს სანიმუშო ბარათში: 19 კილო) მიუწერა მის მიერ ნაპოვნი და მასწავლებლის მიერ შემოწმებული შედეგი — 1 ფ. 7  $\frac{1}{2}$  გ. ბავშებში ღიღი აღფრთოვანება იყო, თვითეულ ნაპოვნ შედეგს რაიმე განსაკუთრებული ოხუნჯობით ხედებოდნ. „ზ. 29 კილოს იწონის. ხა-ხა-ხა!“ გაისმის ტაშის ცემა, ფეხების ბრახუნი. „ყოჩალ! კარგა. გამაძლარხარ აწონის წინ!“ მცირე წონას საწინააღმდეგო ხასიათის რეპლიკით ხედებიან. „არ ვარგა, „თავია!“ ცნობისმოყვარეობა აიძულებთ გამოთვალონ, ერთი რამდენით მეტს იწონის მეორეზე (მადა ჭამაში მოდისო). რამდენს იწონის ერთად ორი ბავში: ზ. (მსხვილი)+ს. (პატარა). აღფრთოვანება არა ნელდება უკანასკნელ მომენტამდე. ბოლოს ბავშების ცალკე ჯგუფები აღგენენ ღიაგრამას „ჩვენი წონა“.

„ვარდა იმისა, რომ აგვწონეს და გაგვზომეს, კიდევ რას ვაკეთებით ამბულატორიაში?“ ახლის ლაპარაკი ეხება თვალის, ყურის, ცხვირის და სხვ. სნეულებებს, რაც ჩვენს ბავშებს შორის იქნა აღმოჩენილი. ბავშები აღგენენ, რომ თვითეული აღმოჩენილი ავაღმყოფობა ცალკე იქნას განხილული და გამოირკვეს, თუ რაა საჭირო იმისათვის, რომ მისგან თავი დავიცვათ.

აი დამუშავება ცნობებისა თვალების შესახებ. უპირველეს ყოფლისა გამოვარკვით, რამდენი თვალით ავაღმყოფი აღმოაჩინა ჩვენში შემოწმებამ. ავაღმყოფთა რიცხვი საკმაოდ ღიღი აღმოჩნდა. მეტ წილად ტრახომაა გავრცელებული. ტრახომით ავაღმყოფი ბავშები უამბობენ ამხანაგებს ამ სნეულების შესახებ; კლასი ყურადღებით უსმენს (უფრო ცოცხლად გადმოცემა ვის შეუძლია, თუ არ იმას, ვინც ზოთონ განიცადა ეს ავაღმყოფობა). საუბარში უმთავრესი ყურადღება ექცევა საკითხს, თუ როგორ შეიძლება ტრახომისაგან და საერთოდ, თვალის სხვა სნეულებათაგან თავის დაცვა. სხვათა შორის, ეხებიან სინათლით სარგებლობის საკითხს. ბევრი იგონებს, მათს სახლში როგორა სხედან. ირკვევა, რომ საჭიროა „სინათლე მარცხნიდან ეცემოდეს ან უნდა გაკეთდეს აბაჟური“. საუბრის შედეგად ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი წესები: 1) იჯექი სწორე; 2) თვალებს

ხელით ნუ მოისრეს. ყველა ბავში კოლექტიურ დასკვნებს რვეულში იწერს.

შემოწმების და განმტკიცების მიზნით ბავშები დასასრულ შეუ-  
დგენ ამგვარი გამოცანების გამოცნობას: 1) ორნი ძმანი მეზობლად  
ცხოვრობენ და ერთომეორეს ვერა ხედავენ. 2) ორი იცქირება, ორი  
ისმენს, ერთი ლაპარაკობს (ტაში). ყველა ერთხმად იძახის პასუხს:  
გამოცანები ყოველი მსრიდან სეტყვასავით წამოვიდა (გვშველის შე-  
სვენება).

შესვენების შემდეგ მასწავლებელი ახდენს ელემენტარულ ცდას,  
რომელიც აწერილია ვესელოვანიას მიერ მის წიგნში „პედოლოგიუ-  
რი პრაქტიკუმი“<sup>1)</sup>, რათა შესაძლებელი იქნეს ბავშების სათანადოდ  
დასმა ადგილებზე (მხედველობის მიხედვით). ბავშებს ეს „თამაშობა“  
მოეწონათ და შედეგიც მეტად დადებითი მივიღეთ (ზოგი ბავში, რო-  
მელსაც მხედველობა სუსტი აღმარჩნდა, წინა რიგში დაესვით).

„მთავარი“ საკითხების მიხედვითვე დამუშავებულ იქნა კბილე-  
ბის შემოწმების შედეგიც.

კბილებმტკივანი ბავშიც ბევრი აღმოჩნდა ჩვენში. როდესაც ეს  
შემოწმების ცნობების მიხედვით შედგენილი დიაგრამით გამოვარკვიეთ,  
დასმულ იქნა იგივე საკითხი: „როგორ დავიცვათ ჩვენი კბილები“.  
აი ამ „გაკვეთილის“ დამუშავების სქემა. მასწავლებელი ეკითხება ბავ-  
შებს, რომლებიც კბილის საექიმო ამბულატორიაში დაიარებიან,—  
ხომ არ უთქვამს ექიმს, რისგან ფუჭდება კბილები. ირკვევა, რომ  
კბილები უმთავრესად ფუჭდება მაშინ, როდესაც ცხელ წყალს ზედ  
ცივს დააყოლებენ ხოლმე, აგრეთვე მაშინ, როდესაც კბილებს არ იწ-  
მენდენ: „პირში რჩება ნამცეცები, რომლებიც ლპება“. მასწავლებე-  
ლი: „ჭამის შემდეგ რომელი გამოირცხავთ ხოლმე პირს?“ ხელს ძა-  
ლიან ცოტანი სწევენ. — „დილაობით კბილებს რომელი იწმენდავთ?“  
აღმოჩნდა, რომ კბილებს მხოლოდ 5 ბავში იწმენდავს. მასწავლებე-  
ლი ჰკიდებს დაფაზე სანგანათლების პლაკატებს, რომლებზეც ნათლად  
არის გამოხატული, თუ რა ემართება კბილებს, როდესაც მათ არ იწ-  
მენდენ, და, პირიქით, როგორია ისინი, როდესაც მათ იწმენდენ. ბა-  
ვშები მიღიან დაფასთან, განმარტავენ პლაკატს, კითხულობენ წარ-  
წერებს და ხმამალლა იმეორებენ.

<sup>1)</sup> ვ. ე. ს ე ლ ო გ ს კ ა ი ა. პედოლოგიური პრაქტიკუმი; გვ: 91—92;

პლაკატი შემდეგ ხელიდან ხელში გადადის, ყველა ყურადღებით კითხულობს ტექსტს და აკვარდება კბილების ჰიგიენის ატრიბუტებს: კბილის ჩიოქსა და ფხვნილს.

სიტყვებს შემდეგ რევულში იწერენ. ბოლოს მასწავლებელი ეკითხება ბავშებს: „როგორ შევასრულოთ, რასაც თქვენ ახლა კითხულობდით?“ ყველა ერთხმად: „ჩიოქებს ვიყიდით; ყველანი მოვიტანთ ჩიოქებს“. „ფინჯნებსაც მოვიტანთ“. „დედებმა ფული უნდა მოგეცენ“. წინადადება ბევრი იყო და ხმაურობა კარგა ხანს გაგრძელდა. ზოგი ბავში ამბობდა, დედა ფულს არ მოგეცემსო. ზოგი კითხულობდა: „შეიძლება მე და ჩემმა პატარა ძმამ ერთი ჩიოქით გამოვიწმინდოთ კბილებიო?“ ოპტიმისტები უკვე მიუთითებდენ ადგილზე, სადაც ყველა დასდგამდა თავის ფინჯანსა და ჩიოქს, და თვითეულზე როგორ დაწერდენ მისი პატრონის სახელს. ა. აცხადებს, რომ ის კლასში არ გაიწმენდს კბილებს. მასწავლებელი უხსნის, რომ პირველ ხანებში საჭიროა კბილების კლასში წმენდა, რომ ყველამ კარგა ისწავლოს წმენდა, და მერე შეიძლება სახლში გაიწმინდოსო<sup>1)</sup>). წინააღმდეგი აღარავინ იყო. დაადგინეს: მოიტანონ სახლიდან ფული, ვისაც რამდენი შეუძლია, და ყველასათვის იყიდონ ჩიოქები და ფხვნილი.

ამას მოჰყვა კბილების წესიერი წმენდის პირველი დემონსტრაცია.

მასწავლებელი მიმართავს ბავშებს კითხვით, ვინ იცის, როგორ იწმენდენ კბილებსო. ი. აჩვენებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეშლება. გ. „ჯერ უნდა კბილები გამოირცხო და ჩიოქიც გარეცხო და სხვ.“ ბავშების მიერ შეტანილი შესწორებების შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს, როგორ უნდა გაწმენდა. ო. — „მასწავლებელმაც გაიწმინდა კბილები“ (იცინიან.) ი. — „კარგი იქნებოდა, კიდევ ერთხელაც რომ გაეწმინდა“.

პირის ჰიგიენის პრობლემა ამით თავდება. „ორი დღის განმავლობაში უნდა შემოვიდოთ კბილების სისტემატიური წმენდა კლასში

1) ამის შესახებ ჩევენს პედსაბჭოში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ საჭირო არ იყო კბილების წმენდის შემოლება კლასში. მაგრამ უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ პირის ჰიგიენის საფუძლიანი ჩვევა სერიოზული საქმეა და რომ არ შეიძლება იგი მთლ ანად ოჯახს მივანდოთ. ამიტომ კბილების წმენდის პირველი ჩვევა აუცილებლად შემოლებული უნდა იქნას კლასში და უნდა სწარმოებდეს მისი განსაზღვრული ზედამხედველობა და წესიერი ვარჯიშით.

უოველდღე, რისთვისაც უნდა ეიყიდოთ ყველაფერი, რაც საჭიროა. თვითეულმა უნდა მოიტანოს 27 კაპ.“ მეუხარე ტაში...

დანიშნული დროსთვის, რა თქმა უნდა, ყველამ არ მოიტანა ფული. 35 ბავშიდან ფული მოიტანა მხოლოდ 19-მა, ორმა მოიტანა ჩოთქი. ი. წინადადებას იძლევა არ დავუცადოთ, ვიდრე ყველა მოიტანდეს ჩოთქს, და ა ხ ლ ა ვ ე შევუდგეთ კბილების წმენდას. „ხვალ უკვე აღარ დაეუწყებთ ცდას.“ — „უნდა ავირჩიოთ მორიგე, რომ თვალყური ადევნოს“. — „ხვალაც რამე მიზეზს მოიგონებენ“. მასწავლებელი ეკითხება: „რომელს არ შევიძლიათ ფულის მოტანა?“ ყველა ჰქილდება ხვალისთვის მოტანას.

კბილების წმენდის პირველი პროცედურის ჩატარებისთანავე ყველა ხალისიანად შეუდგა ამ საქმეს და ამიერიდან ჩეენში კბილების წმენდის მტკიცე წესი დამყარდა. ბავშები „მიეჩიინ“, ამ აქტს და უკვე გრძნობენ, რომ „პირში ცუდი გემოა, კბილები თუ გაუწმენდავი გაქვს“.

დაახლოვებით ასევე ვიმუშავებდით შემოწმების დანარჩენ ცნობებსაც: ჩეენი ყურების, ცხეირების და სხვ. მდგომარეობას. ამნაირად, ყველაფერში გავიმეორეთ, ჯემს ბერრის სიტყვებს თუ ვიხმართ, „რეფლექსური აზროვნების მთლიანი ციკლი“, რომელიც მდგომარეობს: 1) შემოწმების შედეგების გამორკვევაში, 2) დასკვნების ჩამოყალიბებაში და 3) მათ გამოყენებაში განსაზღვრულ, კონკრეტულ სანიტარულ-ჰიგიენურ ლონისძიებათა შემოღების საშუალებით.

ხერხები, რომლებითაც ამ სქემის განხორციელების დროს ვსარგებლობთ, სხვადასხვაა: საფუძვლად მას უდევს ექიმის გამოკვლევა, რაც იძლევა ნედლ მასალას, რომელიც მუშავდება შემდეგი საშუალებით: 1) საუბრებით და სათანადო წერილების კითხვით, 2) ცნობების მათემატიკური დამუშავებით, 3) სურათებისა და აგრეთვე ჰიგიენის ატრიბუტების დემონსტრაციით, 4) შრომითი პროცესებით (ვარჯიშობა კბილების წმენდაში), 5) პლაკატების ხატვით (ამბულატორიის, ტანგანათლების პლაკატების) და 6) ნახვების (მოდელების) კეთებით (მუყაოდან გაკეთებულია სასწორი, კილოგრამი, მეტრი სანტიმეტრებით).

ამნაირად, აქ გამოყენებული იყო ყოველგვარი ხერხი, რომლებიც ყოველთვის კონკრეტული ლონისძიების შე-

მოლებით თავდებოდა. ყურისა და ცხვირის შემოწმების შედეგების დამუშავების დროს ბავშები ვარჯიშობენ იმაში, თუ როგორ უნდა ცხვირის მოწმენდა და ყურების გამოწმენდა, ისევე, როგორც ეს კბილების წმენდის დროს იყო. ამას ბავშები ჯერ ისე ასრულებდენ, როგორც იცოდენ. კლასში აუწერებელი სიცილ-ხარხარი-იდგა: ზოგი ცხვირქვეშ სახელოს გაიტარებდა ხოლმე იდაყვიდან მაჯამდე, ზოგი ღრმად იყოფდა ნესტოში თითო და დიდხანს იკირტნიდა. მასწავლებელმა ისარგებლა ამ ცოცხალი. მასალით და თვალსაჩინოდ უჩვენა ბავშებს, თუ როგორ უნდა და როგორ არ უნდა ცხვირის მოწმენდა, რაშიც ბავშები ვარჯიშობდენ ისევე, როგორც კბილების წმენდაში. აქაც მატერიალური ხასიათის საკითხმა იჩინა თავი. საჭირო იყო ცხვირსახოცის აუცილებლივ ბლად შემოლება, თუნდა ეს უბრალო სუფთა ჩერებიც ყოფილიყო. ეს სანიტარიისა და ჰიგიენის აუცილებელი ატრიბუტია, რომელიც უნდა ჰქონდეს თვითეულ ბავშს, და რომლითაც ისე უნდა სარგებლობდეს, როგორც მისთვის უსწავლებიათ.

ყურების შემოწმების შედეგის დამუშავების დროსაც ფსიქოლოგიური ცდა ჩავატარეთ <sup>1)</sup>, თუმცა ამან ისეთივე კარგი შედეგი არ მოგვცა, როგორც მხედველობითმა ექსპერიმენტმა.

განსაკუთრებით ცოცხლად იქნა დამუშავებული ცნობები ჩვენი-თავებისა და სხეულის სისუფთავის შესახებ. თავების სისუფთავის დაცვის მიზნით დადგენილ იქნა სასტიკად ედენებინათ თვალყური, რომ ბავშებს გრძელი თმა არ მოეშვათ. რ. და ხ. — „მე თმას არ გავიკრებ. მე თავს ხშირად ვიბან“. ბავშებში ამ განცხადებამ აღმფოთება-გამოიწვია. რ. და ხ. კი თავს იცავენ: „ვისაც თავი სუფთა არა. აქეს, იმან უნდა გაიკრიჭოს. ჩვენ სუფთა გვაქეს“. გამოჩნდა კილევ ერთი მეამბოხე, ე.: „ექიმმა მითხრა, სუფთა თავი გაქვსო. ვინ უკეთ იცის: ექიმმა თუ ბავშებმა? მე არ გავიკრებ თმას“. ბოლოს მაინც ნებას-დაჰყენ. სანკომი ულმობელად ასრულებს თავის ფუნქციებს, სასტიკად ადევნებს თვალყურს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც კლასმა ჯანმრთელობის დაცვისათვის დასახა.

როდესაც ჩვენი სხეულის სისუფთავის საკითხს იმუშავებდენ, და ბევრი ჭუჭყიანი, დიდხანს დაუბანელი აღმოჩნდა, წამოიჭრა სა-

<sup>1)</sup> იხ. იქვე, გვ. 90—98.

კითხი აბ ან ღ ს შესახებ<sup>1)</sup>. საკითხის ამ კონკრეტული დაყენების წინ გაიმართა მეტად საინტერესო საუბარი ჩენი კანის შესახებ. ბავშები კანს გამადიდებელი შუშით სინჯავდენ. ნახვრეტები რომ დაინახეს კანზე, ძალიან გაეხარდათ. ი. — „აი ნახვრეტებში გროვდება ჭუჭყი“. ხ. — „ვ-ს ნახვრეტებში ბევრი ჭუჭყი ჰქონდა, კარგად შეიძლებოდა მისი დანახვა“, ბავშები აგრძელებდნ საუბარს „ნახვრეტების“ შესახებ და ორკვევინ, რომ ამ ნახვრეტებით ადამიანი სუნთქვას ისევე, როგორც „ცხვირით“.

მასწ. — „ამ ნახვრეტში როცა ჭუჭყი გროვდება, რა ხდება მაშინ?“ ი. — „ნახვრეტები იხურება“. ხ. — „ადამიანს მუნი ემართება“ პ. — „მიკრობები ძვრებიან“. მასწავლებელი უამბობს ბავშებს არაკა-მეფის შესახებ, რომელმაც თავისი შვილები ოქროთი დააფერვინა და ამის გამო ცველანი დაეხოცა. არაკი დიდ შთაბეჭიდილებას სტოკებს. რ. ეკითხება: „ეს მართალია?“ მასწ. — „რათ დაიხოცეს ბავშები?“ ე. უბასუხებს: „იმიტომ რომ ნახვრეტები ოქროთი დაიხურა“. ხ. — „იქნება იმიტომ, რომ სუფთა არ იყო?“ ი. — „მეფის სახლში სისუფ-თავეა, როგორ შეიძლება უსუფთაო ოქრო ჰქონდა?“

არაქმა მეტად დამარტინუნებლად განუმარტა ბავშებს კანის სი-სუფთავის მნიშვნელობა, მათთვის ეს განცდის საქმედ გახდა.

ხ. — ზაფხულობით ბავშები სილაში გორაობენ, არ შეიძლება განა დაიხოცონ?

თ. — არა. ბანაობენ. ცურაობ და სილაც გშორდება.  
ხ. — ზაფხულში კარგია ბანაობა. იგორავებ სილაში, მერე ცვე-ლაფერი გაგშორდება.

ხ. — მდინარეში წურბელებია, — იყბინებიან.  
გ. — ისეთი მდინარეებიც არის, სადაც ბევრია ჭუჭყი, და იქ ბანაობა არ შეიძლება.

მასწავლებელი ეკითხება: „რა ჩნდება სხეულზე, როდესაც ადა-მირანი ტანს არ იბანს?“

ხ. — ტილები.

<sup>1)</sup> საკითხმა, თუ როგორ გვედენებინა თვალყური, რომ ბავშებს მართლა-ბშირად ებანავათ აბანოში, გამოიწვია დავა ჩვენს პედსაბჭოში. ზოგი იმის მომხრე იყო, რომ სკოლას შემოედო „აბანოს დღე“, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ბავშები მართლა ბანაობენ მაგრამ ამ საკითხში გაიმარჯვა იმ აზრმა. რომ ჩვენ მხოლოდ იმაზე უნდა ვზრუნვავდეთ, რომ ამას ოჯახი ასრულებდეს, მარტო შე-მოღებული უნდა იქნას საკომის განსაზღვრული მეთვალყურეობა.

- გ. — მაშინ ადამიანსა კბენენ, ეფხანება და სისხლი მოსდის.
- ს. — „ბალლინჯოები და რწყილები?“ ე. — „ისინი შავებია“.
- ი. — „ისინი ჩვენს სისხლსა სწოვენ“.
- ხ. — „ისინი ფეხებით ამოთხიონ ხოლმე პატარა ორმოს, ჩაძვრებიან შიგა და სწოვენ“.
- ი. — „იმათ პატარა, მაგრამ წაწვეტებული პირი აქვთ. და ის ჩვენ სისხლსა „შჭამს“.
- ს. — „ბალლინჯოები მიცოცდებიან ხოლმე ავადმყოფთან და სისხლსა სწოვენ, შემდეგ მიღიან ჯანმრთელებთან და უთუოდ გადასდებენ ავადმყოფობას“.

მასწავლებელი აღრმავებს ამ აზრს პარაზიტების, როგორც ინფექციების მატარებლების შესახებ, უჩვენებს ბავშებს სანგანათლების სათანადო პლაკატს, რის შემდეგაც კოლექტიურად გამოჰყავთ დასკვნები, თუ როგორ უნდა იქნას დაცული სხეულის სისუფთავე.

ე. — „ზმთარში აბანოში უნდა ვიაროთ“. გამოაქვთ ასეთი დადგენილება: „თვეში ერთხელ ვიაროთ აბანოში და კვირაში ერთხელ დავიბანოთ თავი და ტანი სახლში“. ბავშები დასკვნებს იწერენ, ამის შემდეგ მასწავლებელი მართავს საჩენებელ განკვეთილს, თუ როგორ უნდა ხელ-პირის დაბანა. აქაც ისევე, როგორც კბილების წმენდის დროს, ჯერ ბავშები აჩვენებენ როგორ იბანენ ხელ-პირს. დაუბანები რჩება ყურები, კისერი, ზოგი ჭუკუს მხოლოდ იგლესს სახეზე. ამ ცდის მიხედვით მასწავლებელი უხსნის ბავშებს, თუ როგორ უნდა და როგორ არ უნდა პირის დაბანა.

ბანაობის საქმითოან დაკავშირებით ეხებიან აგრეთვე საცვლების გამოცვლისა და ტანისა მოსის ჰიგიენის საკითხს. ბავშები ლეპარაკობენ და შეძლებისამებრ აჩვენებენ, როგორ არიან ჩატარებული და როგორ იცავენ ტანისამოსის სისუფთავეს. აქაც აგრეთვე ირკვევა, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სისუფთავის დაცვა. გამოაქვთ დადგენილება დაევალოს მორიგეს ტანისამოსის ჩამოსაკიდებელთან თვალყური ადევნოს არა მარტო წესრიგს, არამედ ტანისამოსის სისუფთავესაც. ამასთანავე იმუშავებენ მთელ რიგ წესებს, თუ როგორ უნდა იქნას დაცული ტანისამოსის სისუფთავე.

ჯანმრთელობის დაცვის აღნიშნულ კონკრეტულ ღონისძიებათა გარდა შემოლებული იქნა აგრეთვე საუზმით სარგებლობის განსაზღვრული წესიც. ცხელი საუზმის შესახებ ჩვენ ფიქრიც კი არ შეგვეძლო, ვინაიდან ამისთვის სათანადო წინასწარი პირობები არა გვქონდა. მაგრამ ბავშების მიერ სახლიდან მოტანილი საუზმით სარგებლობის დროს გარკვეული სანიტარული წესის დაცვა ჩვენ უთუოდ

აუცილებლად მიგვაჩნდა: „საუზმე ქალალში შეხვეული მოვიტანოთ, შევინახოთ ერთ ადგილას, ვჰამოთ მხოლოდ მაგიდაზე, მაგიდა სუფ-თა უნდა იყოს, საუზმის წინ დავიძანოთ ხელები და შემდეგ პირი გამოვირეცხოთ“. საუზმესთან დაკავშირებით დადგა საკითხი სა-ს მელი წყლის შესახებ. ბავშები ბევრ წყალსა ხმარობენ, წყალი კი აუდულარი გვაქვს. მეორე ჯგუფმა, რომელიც ჩვენთან ერთად იმუ-შავებდა „ჯანმრთელობის დაცვის“ კომპლექსს, გადასწყვიტა მიერო ზომები, რომ ჩვენსა წყალი აედულებინათ ხოლმე. პირველად ეს თი-თქმის შეუძლებელ საქმედ სჩანდა, მაგრამ მეორე ჯგუფმა მაინც გა-დასწყვიტა დაწყო კამპანია ადულებული წყლისათვის და ამ საქმე-ში სხვა ჯგუფებიც ჩაება. ჩვენს ჯგუფში გამოცხადდა მათი წარმო-მადგენელი და გვთხოვა შევერთებოდით გამგისაღმი მიმართულ მათ შუამდგომლობას ჩვენში ადულებული წყლის შემოლების შესახებ.

ბავშები მოხიბლული იყნენ იმით, რომ მეორე (უფროსმა) ჯგუფმა მათ მხარის დაჭერა სთხოვა, და ისინი დიდი ხალისით შეუ-დეგნ სათანადო განცხადების შედეგენას თავისი სახელით სკოლის გამ-გის სახელზე. აი სიტყვასიტყვით მათი განცხადების ტექსტი:

### განცხადება

პედტეხნიკუმთან არსებულ საცდელი სკოლის გამგეს.

დღეს ჩვენ გავიგეთ, რომ არ შეიძლება აუდულარი წყლის და-ლევა, რაღაც მასში მიერობებია. გოხოვთ მოაწყოთ ისე, რომ სკო-ლაში ჩვენ ადულებულ წყალსა ვსვამდეთ.

პირველი ჯგუფის სანკომი.

ამაზე გამგემ, ამხ. რავინმა, რომელიც დიდ პატივსა სცემს ბა-ვშთა თაოსნობას და საბჭოთა აღზრდის იდეებს მხურვალედ იზიარებს, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ამ მცირე და მეტად მნიშვნელოვანი სანიტარულ-ჰიგიენური ლონის-ძიების განხორციელება, აი რა უბასუხა ბავშებს:

### მეორე ჯგუფის ბავშებს გამგისაგან

ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს, რომ სკოლაში ადულებული წყა-ლი გექონდეს.

სკოლის გამგემ შეასრულა თავისი დაპირება. სულ მცირე ხნის განმავლობაში ჩვენსა შემოლებული იქნა ადულებული წყალი მთელი სკოლისათვის. პირველმა და მეორე ჯგუფმა ამ კამპანიაში ჩააბეს

მთელი სკოლის სანკომი, ამისთვის მათ ძალების ერთგვარი დაჭიმვა დასჭირდათ, მაგრამ ბავშებმა მიაღწიეს თავის მიზანს, რომელიც პირველად უტოპიას ჰქავდა.

ეს არის ყველაფერი, რის შემოლებაც ჩვენ მოვახერხეთ როგორც პირადი ჰიგიენის, თავისი თავის მოვლის, კონკრეტული ზომებისა. ამას გარდა ჩვენ შევეხეთ აგრეთვე ბინის ჰიგიენის საკითხსაც. გამოსაყვალ მასალად გამოვგადგა ახალი ექსკურსია სანგანათლების განყოფილებაში. ბავშები გაეცნენ ოთახის ტემპერატურას. შემოიღეს ტემპერატურის ყოველდღე გაზომეა.

მაშასადამე, ჩვენ შემოვიდეთ სკოლაში აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი. ჩვენ არა მარტო ვლაპარაკობდეთ. თემაზე „ჯანმრთელობაზე ან ავადმყოფობებზე, არამედ ჩვენ შევასრულეთ რეალური და საჭირო საქმე. ჩვენ შევასწავლეთ ბავშებს სისუფთავის კოლექტიურად დაცვა კლასში, თვითეულ ბავშს ჩვენ შევასწავლეთ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვისა-თვის ზრუნვა.

მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა ჩვენი-საბჭოთა აღზრდის ფვალსაზრისით. საკიროის არ არის მარტო საკუთარი თავის მოვლა. ან თუნდა თავისი კლასის ჯანმრთელობის დაცვა. საჭიროა ბავშების მიერთ შეთვისებული ცოდნა და ჩვევა გამოყენებულ იქნას გარევეული ზეგავლენისთვისაც გარეშე ქვეყანაზე. ამ გარეშე ქვეყნის მასშტაბი პირველი ჯგუფისათვის სკოლა დაოჯახია.

მაშასადამე, საჭიროა, რომ ჩვენ მიერ შემოლებულ ღონისძიებათა გავლენა გავრცელდეს ოჯახზეც.

### III. ოჯახში ჰიგიენის გადანერგვის დაწყება.

ოჯახის სანიტარული მდგომარეობის  
გამოკვლევა.

შესავალი საუბარი ბავშებისათვის ცხადყოფს, რომ ჩვენ მთლიანად ვერ შევძლებთ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვას, თუ ჰიგიენის შემუშავებულ წესებს შევასრულებთ მხოლოდ კლასში, სახლში კი ყველაფერი „ძველებურადვე“ დარჩება. ამიტომ საჭიროა თვალყურის დევნება, „რომ სახლშიც სისუფთავე იყოს“. ჩვენს პედაგოგიურ ენა-

ზე ეს ნიშნავს სასკოლო ყოფაცხოვრების გადატანას ოჯახში შეძლებისამებრ. დადგრილ იქნა პატარ-პატარა ჯგუფებად (სამეულებად) დაყოფა, რომელთაგანაც თვითეულმა უნდა დაათვალიეროს თავისი წევრების ოჯახები, გამოარყეოს როგორ ცხოვრობენ იქ, შემდეგ კი მათ (ამ სამეულმა) უნდა გვითხრონ, რა უნდა გავაკეთოთ ან რითი შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს ოჯახებს, რომ მათაც ისე სუფთად იცხოვრონ, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. გამოვიმუშავეთ კითხვები, რომლებზეც თვითეულ სამეულს ამომწურავი პასუხი უნდა მოეტანა.

კითხვები ასეთი იყო:

1. როგორია თქვენი ბინის ზომა (სიგრძე-სიგანე)?
2. რამდენი კაცი ცხოვრობს შიგ?
3. ბავშვებს ერთად სძინავთ თუ ცალ-ცალკე?
4. ოთახებში ჰაერს სწმენდენ თუ არა? როდის და რამდენჯერ.
5. წყალს ადულებულსა სვამენ თუ არა?
6. კბილებს იწმენდენ თუ არა?
7. აბანოში ხშირად დადიან თუ არა?
8. თავს ყოველკვირა იბანენ თუ არა?
9. რამდენი ხნის შემდეგ იცვლიან საცვლება?
10. იატაკებს ხშირად რეცხავენ თუ არა?
11. გაქვთ თუ არა საფურთხებლები?

შნელი არ არის იმის დანახვა, რომ კითხვები სურვილისამებრ კი არ არის მოგონილი, არამედ სასტიკად ეთანხმება ჯანსაღი ცხოვრების იმ წესებს, რომლებიც ბავშვებმა თავის მეცნიერულ მუშაობაზე დამყარებით გამოიმუშავეს. ოჯახში ბავშვების მისვლასა და მათ მიერ წარმოებულ მუშაობას სერიოზულად და სათანადო ყურადღებით რომ მოპყრობოდენ, მდინებს ჩვენ მივეცით შემდეგი მიმართვა მშობლებისადმი:

„პედტენიუმთან არსებული საცდელი სკოლა სთხოეს მშობლებს კარგად მიიღონ და სერიოზულად მოეცყრან ამის წარმომდგენ ბავშთა ჯგუფს და მისცენ მათ ამომწურავი პასუხი მათ მიერ დასმულ კითხვებზე. ეს ცნობები ჩვენ ძლიერ გვესაჭიროება იმ მუშაობასთან დაკავშირებით, რომელსაც ამჟამად პირველი ჯგუფი აწარმოებს.“

გამგის ხელმოწერა..

## გამოკვლევის შედეგები.

ჩვენ სერიოზულ მნიშვნელობას ვაძლევდით ოჯახის ცხოვრების ამ მეტად საჩითირო მხარეებში ჩვენი ჩარევის პირველ ცდას. იმავე დროს გვეშინოდა, რომ ბავშები ვერ დასძლევდენ ამ მუშაობას ან საიდანმე მათ დარცხვენილებს გამოისტუმრებდენ. ზოგიერთ სამეულს უფროსი კლასების მოწაფეები მივამაგრეთ (საჭიროების შემთხვევისათვის). მაგრამ ეს სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი საქმის საზიანოც, ვინაიდან ბავშები უკმაყოფილო იყენენ ამ ზედმეტი, შემავიწროვებელი მეურვეობით. ჩვენი შიში უსაფუძლო გამოდგა: ბავშებმა ჩინებულად დასძლიეს თავისი ამოცანა. მათ მოგვიტანეს ყველა საჭირო ცნობა, ხოლო მშობლები „ნასიმოვნებიც“ კი დარჩენ როგორც სკოლის მზრუნველობით, ისე მათი ბავშების ასეთი სერიოზული მობურობით ჯანმრთელობის საქმისადმი. მათ (მშობლებს) მოწონათ თვით პროცედურა: მოდის სამი ბავში, წვებიან იატაზე და ქალალდის მეტრით (თავისივე გაკეთებულით) ზომავენ თავისი სიგრძეს-სიგანეს, რევულში იწერენ. უსარიათ მშობლებს: იქნებ შვილი ინცენტი ან ხუროთმოძღვარიც კი გამოგვივიდეს. ეტყობა, კარსა ქმეს ასწავლის სკოლა. თვითეულმა სამეულმა წარმოადგინა თავისი მასალა, რომელიც შემდეგ მთელმა ჯგუფმა დაიმუშავა.

ოჯახში ჯანმრთელობის დაცვის კონკრეტული ღონისძიებანი მათდამი მშობლების თავდაპირველი დამოკიდებულება.

როგორც მეითხველმა იცის, ჩვენ მარტო იმიტომ კი არ მოვიარეთ ოჯახები, რომ მოგროვილი ცნობები დიაგრამებით გამოგვეხატა. ჩვენ გვწადა რითიმე დავხმარებოდით ოჯახს, კონკრეტულად შეგვეტანა რაიმე იმ ღონისძიებათაგან, რაც ჩვენ სკოლაში შემოვილეთ. ამ მიზნით იმავე სამეულებს წინადადება მივეცით შედგინათ პროექტი, თუ რითი შევძლებდით, მათი აზრით, ოჯახისათვის ღახმარების აღმოჩენას.

თვითეულმა სამეულმა წარმოადგინა ასეთი პროექტი. ყველა პროექტი ურთიმეორის მსგავსი იყო და ამან გაგვიაღვილა გამოგვერჩია ის, რაც მათ მნიშვნელოვანადა და ამასთანავე შესაძლებელ საქმედ, მიაჩნიათ.

აი ორი პროექტი:

პროექტი №...

ჯანმრთელობის დაცვისათვის აი რა უნდა იქნას შემოღებული ჩვენს სახლში:

1. ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სახლშიც აღუღებულ წყალსა სვამდენ.

2. უნდა დაიდგის საფურთხებლები.

3. საჭიროა თვალყურის დევნება, რომ სახლში ყოველთვის სი-<sup>13</sup> სუფთავე იყოს.

4. უნდა ვუთხრათ დედას, რომ საცვლები ყველას კვირაში ერთხელ გამოიუცალოს. თუ საცვლები ცოტაა, ხშირ-ხშირად გა-  
რეცხოს ხოლმე.

სამეული: ი., ი., ე.

პროექტი №...

1. ვისაც მამა დურგალი ჰყავს, საფურთხებლები გაგვიყეთოს..

2. წყალი ყოველთვის შეიძლება ააღულონ.

3. ყველა მოვალეა ქბილები გაიწმინდოს

4. ოთახში ჰაერის გაწმენდა ძნელი საქმე არ არის.

როგორც შესაძლო პრაქტიკულ ღონისძიებებს, თითქმის ყველა პროექტი შეიცავდა: 1) საფურთხებლების შემოღებას და 2) სისტე-  
მატიური კონტროლის (იმავე სამეულების მიერ), დაწესებას იმაზე, რომ ოჯახში სრულდებოდეს იგივე, რაც ჩვენშია მიღებული: მარ-  
თლაც, ყველგან არა სწმენდენ ჰაერს ოთახში, ყველგან არ იწმენდენ  
კბილებს, ეს კი, როგორც ერთ პროექტშია ნათქვამი, „ყველამ უნდა  
შეასრულოს“, „ეს ძნელი საქმე არ არის“. ზოგიერთ რამეს პირდა-  
პირ უნდა მოვითხოვდეთ დედებისაგან, სახელდობრ: „რომ მან უფრო  
ხშირად რეცხოს საცვლები, დროზე გაგვგზავნოს აბანოში“. 31. ადუ-  
ღებული წყლის შემოღებაც შეიძლება“. ზოგიერთებთ, რომლებიც  
წინდაწინვე ხედავენ მოსალოდნელ სიძნელებს, მოხთხოვენ რომ სკო-  
ლა დაეხმაროს.

ჩვენ შევუდექით პროექტებში აღნიშნულ ღონისძიებაზა გან-  
ხორციელებას.

უფროსი კლასების მოწატეთა დახმარებითა და ჩვენი გამგის-  
ენერგიული ხელისშეწყობით ჩვენ თითონ დავამზადეთ მეტად პრი-  
მიტიული საფურთხებლები ყველა ბავშვისათვის; ჩვენ გადავწყვი-  
ტეთ ეს საფურთხებლები ხელზე კი არ მიგვეცა მათთვის, არამდე-  
გადაგვეცა ორგანიზაციულად მშობელთა კრებაზე, რომელზეც ჩვენ:

შოუწულდებდით შშობლებს დახმარებოდენ ბავშებს დასახული მიზნების განხორციელებაში. საჭირო იყო აგრეთვე მოვლაპარაკებოდით შშობლებს იმის შესახებ, რაც, ბავშების სიტყვით, უნდა მოგვეთხოვა მათგან, სახელდობრ — აბანში გაგზავნისა და საცვლების ხშირად გამოცვლის შესახებ. გარდა ამისა, უნდა გვეთხოვა მათთვის ედევნებინათ თვალყური, რომ ბავშებს მართლა შეესრულებინათ ის, რაც მათ შეისწავლეს „ჯანმრთელობის დაცვის“ კომპლექსით. ამისათვის ვთხოვეთ მათ სერიოზულად მოპყრობოდენ იმ საკონტროლო პერიოდულ გამოკვლევას, რომელიც იმავე სამეულებს შემდეგშიც უნდა ეწარმოებინათ ოჯახებში.

მშობელთა ეს ფრიად მნიშვნელოვანი კრება მეტად გულდასმით იყო მომზადებული სასკოლო სანკომის მონაწილეობითა და დახმარებით; ამნაირად, სასკოლო სანკომი ორი უმცროსი ჯგუფის მიერ სერიოზულ სანიტარულ მუშაობაში იქნა ჩაბმული.

კრებაზე ორი პირეელი ჯგუფის ხელმძღვანელებმა, ამხ. ამხ. სტოლოვამ და კაუფმანმა, წაიკითხეს შესავალი მოხსენება „ჯანმრთელობის დაცვის“ კომპლექსის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ. ბავშებმაც მოამზადეს თავისი ნამუშევრების გამოფენა და ჯადოფანრის საშუალებით გვიჩვენებს კომპლექსის დამუშავების მთელი მსელელობა: აქ იყო მათი „წესები“, დიაგრამები და თვით იუმორიც.

ამის შემდეგ მოხდა საფურთხებლების ზემით გადაცემა. ბავშები მოუთმენლად მოელოდენ ამ აქტს. მასწავლებელმა წაიკითხა აუცილებელი განმარტებანი და სთხოვა მშობლებს ხელი შეეწყოთ ბავშებისათვის მათი საკუთარი და ოჯახის ჯანმრთელობის დაცვისადმი მიმართულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მნელი გამოსარკვევია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან შშობლებზე. შესრულებული მუშაობის შესახებ თქმულ სიტყვებში შშობლები აღნიშნავდენ, რომ სკოლის ამ ზრუნვას ბავშების ჯანმრთელობისათვის ისინი ღიღდად აფასებენ, მაგრამ პრიმიტიული საფურთხებლების გადაცემის აქტმა, რამდენადაც ჩვენ შევატყეთ, ისინი რამდენადმე გააკვირვა და იქნებ ეს საწყენადაც კი დარჩათ. ალბათ მარტო ბავშების ალფროვანებამ შეაკვებინა მათ თავი გაკვირვების ან წყენის გრძნობის ხმამალლა გამოთქმისაგან. „ბავშების ბედნიერი სახეები აიძულებდა მშობლებს ერვენებინათ ვითომც ისინიც კრაულფილები არიან“. რაც შეეხება ჩვენს შემდგომს საკონტროლო მუშაობას, ამ მხრივ მათ სრული დახმარება აღვითქვეს.

მშობელთა ამ კრებიდან ჩვენ წაგვევა კმაყოფილების გრძნობა, რომ ოჯახზე პირველი ზეგავლენა მოვახდინეთ. ჩვენ არ გვაკვირვებდა ის შერეული გრძნობა, რაც მშობლებში ჩვენმა ცდამ გამოიწვია.. ეს ხომ დასწყისი იყო.

მხოლოდ უფრო გვიან, წლის დამლევისათვის, ჩვენ აშეარად დაერწმუნდით, რომ ჩვენმა მუშაობამ ჯანმრთელობის დაცვის დარგში მშობლების სრული სიმპატია დაიმსახურა.

გავუკეთოთ ანალიზი „ჯანმრთელობის დაცვის“ კომპლექსის დამუშავების ამ მაგალითს გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდის იმ ძირითადი გზების თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ ზემოდ განვიხილეთ.

გონივრული მიზანშეწონილი მოქმედიანობის პირველ მომენტს, როგორც ჩვენ ზემოდაც ვთქვით, მიზნის წარმომადგენლის მომენტი წარმოადგენს. ამ კომპლექსში, როგორც ვხედავთ, მასწავლებელს არ დასჭირდა განსაკუთრებული სტიმულებისათვის მიმართვა, რომ ბავშებში ამ მიზნის მომწიფებისათვის ხელი შეეწყო. სამწუხაროდ, ეს საქმე ეპიდემიას ხვდა წილად. მასწავლებლის როლი აქ მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშების ყურადღება გაემახვილებინა ამ მოვლენაზე და ბავშებში შექმნილი განწყობილებისათვის აქტუალური ამოცანის ფორმა მიეცა. აქ მასწავლებლის დახმარება უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ იყი გარკვეულად, მარტივად და გასაგებად აყალიბებს იმას, რაც ბავშების გონებაში უკვე მომწიფდა, მაგრამ ჯერ საესებით არ ჩამოყალიბებულა. ეს დახმარება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ბავშები „საერთო განწყობილების“ მდგომარეობიდან (გრძნობა შეწუხებისა, ავალმყოფობის შიშისა, მწუხარებისა ამხანაგის დალუპვის გამო) გამოიყავს და მიჰყავს რეალური სასარგებლო მოქმედებისაკენ, უბედურობის წყაროსთან აქტიური. ბრძოლისაკენ.

მიზანშეწონილი მოქმედების ჯაჭვში შემდგომ მომენტებს, როგორც უკვე ვთქვით, წარმომადგენს: ა) წარსული გამოცდილების მობილიზაცია, ბ) ახალი ცნობებისა და ცოდნის მოპოვება, გ) მათი დაკავშირება და დაპირდაპირება წარსულ გამოცდილებასთან და დ) ყოველივე ამის საფუძველზე აუცილებელ დასკვნათა გამოყვანა.

მოცემულ კომპლექსში ყველა ამ მომენტს აქვს აღვილი. როდესაც ბავშების წინაშე გარკვეულად დასმულ იქნა ამოცანა — უნდა

გავიგოთ, რა საშიში გადამდები სწორებებია ჩვენში და როგორ უნდა დავიცათ მათგან თავი", — მასწავლებელმა ბავშების გონიერა უწინარეს ყოვლისა იქითკენ მიმართა, რომ მათ მოეგროვებინათ მთელი ის გამოცდილება, რაც ამ დარგში პქნინდათ. ბავშების ეძღვათ დავალება — გაიგონ, რა გადამდები სწორებებით იყვნენ ან არიან ავად მათი მახლობლები სახლში. სახლიდან მოტანილი ცნობების შესახებ მსჯელობის პროცესში ბავშები იგონებენ ბევრ რამეს თავისი წარსული გამოცდილებილან, ამეღავნებენ და აყალიბებენ თავის წარმოდგენებსა და ცოდნას ამ დარგში.

ბავშების გამოცდილების ხშირი წინააღმდეგობანი და გაურკვევლობა აუცილებელს ხდის ბავშები! ათვის ახალი, უფრო ზუსტი და სარწმუნო ცოდნის შეძენას. გამოურკვეველია, ყველაზ უნდა მოიხადოს წითელა თუ შეიძლება მისგან თავის დაცა, წითელა მარტო ბავშებს შეხვდებათ ხოლმე თუ დიდებსაც. წინააღმდეგობათა აღმოჩენა და ბავშის წარსული გამოცდილების ნაკლულევანებანი, აყროვე გამომტანებული ეჭვები დასაბამი მომენტია ნამდვილი მიზნობრივი აზროვნებისა, კვლევისა. „ეჭვი — მეცნიერების წყაროა“.

წამოკრილი საკითხების საფუძველზე მასწავლებელი მიმართავს ბავშების ყურადღებას დამოუკიდებელი ძიებისაკენ, ზუსტი შემოწმებული პასუხებისაკენ. იგი კისრულობს ცოცხალი ცნობებისა და გზის მაჩვენებლის როლს. იგი ბავშებს მაჟოთოებს იმ ადგილებზე, სადაც შეიძლება ზუსტი შემოწმებული პასუხების მიღება წამოკრილ საკითხებზე. იგი მათ უხსნის, თუ როგორ უნდა მოიქცენ ამ დაწესებულებებში, ვის და როგორ უნდა მიმართონ. იგი მათ ეხმარება ორგანიზაციულად შეკავშირებაში და სხვ.

ბავშების მიერ მიღებული შთაბეჭდილებანი და ახალი ცოდნა უნდა დაუპირდაპირდეს ძველ გამოცდილებას და ამ დაპირდაპირების შედეგად ბავშებმა გარკვეული, ზუსტი და მათვის საკმაოდ შემოწმებული დასკვნები უნდა მიიღონ. იგი მათ ეხმარება ორგანიზაციულად შეკავშირებაში და სხვ.

აქ მასწავლებლის როლი უფრო აქტიურია. აქ იგი გამოდის არა ცნობარის როლში, არამედ უფრო თითქო შემკრების როლში. იგი სტიმულს აძლევს ბავშებს, რომ მათ გამოსთვევან თავისი შტაბეჭდილებანი და დაგროვილი გამოცდილება თვითეულ საკითხში, იგი აორგანიზებს მათ კოლექტიურ მოფიქრებას, ყველა მიღებული ცნობის ერთომეორესთან და წარსულ გამოცდილებასთან შედარებასა და დაპირდაპირებას. ბოლოს მას მაჟყვას ბავშები აუცილებელ, მათ-

თვის მისაწვდომ და გარკვეულ დასკვნებისკენა და განზოგადოებებისაკენ.

კომპლექსური<sup>1</sup> დამუშავების დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს მთელ რიგ დამატებით სტიმულებს მასწავლებლის შერივ, სტიმულებს, რომელთა მიზანი არის ბავშებისათვის დახმარების გაწევა მიღებული დასკვნების პრაქტიკული გამოყენებისა და ყოველდღიურ სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვევათა რიგში მათი განმტკიცების პროცესში. აქ პასუხი ბავშების წინაშე დასმულ ამოცანაზე — „როგორ დავიცვათ თავი სწორულებათაგან“ — წარმოადგენს დასაბამ მომენტს მთელ რიგ ერთმერარესთან დაკავშირებულ პრაქტიკულ დავალებათათვის.

უკანასკნელთა დამუშავება საერთოდ<sup>2</sup> იმავე მიზნით მიიმართება, როგორითაც პირველი დავალების დამუშავება.

დამატებითი სტიმულები, რომლებიც მასწავლებელს შემოაქეცა (ბავშების შემოწმება ამბულატორიაში), ალრმავებს და განამტკიცებს პირველი დავალებით შექმნილ განწყობას, რასაც ბავშები თვალების, კბილების, ცხვირისა და მთელი სხეულის მოვლის ორგანიზაციის აუცილებლობამდე მიჰყავს. დასახული ამოცანები წარმოადგენს სტიმულს მათი გადასაწყვეტი საშუალებებისა და გზების მოფიქრებისა და დაგეგმვისათვის (კბილის ჩრთქების ყიდვა, ცხვირსახოცევის შეძენა და სხვ.); შემდეგ ამას მოსდევს მთელი რიგი მემენტი პრაქტიკული (მოტორული) შესრულებისა. ბავშები მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლობენ კბილების წმენდას, ცხვირის მოწმენდას და სხვ.

გარდა ამისა, როდესაც ბავშები აღნუსხავენ და შეაფასებენ მათ მიერ შესრულებულ მუშაობასა და მიღებულ შედეგებს, ეს მათ ურთვარ ბიძეს აძლევს როგორც სკოლის, ისე საშინაო ცხოვრების საერთო განწევში მთელ. რიგ ცვლილებათა შემოლებისა და განმტკიცებისათვის (აღულებული წყლით სარგებლობის შემოლება, აბანოში რეგულიარულად სიარული, საუზმის თავის დროზე და წესიერად ჩატარება და სხვ.).

ჩვენ მიერ ზემოდ გარჩეული დამუშავება თემისა წარმოადგენს კომპლექსური მუშაობის კარგად შესრულებულ ნიმუშს. ამ დამუშავებაში ბავშების წინაშე დგას ნამდვილი საზოგადოებრივ-ლირებული და ამავე დროს მათთვის მისაწვდომი და აქტუალური ამოცანა. შემეცნებითი და პრაქტიკული მუშაობა მასში ორგანიულად არის ერთობეორესთან დაკავშირებული და მათ მთლიანი მიზნობრივი განწყობა აქვთ.

ასეთი საქმიანი კომპლექსები ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით არც თუ ისე ხშირად გვხვდება.

კომპლექსის დამუშავებას ჩვენში ხშირად მარტო შემცნებითი ხასიათი აქვს, ამასთანავე გარემოს შესწავლა ჩვეულებრივ სწარმოებს ასე: ბავშვები ჯერ ისმენენ და უცქერიან იმას, რასაც მათ უამბობს ან უჩვენებს მასწავლებელი, შემდეგ კი ასრულებენ მასწავლებლის მიერ თემასთან დაკავშირებით მოცემულ მთელ რიგ დავალებებს წე-რაში, კითხვაში, ხატვაში და სხვ.

კომპლექსის დამუშავების ასეთი წესი, რა თქმა უნდა, არ უწყობს ხელს ბავშვებში გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ლირებული ყოფაქცევის აღზრდას.

მაგრამ უმართებულო იქნებოდა გადაგვეწყვიტა, რომ ადვილად და სწრაფად შეიძლება მთელი კომპლექსური მუშაობის გადაკეთება და მისი მიზნობრივ საზოგადოებრივ-ლირებულ დავალებათა მეთო-დით აგება. აյ მრავალი ობიექტური სიძნეოდა.

უწინარეს ყოვლისა საესებით ცხადია, რომ მხოლოდ ხანგრძლი-ვი კოლექტიური ცდის საშუალებით შეიძლება ისეთი საზოგადოებ-რივ-ლირებული საქმეების გამოვლინება და გამორჩევა, რომლებიც ბავშვებისათვის მისაწვდომი და აქტუალური იქნება და რომლებიც შეს-ძლებენ რაოდენობრივად ბავშთა ლიდი მასების მოცვას და, ამნაი-რად, ფაქტიურად გადაქცევას ბავშთა საზოგადოებრივ-ლირებულ სა-ქმებად. შემდეგ ხანგრძლივი კოლექტიური ცდა სათანადო მეთოდი-კის გამოსამუშავებლადაც არის საჭირო. უნდა გვახსოვდეს, რომ სწა-ვლების მეთოდიკა სულ უკანასკნელ დრომდე იყო მხოლოდ და მხო-ლოდ მეთოდიკა ბავშვებთან შემცნებითი მუშაობის წარმოებისა.

გარდა ამისა, მიზნობრივ დავალებათა მეთოდით მუშაობაზე გა-დასვლაში მასწავლებელს ძლიერ უშლის ხელს მრავალი წლის პედა-გოგიური პრაქტიკით გამომუშავებული ჩვეულება ბავშვებისაღმი ავ-ტორიტეტულად მიდგომისა, ჩვეულება ბავშვების სწავლებისა მათი ინიციატივის დახშობის და თავისი ავტორიტეტისათვის დამორჩი-ლების საშუალებით.

ბევრია ამ გადასვლის გამაძნელებელი სხვა მიზეზიც. ასეთებია სკოლების მოუწყობლობა, მოწაფეთა მეტად დიდი რიცხვი მათში, სასწავლო დროს სიმცირე, პროგრამების ზედმეტად დატვირთვა და ბევრი სხვა.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, უკვე ახლაც, სკოლის მუშაობის თანამედროვე პირობებში, შეიძლება და საჭიროც არის მუშაობის თანდათანობით გაუმჯობესება ამ მხრივ.

ამ მიზნით საჭიროა, ჯერ ერთი, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კომპლექსურ დამუშავებაში საზოგადოებრივ-ლირებული საქმეების შეტანას.

მეორე, საჭიროა შეიცვალოს კომპლექსის დაგეგმვის ამჟამად არსებული წესი. მომავალი კომპლექსური მუშაობის მოფიქრებით მასწავლებელი ჩვეულებრივ იწაფება კომპლექსის გულდასმითს, დეტალურს დაყოფაში თემებად, ქვეთემებად და სხვ. და ამ გზით მთელ ლოლიკურ პირამიდას აშენებს. ასეთსავე ლოლიკურ პირამიდას გაშლის ხოლმე იგი ბავშებთან ერთად დაგეგმვის დროსაც.

ასეთ დაგეგმვას შედეგად ის მოსდევს, რომ ბავშების წინაშე დგება საკითხების მეტად რთული ქსელი, რომლის მიწვდომაც მათ არ შეუძლიათ, და, ამნაირად, ბავშებს არა აქვთ გარკვეული შეგნებული მიზანი და თავისი მუშაობის პერსპექტივები.

კომპლექსის დამუშავებას რომ შეუდგება, მასწავლებელი უწინარეს ყოვლისა თემების და ქვეთემების ლოლიკურად მწყობრი სისტემის აშენებაზე როდი უნდა ფიქრობდეს.

მან გულდასმით უნდა მოითიქროს, თუ რა მარტივი, მკაფიო, ბავშების თვალში საჭირო და დასაბუთებული საკითხებისა და ამოცანების სახით უნდა გაზალოს მან კომპლექსი ბავშების წინაშე.

ამასთანავე საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ ბავშები უცემასწვდენ ყველა ამ დავალებას და მათ შინაგან ურთიერთდამოიყიდებულებას მიხვდენ. საქმარისია, რომ პირველად მათ ნათლად შეიგნონ პირველი ამოცანა და იგრძნონ მისი გადაწყვეტის მოთხოვნილება, შემდეგ კი თანდათანობით გადავიდენ პირველიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ა. შ. აქ მთავარი ის არის, რომ ბავშების წინაშე იდგეს არა განყენებული ქვეთემა, როგორიცაა, მაგალითად, „გაზაფხულის დასაწყისი“, არამედ კონკრეტული ამოცანა, მოცემული გარკვეული მომავალი საქმის სახით — „დავაკვირდეთ, როგორ თავდება ზამთარი და როგორ დეგება გაზაფხული“. განყენებული სახის მიცემის ნაცვლად ქვეთემებისათვის — „გაზაფხულის პირველი მცენარეები და მწერები“ საჭიროა ბავშების წინაშე დაქსახოთ გარკვეული

ამოცანა: „დავაკვირდეთ, როგორ იმოსება ხეები, როგორ ჩნდებიან გაზაფხულის პირველი მცენარეები და მწერები.“

ეს მცირე ცვლილება ფორმულირებაში ბავშების წინაშე უკვე შესაძლებლობას გვაძლევს მუშაობის მთელი პროცესი თანდათანობით გარდავემნათ მიზნობრივი მოქმედიანობის პრინციპის მიხედვით. სულ სხვა, როდესაც ბავშს მარტო უსახელებთ თემას „გაზაფხულის პირველი მცენარეები და მწერები“ და სულ სხვა — როდესაც მის წინაშე ვაყენებთ გარკვეულ ამოცანას — „დავაკვირდეთ, როგორ იმოსება ხეები, როგორ ჩნდებიან გაზაფხულის პირველი მცენარეები და მწერები.“

გამოთქმის ეს ზმის სახე მასწავლებელს უკარნახებს ბავშთან ერთად შეუდგეს ნამდვილ მიზნობრივ დაგეგმვას, ე. ი მომავალი მუშაობის მოვლიქრებას ნაცვლად ბავშებისათვის განყენებული თემის შინაარსის ფორმალური გაშლისა, რასაც ისინი მიზნობრივ მოქმედიანობასთან პირისპირ არ მიჰყავს.

მოგვყავს მაგალითები, თუ როგორ შეიძლებოდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამის ზოგიერთი კომპლექსის ბავშთათვის ასეთ მიზნობრივ დავალებათა სახით გადაშლა.

მაგალ., სოფლის სკოლის I-ლ ჯგუფში თემები „შემოდგომის მუშაობანი ოჯახში“ და „მზადება ზამთრისათვის და ზამთრის სამუშაოებისათვის“ შეიძლება ბავშების წინაშე გაიშალოს შემდეგ დავალებათა სახით:

ა) ვნახოთ, რა კეთდება ახლა მინდვრად, ტყეში, ბოსტანში და სხვ.; ბ) გავიგოთ, როგორ ემზადებიან ზამთრისათვის სახლში და სკოლაში; გ) მოვიმზადოთ ზამთრისათვის თბილი ტანისამოსი; დ) გამოვარკიოთ, რა დახმარების გაწევა შეუძლია I-ლ ჯგუფს სკოლის მზადებაში ზამთრისათვის და მივიღოთ მონაწილეობა ამ მუშაობაში; ე) მოვაგროვოთ და მოვიტანოთ სკოლაში სხვადასხვა მასალა, როგორც ბუნებრივი, ისე ნაკეთები, ზამთარში სამუშაოდ.

ქალაქის სკოლის მე-2 ჯგუფში თემა „გაზაფხული და გაზაფხულის მუშაობანი“ შეიძლება ბავშების წინაშე გაიშალოს ასე:

ა) დავაკვირდეთ, როგორ თავდება ზამთარი და როგორ თანდათანობით დგება გაზაფხული; გავიგოთ, გაზაფხულზე მოფრენილი ჩიტები როგორ ცხოვრობენ; გ) მივიღოთ მონაწილეობა „ფრინველთა დღეში“ და დავეხმაროთ უფროს ბავშებს სასარგებლო ფრინველ-

თა დაცვის მოწყობაში; დ) დავაკვირდეთ, როგორ იმოსება ხეები, როგორ ჩნდებიან გაზაფხულის პირველი მცენარეები და მწერები; ე) დავაკვირდეთ, როგორ იღვიძებს სიცოცხლე წყალში; ვ) დავეხმაროთ უფროსებს მაღარის კოლოს მურებთან, ბრძოლაში; ზ) მივიღოთ მონაწილეობა ხის დარგვის დღესასწაულში და სხვ.

სოფლის სკოლის მე-3 ჯგუფში თემა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღება და დამუშავება“ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი მიზნობრივი დავალებების დამუშავების სახით:

ა) გამოვარკვიოთ, როგორ იღებენ მოსავალს ჩვენს სოფელში; ბ) გავიგოთ, რა იარაღით უფრო ხელსაყრელია მოსავლის აღება; გ) გამოვარკვიოთ, გლეხ ა-ს გლეხ ბ-ზე უკეთესი მოსავალი რატომ აქვს, ან გამოვარკვიოთ, ჩვენი სოფლის გლეხებს საბჭოთა მეურნეობაზე უარესი მოსავალი რატომ აქვთ; დ) გავიგოთ, როგორი მოსავალია ხოლმე გერმანიის, დანიის და სხვა სახელმწიფოთა გლეხურ მეურნეობებში; ე) გამოვარკვიოთ, რატომ არის ასეთი ვანსხვავება ამ სახელმწიფოთა მოსავარსა და ჩვენს მოსავალს შორის; ვ) დავეხმაროთ უფროსებს მოსავლის დღესასწაულის მოწყობაში; ზ) გავიგოთ, როგორ იმუშავებენ მოსავალს ჩვენს სოფელში; თ) გავიგოთ, მოსავლის დასამუშავებლად როგორ იყენებს ადამიანი ქარისა, წყლისა და ორთქლის ძალას.

მასწავლებლის მიერ ასეთი წინასწარი მოფიქრება საკითხებისა და ამოცანებისა, რომლებიც კომპლექსის დამუშავების დროს ბავშვების წინაშე შეიძლება იქნეს დასმული, ხელს უწყობს იმას, რომ კომპლექსის დამუშავება ბავშვებისათვის უფრო და უფრო დასაბუთებელი და მიზნობრივი ხდება.

ამასთანავე კომპლექსის დამუშავებაში საზოგადოებრივ-ლირებული საქმეების შეტანით ამ მუშაობას საზოგადოებრივი ლირებულება ემატება.

ერთიც და მეორეც, ერთად აღებული, ზრდის კომპლექსით მუშაობის აღმზრდელობით ლირებულებას.

ამ მიმართულებებით გამოცდილების სისტემატიური დაგროვება და მუშაობის მეთოდიკის გზადაგზა დამუშავება თანდათანობით ხელს შეუწყობს იმას, რომ კომპლექსით მუშაობას უფრო და უფრო მეტი აღმზრდელობითი ლირებულება მიეცემა და უფრო მეტად და მეტად შეუწყობს ხელს ბავშვებში გონივრული მიზანშეწონილი საზოგადოებრივ-ლირებული ყოფაქცევის უნარის აღზრდას.

კითხვები თვითშემოწმებისათვის.

1. რა მომენტი წარმოადგენს გამოსავალ მომენტს მიზანშეწონილი გონივრული ყოფაქცევისათვის?
2. რა მომენტებზე დამოკიდებული გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის შესაძლებლობა?
3. რით განსხვავდება მიზნობრივი განწყობა ჩვეულებრივი წადილისა და მიღრებისაგან?
4. როგორ უვითარდებათ ბავშებს გონივრული მიზნობრივი ყოფაქცევის უნარი?
5. რა სიძნელეებს წვდება ბავში გარემო ცხოვრების მოთხოვნებთან შეგუების პროცესში?
6. რა და რა სახის დახმარება ესაჭიროება ბავშს გონივრული ყოფაქცევის გამოსამუშავებლად თანამედროვე გარემო ცხოვრების პირობებში?
7. პედაგოგიური დახმარების რა და რა უმართებულო ფორმა შეიძლება იყოს?

პრაგმატიკული დაგენერაცია.

1. მოიფიქრეთ, რა და რა საზოგადოებრივ-ლირებული საქმეების შესრულება შეუძლიათ ბავშებს იმ კომპლექსების დამუშავების პროცესში, რომლებიც თქვენს მუშაობაშია გათვალისწინებული.
2. მოიფიქრეთ, ბავშებისათვის მისაწვდომი რა საინტერესო კი-თხვებისა და მიზნობრივი დავალებების (როგორც შემეცნებითი, ისე პრაქტიკულად ლირებული ხასიათის) სახით შეიძლება დაიმუშაონ ბავშებმა რომელიმე (თქვენი ამორჩევით) თემა:
3. მოიფიქრეთ, რა თანდათანობითი წესით შეიძლება იქნეს დამუშავებული ბავშების მიერ რომელიმე ეს დავალება (თქვენი ამორჩევით).
4. გაარკვიეთ, რაში უნდა მდგომარეობდეს მასწავლებლის მონაწილეობა ამ დაფალების დამუშავებაში.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

უწყვეტ კვირაზე სკოლების გადასვლის შესახებ მიღრახე-	83
ლაშვილი . . . . .	85
დაგაჩქაროთ უწყვეტ კვირაზე გადასვლა გ. გოგუაძე . . . . .	88
კადრების მომზადების საკითხი და ჩვენი ამოცანები შ. სი-	
ხარულიძე . . . . .	92
სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშვილისა განათლების სახ.	
კომისარიატი . . . . .	100
გაფაძლიეროთ საბიბლიოთეკო მუშაობა კ. ჩხარტიშვილი .	104
მეტი ყურადღება მოწაფეთა სასკოლო კოოპერატივებს ნ. პა-	
იჭაძე . . . . .	107
შრომის პრინციპისათვის ჩვენს ზოგადი განათლების სკო-	
ლებში ბ. დიდიშვილი . . . . .	111
<b>ჩვენი სკოლების გუბარეგილან:</b>	
ორიოდე ხიტყვა ოთხწლედების შესახებ: ოთხწლედების შიზანი	
ვლ. ჭუმბურიძე . . . . .	126
ჯგუფური მუშაობა ოთხწლედში ა. დუმბაძე . . . . .	123
თემის აღრიცხვა და მისი პედაგოგიური შეფასება შ. გუტი .	
კაშვილი . . . . .	125
კილევ გრამატიკის შესახებ ა. კანდელაკი . . . . .	128
ცოტა რამ დასკიპლინაზე მ. ტუღუში . . . . .	130
დუშეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და მისი საზოგა-	
დოქტორი-ხასარეგებლო მუშაობა ს. მელიქიშვილი . . . . .	132
დაუსწრებელი კურსების შესახებ მ. ჩიქოვანი . . . . .	140
<b>დაუსწრებელი კურსები.</b>	
გონივრული მიზანშეწონილი ყოფაქცევის უნარის აღზრდა	
(მე-9 დავალების გაგრძელება). —	38
<b>პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორაზელაშვილი</b>	
<b>პასუხისმგებელი მდივანი რ. წიკოლაძე.</b>	

ს. მ. უ. ს. პალიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეზანოვის გამზირი № 91.

მთავარლიტი № 2025. შეკვეთა № 465. ტირაჟი 3200.